17
1869

# მნათობი

წელიწადი პირველი.

1869.

მარტი.

წიგნთ-საცავი.

ტფილისი.
1869.

## წოდება თხზულებათა:


რედაქციის განცხადება.

1. საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი. . . . . . . . . . ნ. ინაშვილისა.

2. ასპინძის ომი, (მასალა საქართვ. ისტორიისათვის). . . თ. ალ. გახტ. მის ჯამბ.-ორბელიანისა.

3. ჭმუნვა (ლექსი). . . . . . კნ. ნინო ორბელიანისა.

4. ლუკმა პურის ამბავი (თხზულ. მასსესი), გარდაკეთებული. . . . . . . . ***

5. სურათი მთიულების ცხოვრებიდგან. . . სვ. მგალობლისა.

6. გევედრებ ღმერთო! (ლექსი). თ. პავლე თუმანიშვილისა.

7. კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოვებისა. . . . . . . . ინგილო-ჯანაშვილისა.

8. ობლის ბედი (ლექსი). . . . . გ. წყალტუბელისა.

9. ქართული წარმოდგენა თბილისში . . . ***

10. ხსენება საკვირველისა განთავისუფლებისა განსაცდელისაგან ხელმწიფე იმპერატორისა 1865 წელსა 4 აპრილსა (ლექსი). . . . დიმ. ბერიევისა.

11. საბიბლიოგრაფიო ფურცელი (კავკასიის აქეთი მხრის კარტა, გამოცემული 1868 წ. და სინოპტიკური კალენდარი 1869 შედგენილი რაფიელ ისარლოვისაგან). ***

12. ლამანჩელი აზნაური დონ-კიხოტი (თხზულ. სერვანტესისა), თარგმნილი. . . . ნ. ავალიშვილისა.

# მნათობი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

წელიწადი პირველი.

1869.

მარტი.

ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
***—სა.

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა
არგოს...

ნ. ბარათაშვილი.

თბილისი.
1869.

## რედაქციის განცხადება.

ამ 1869 წელში «მნათობი» სხვა და სხვა შემთხვევისაგამო არ დაიწყო იანვრიდგან, არამედ მარტიდგან. მაშასადამე ხელის-მომწერი მიიღებს ამ წლის განმავლობაში მხოლოდ ათს წიგნს, იმავე სივრცისას და იმავე შინაარსითა, როგორც უკვე იყო გამოცხადებული. ორი წიგნის დაკლებისათვის რედაქცია იკლებს წლის ფასიდგან ერთ მანეთს და მაშა- [illegible]დამე ამ წელიწადში «მნათობის» ფასი, ათი წიგნისა, არის რვა მანე- [illegible] ხოლო ნახევარ წლისა ისევ იმდენივე რჩება, ესე იგი ოთხი მან. და ათი [illegible]. ვისაც აქამომდე მთელი წლისა შემოუტანია ცხრა მანეთი, იმას [illegible] მანეთი უკანვე გაეგზავნება.

ქ. გ. წერა-კითხვის გ. საზოგადოების წიგნთ-საცავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი *)?

(სხარტული შენიშვნა).

გავიგე, რომ გამოჩენილან ჩვენში წინასწარ-მეტყველნი, რომელნიც უქადიან ახლად-დაარსებულს **) ჟურნალს მიუცილებელს დაცემას. ამბობენ, რომ იმას დიდის ხნის სიცოცხლე არ ექნება და ისე რიგად გაჰქრება, როგორათაც, მაგალითებრ, გაჰქრა ოდესმე, ერთის წლის სიცოცხლის შემდეგ, ჩვენი «საქართველოს მოამბე». ამ სიტყვების ძალით ჩვენი წინასწარ-მეტყველნი უთუოდ წინათვე ანდერძს უგებენ ჯერეთ არ-დაბადებულს «მნათობსა». არ შეიძლება, რომ მუხლი არ მოვიდრიკოთ მათ ფერხთა-ქვეშე მათის გენიოსურის საგანთა გამჭვრეტელობისა გამო. მაგრამ ეს არაფერი. ამ გვარს მოვლინებას კიდევ შეურიგდება კაცი როგორმე, რადგანაც არ არის შეუძლებელი ის, რასაც ისინი გვიწინასწარმეტყველებენ. რა გასაკვირია ეს ჩვენს საქართველოში, როდესაც უფრო დაწინაურებულს ქვეყნებში ხშირად მოხდება ხოლმე ამ გვარი შემთხვევა. როგორათაც ყველას, რასაც კი აქვს დასაბამი, ექნება თავისი ბოლო, ისე ჟურნალსაც. მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ბევრჯელ დაახლოვებით და ზედ-მიწევნით ვერ ვიტყვით: ერთი წლის სიცოცხლე ექნება ნივთს, ათისა თუ უფრო მეტისა. ყველა ამ გვარი საქმე დამოკიდებულია გარემოებაებზედ და რადგანაც საზოგადოებაში ეს გარემოებანი მეტად დახლართულნი და ერთმანეთზედ გადაბმულნი არიან, ამისთვის

---

*) დაპირებული სტატიის მაგივრად: «ლიტერატურა, მისი მნიშვნელობა და ხალხზედ გავლენა» ამ ნომერში იბეჭდება: «საჭიროა, თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი». ხოლო ის დაიბეჭდება მეორე ნომერში.

რედ.

**) როდესაც ამ სიტყვებსა ვსწერ «მნათობს» ჯერ ქვეყანა არ უხილავს.

თითქოს არ შეიძლება სრულის სიყვარულით და გულ-დარწმუნებით განვსჯიდეთ ჟურნალის მეტ-წლოვანებაზედ და ნაკლ-წლოვანებაზედ.... არიან სხვა გვარნი პირნი, რომელნიც არამც თუ ამას ამბობენ, არამედ შეეხებიან ამ საქმეს პირის-პირად. იგინი უარჰყოფენ თვით ჟურნალის საჭიროებას ჩვენის საზოგადოებისათვის, ჰპოვებენ მას სრულიად უსარგებლოდ ჩვენის ხალხისთვის. აი რა არის შემაძრწუნებელი და გულის აღმაშფოთებელი. აი ვინ არიან ისინი, ვინც გაგვესიდებიან ჩვენ გზაზედ, ვინც მოუკვლენ ზოგიერთს ჩვენთაგანს ლტოლვას პატიოსანის საქმისადმი, მოჰკვეთენ თვით ძირში ყოველს მათს იმედს, ყოველს მათს სასოებასა. და საცოდნელათაც უნდა ვიცოდეთ, რომ ამ გვარნი პირნი გახლავან არა მცირედნი. იმათი უკიდურესი აზრები არამთუ მხოლოდ ამ ერთს ფაქტში გამოიხატება, არამედ ყოველს საქმეში, ყოველს ფეხის გადადგმაში. ზოგიერთი უთამამესი იმათ შორის მივა იმ დასკვნამდის, რომ ჰპოვებს სრულიად უსარგებლოდ ხალხის განათლებას და აგრეთვე უსარგებლოდ შეჰრაცხს ყოველს მეცადინეობას ენის დაცვისათვის და მის განვითარებისათვის. და ამ გვარის აზრის მექონეთ ჰპოვებთ არა თუ მხოლოდ ძველს თაობაში, არამედ ახალ თაობაშიაც. ჩვენს სასიქადულო ახალგაზდობაშიაც იპოვით არა ერთს ამ აზრის ცხარე მიმდევარს. ეს არის მიზეზი რისაგამოც ჩვენს ბუნებაში არსებობს რაღაცა ორ-განაწილეობა და რომლიდგანაც პირ-და-პირად აიხსნება უმოქმედობა ჩვენის საზოგადოებისა. ძნელად ჰპოვებთ კაცს მკვიდრის და გაუდრეკელის ხასიათით, რომელიც თავიდგან ბოლომდისინ ერთს რასმე ებრძოდეს და ერთს აღრჩეულს მიზანს ევლტოდეს. ისა სდგას ორს დიამეტრულად წინააღმდეგ მიმართულებათა შორის. როდესაც ის გაუსწორებს თვალს ახლანდელს მდგომარეობას, იგი იმედ-მიხდილია; იგი უსასოებაში და ურწმუნოებაში შედის. როდესაც მიჰმართავს თავის მხედველობას მომავალს, იგი მიეცემა სხვა და სხვა ოცნებობას. მომავალი თვის სიშორის გამო ვერ წარმოუდგება მას ცხოველ სურათად და ამისა გამო ვერც იმოქმედებს ისე ძლიერად, ღრმად და ფართოდ, რომ მოიცვას მთელი კაცის ბუნება და შთაუდგას მას სურვილი უკეთესობისა და განახლებისა. ჩვენ ძალიან ცოტა გვყოლია იმ გვარნი, რომელთაც შეეწიროს მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის განათლებისთვის. ყველგან კაცი ჰპოვებს ანუ გულ-გრილობას საზოგადო საქმისადმი, ანუ უფრო უმეტესად დაცინვას და განკიცხვას, იმ განკიცხვას კი არა, რომელსაც ეწოდების გო-

მო არც კი ვრაცს საჭიროდ, რომ დავასახელოთ, რადგანაც ისინი ყვე-ლას ცოტად თუ ბევრად გაცნობილი აქვს.

მაგრამ ის აზრი, რომ ჩვენში ვერ იხეირებს ჟურნალი არის აღ-მაშფოთებელი იმისთვის, რომ ამ სიტყვებით იგინი გვიხატავენ მიუხვე-დრებლობას და შორს დაუნახაობას. იგინი არიან ის პირნი, რომელნიც გულგრილად უჭვრეტენ ხალხის გაუნათლებლობას, მისს გონებითს და ზნეობითს გაუხსნელობას. მაგრამ ამათი სიტყვების სივაგლახე ამითი არა თავდება. ისინი თავისის სასტიკის და შეუბრალებელის სიტყვებით ბევრს უკარგვენ ხალხის შრომისა და მოქმედებისადმი. ისინი არამთუ თითონ არ არიან «მოქმედების კაცნი», არამედ, თვისი გაუგებლობის გამო, აბრკოლებენ და ყოველის ფერით უშლიან ამ გვარს კაცებს. იგინი ეჩვენებიან ყველას ბე-ჯითის აზრის მიმყოლად, ყოველის საქმის კარგად ამწონად, თუმცა მართლა რომ ჩაუკვირდეთ იმათს ხასიათს და მსჯელობას, თქვენ დარ-წმუნდებით, რომ იგინი თავიდგან ბოლომდის არიან მიმდევარნი სიძვე-ლისა (რუტინისა*) და ყოველი ახალი ისე მოქმედობს იმათს გონებაზედ, როგორათაც ელვა ღამის სიბნელეში კაცის თვალზედ. სამწუხაროა, როდესაც ვხედავთ, რომ ამ გვარის კაცების რიცხვი საზოგადოებაში არის არა მცირედი. ჩვენი ხსნა დამოკიდებულია მხოლოდ იმ გვარს კა-ცებზედ, რომელნიც არ მიაქცევენ განსაკუთრებითს ყურად-ღებას ამ გვარს უსაფუძვლო ყაყანს და მხნედ, ვაჟკაცურად და თავგამოდებით ემსახურე-ბიან ხალხის სიკეთეს და განათლებას. დაე, რაც ერჩიოთ ისა სთქვან ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ხალხი საჭიროებს გონიერს ხელმძღვანელობაში გონიერის აზრებით, რომ კარგი ჟურნალი შეიქნება სწორედ ხალხის «გამომხსნელად უმეცარებისაგან და მაცხოვრად» და მოუპოვებს სამშობლო ლიტერატურას იმ სიყვარულს და თანაგრძნობას, რომელიც უძვირფასესია არა მხოლოდ სამშობლო ლიტერა-ტურისათვის, არამედ თვით ხალხის წარმატებისთვისაც. ჩვენი დრო არის კრიტიკული დრო: ჩვენ ვსცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა, ძველი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა კი ჯერ არ გაგვიკვლევია. ჩვენ უნდა ვეცადოთ გაუნათლოთ ხალხს მსვლელობის გზა გონებითი ზნეობი-თი და ნივთიერებითი წარმატებისთვის . . . . . . . . . . . . . . . .

---

*) რუტინა არის მოქმედება და აზროვნება, რომელსაც გაუსჯელად მიიღებენ ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ ისე მიუღიათ იმათ წინაპართაც.

ამისთვის არის კიდეც ეხლა საჭირო ჟურნალი, რომ იმან შეიყვანოს ხალხი თავის ცნობაში, ახსნას და შეამუშაოს ის კითხვანი, რომელნიც ყველაზედ მომეტებულად შეეხებიან ხალხის ცხოვრებას, მის სათნოებას, კეთილ-დღეობას და სხვ. ჟურნალი უნდა იყოს წარმომადგენელი უკეთესის და უბრძენესის მოქალაქეებისა. იგი უნდა ჰქადაგებდეს იმ აზრებს, აღვიძებდეს იმ გრძნობებს და იმ გულისთქმათ, რომლებსაც შეეძლოთ მოგვცენ ჩვენ თვით უკეთესნი მოქალაქენი და მოამზადონ იმათი გული საზოგადო სარგებლობისათვის, რომელსაც აქვს სახეში ხალხის კეთილ-დღეობა და დიდება, არა დიდება დაფუძნებული გარეგანს სიბრწყინვალეზედ, არამედ დიდება პატიოსნებისა, სიბრძნისა, სათნოებისა და გენიოსობისა. ერთის სიტყვით ჟურნალი უნდა შეიქმნეს გონების მოძრაობის ცენტრად. მეტადრე ჩვენს ქვეყანაში მისი დანიშნულება ამ მხრით არასფრით არ დამაგიერდება. ამ ჟამად ჩვენში ჭკვიანი წიგნების ბეჭდვა თითქმის სრულიად მოუხერხებელია, რადგანაც იმათ არ ექნებათ გასავალი. ამისთვის გონიერ პირთ შეუძლიანთ შეადგინონ კავშირი და ერთად ითანამშრომელონ ჟურნალში. იქ შეუძლიანთ იმათ სასარგებლო აზრების გამოთქმა და ხალხში გავრცელება. ამ სახით ჟურნალი შეიქმნება ორგანოდ ცხოველის აზრისა. ყველა, რაც კი არის ცოცხალი, გონიერი და კეთილშობილი მხარეში, რასაკვირველია, მოსცემს თავის ხმას და ამ გვარად ყველას გული იქნება მიმართული სამშობლო ლიტერატურისადში იგი იქნება ღირსი ყურად-ღებისა და პატივის-ცემისა ყველასათვის თავისის აზრიანობით, გონიერებით და ცხოველის მოქმედებით საზოგადოებაზედ. მაშინ ვერავინღა იტყვის, რომ ის ესე გულ-გრილად უყურებს სამშობლო ლიტერატურას იმისთვის, რომ იმაში არ იპოვება გონიერი, ნათელი და ცხოველი აზრი, რომ იგი ამისა გამო არ ეხმარება კაცის გახსნას, მისი გონების და გულის განათლებას.

დაუვიწყარია ჩვენთვის ის წელიწადი, როდესაც «საქართველოს მოამბე» გამოვიდა. იმან მოუტანა საზოგადოებას დაუფასებელი სარგებლობა. არ შეიძლება არ მივაგოთ ღირებული ჟურნალის მშვენიერს თვისებაებს: იმან გამოიჩინა იმოდენა ნიჭი, იმოდენა გონიერება, იმოდენა სიმამაცე აზრისა და გონივრული შეხედულობისა, რომ ყოველს გონიერს კაცში მოიპოვებს სრულს თანაგრძნობას და უფრო დაალონებს მას მისი ესე მოულოდნელი და ჩქარი მოსპობა. ამ ჟურნალის მადლობით ჩვენ წავიკითხეთ ის, რასაც უმისოდ უთუოდ ვერ წავიკითხავდით და რომ-

ლის მსგავსაც აქამდისსაც ვერასა ვპოვებთ ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენ მაშინ პირველად ვსცანით რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ქართველობისათვის რიგიანს ჟურნალს, პირველად ვიწყეთ სჯა ჩვენს ცხოვრებაზედ და მდგომარეობაზედ. ბევრი უკეთესი, რაცკი რამ დაწერილა ქართულად, იპოვება «საქართველოს მოამბეში» და სხვათა შორის ეკუთვნიან უ. ილ. ჭავჭავაძის კალამს, რომელმაც თავისის მოთხრობაებით, ლექსებით და სხვა და სხვა სტატიებით დაგვიმტკიცა თავისი ნიჭი და ნამდვილი ტალანტი და იმდენად უფრო დიდად ვაფასებთ მისს თხზულებაებს, რამდენათაც უგუნური კრიტიკოსები ცდილობენ იმათს დამცირებას. (ამ საგანზედ იმისთვის ვლაპარაკობთ, რომ ვაჩვენოთ, რის გაკეთებაც შეუძლიან ჩვენში კარგს ჟურნალს).

მე ვათავებ ამ მოკლე სტატიას სურვილით, რომ ჩვენი «მნათობი» რიგიანი ჟურნალი გამოდგეს და მოიმედე ვარ, რომ რაც კი რამ არის ჩვენს საზოგადოებაში აზრიანი, ჭკვიანი და პატიოსანი თანაუგრძნობს ამ საქმეს და არ დასტოვებს ჟურნალს დაუხმარებლად. ჩვენი იმედი უმეტესად არის მიმართული ახალ-გაზდობისადმი და ვგონებ, რომ იმაში არ მოვსტყუვდებით.

ნ. ისაშვილი.

9 მარტს, 1869 წ.

ქ. კიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეცნიერო განყოფილება.

### ასპინძის ომი, 1770-სა

(მასალა საქართველოს ისტორიისათვის).

ამ წლის წინად მოვიდა გენერალი ტოტლებენი მხედრობით საქართველოში, ეკატერინა მეორესაგან, ასამხედრებლად მეფის ირაკლისა ოსმალებზე, რომელიცა იმდროს შერიგებას აპირებდა მეფე ირაკლი ოსმალებთან და ამაზედ ლაპარაკი ჰქონდათ ერთმანეთში. მაგრამ როდესაც მეფე ტოტლებენმა ნახა, დიას პატივით მოეპყრა მეფეს და ბევრი კარგი დაპირება უთხრა ეკატერინა მეორესაგან. რა საკვირველია მეფე ირაკლიმაც დიდის გულ მოდგინებით მიიღო გენერალის დაპირება. ტოტლებენის და მეფის ირაკლის ნახვის შემდეგ დაწყობილება მოახდინეს, რომ ოსმალებზე გაილაშქრონ. ტოტლებენმა თავის ძლიერის რუსეთის მხედრობითა და მეფე ირაკლიმ თავის რვა ათასამდის ცხენიანის რჩეულის ქართველებით, სადაც ამ ჯარებით მივიდნენ და აწყურს შემოადგნენ.

ამის მნახველთ ოსმალებმაც თავიანთი ოსმალოს ძალა მოირთეს და იქ მყოფების ლეკებისა—ლეკების წინამძღოლის კოსტაბელადით, რომლებიცა გაერთებულნი ეს ოსმალ-ლეკები მოვიდნენ. შეიქმნა ამათში ომი და გაგძელდა სამდღემდის. ამ დროს, ამ მესამე დღეს აიყარა რუსის ჯარი და ჩქარის სიარულით უკან დაბრუნდა. მეფე ილაკლიმ და ქართველებმა ეს რომ ნახეს, დიდათ გაჰკვირდნენ, არ იცოდნენ რა მიზეზი იყო; მეფე რამდენიმე კაცით გამოუდგა და სხვა ჯარს უბრძანა ომის არ მოშლა. მოწევის უმალ ტოტლებენს გზა გადუჭრა, ცხენიდგან გადახტა და გაკვირვებით უთხრა.

— „მითხარით რა მიზეზია თქვენი დაბრუნება?...."

— ეხლა ჩემი ჴელმწიფისა წიგნი მომივიდა, უნდა დავბრუნდე — ტოტლებენის პასუხი.

— »ამ ომში და ამ სისხლის ღვრაში, რათუნდა ინებოთ დაბრუნება?» —

— «ჩვენი ჴელმწიფე და ოსმალოს სულთანი შერიგებულან.»

— «მაშ თქვენი და ჩემი კაცი გაუგზავნოთ, რომ მეცა იმათშიაც შერიგება მოხდეს».

— «რავქნა, მე ეგ არ შემიძლიან.»

— »რატომ არ შეგიძლიანთ, მაშინ როდესაც რომ თქვენის გულისათვის ოსმალო ჩემი მოსისხლე მტერია, თორემ ოსმალოს ჩემთან რა მტრობა აქვს? — ვინც რუსეთიდგან მოდიან ეკატერინა ჴელმწიფი-სგან, დიდის დაპირებით მეუბნებიან: დიდს წყალობას ელოდეთ ეკატე-რინა ჴელმწიფესაგანაო, და ამასთან უთქვამსთ: ქრისტიანობის და ჩვენის სარწმუნოების გულისათვის უნდა გავისარჯნეთო. აჰა, ესეც ქრისტიანობის გულისთვის მოვსულვართ აქ და ხედავთ ჩემი ქართვე-ლები როგორ ომში არიან დღეს?» —

— «თქვენო დიდებულებავ, მამიტევეთ, რომ ჩემი ჴელმწიფის ბრძანე-ბა უთუოთ უნდა აღვასრულო. იმის ბრძანებისაებრ ეხლავ უნდა გავ-ტრიალდე და სასწრაფოთ წავიდე ჩემის ჯარით, თორემ თუ დავიგვიანე, ჩემს ჴელმწიფეს ეწყინება, ამისთვის რომ იქ ჩემს ჴელმწიფესა ბევრი საქმეები გასჩენია და ამის გამო უთუოთ ჩქარა უნდა წავიდე.» —

ამასთან გასწია და სასწრაფოდ წავიდა თავის ჯარით. იმ დროს მეფეს ირაკლის თვალ წინ წარმოუდგა თავის მამულის დაღუპვა, ერ-თის მუხლით დაუჩოქა და უკან ვედრებით მისძახა დაბრუნებულ-იყო, მაგრამ მაინც კიდევ დიდის ბოდიშით გაეშურა ღენერალი.

აქ მეორეთ მოხუცებულებისაგან *) გამიგონია: ამის გამგონი და მნა-

---

*) იმ მოხუცებულების სახელი ქვემოთ ბოლოში იქნება. თვით ომან ხერხეულიძეცა სწერს, მაგრამ რიგიანის გარჩევით კი არა: ტო-ტლებენისათვის და მ. ირაკლისათვის ამბები ეზიდოსთ და იმათში შური ჩამოეგდოთ, რომელიც ამაზედ შემოსწყრა ტოტლებენი და ამის გამო წამოსულიყოს. იქვე სწერს ხერხეულიძე: მოვიდა მეფე ირაკლი, მრავალს ეხვეწა (ტოტლებენს). გარნა მან არ უსმინა. (გვერდი 491) და ნებისაებრ თვისისა გამობრუნდაო. მეორე ნაწილი ქართლის ცხოვრებისა.

ხვალი მეფე ირაკლი ასე წამოსტა, რომ ერთს ადგილზე მაღლა შესტა, თავის ცხენს მოაბრინდა და თავის ქართველებს შემოსძახა:

— «ქართველებო! რუსები უკანვე წავიდნენ. ეს იცოდეთ, ჩვენი დაბრუნება უკან არ იქნება, ამიტომ რომ თუ რუსების ჯარს ოსმალო მოუწია, დიდს ვნებას მისცემს და მასუკან გაქეზებულნი ოსმალ-ლეკნი საქართველოს გაგვიოხრებენ, ამისთვის უმჯობესია ჩვენ აქ გავწყდეთ. ასლა ამის შემდგომ თქვენ იცით და თქვენმა გაუკაცობამ, ქართველებო».

ოსმალ-ლეკნი ბევრნი იყვნენ და ქართველები რვა ათასამდინ, მაგრამ სამი დღის დაუცხრომელის ომის შემდეგ და ნამეტნავად ტოტლებენის იმ უკანასკნელ დაბრუნების დროს, იმ ორს სამს საათში, ასე შეაჭირვეს ქართველებმა ოსმალ-ლეკები, რომ გატრიალდნენ და სიმაგრეებში შევიდნენ. *)

ამის შემდგომ ამბავი მოუვიდა მეფეს ირაკლის, რომ რუსები სამშვიდობოში შევიდნენ ხეობაშიო. ამ შეტყობის უმალ, აიყარა და ასპინძისაკენ წამოვიდა თავის ჯარით. ამ დროს ოსმალ-ლეკებსაც მოემატათ ჯარი და გაუხდათ თხუთმეტი ათასი, რომლებიცა ამით გაგულისებულები გამოვიდნენ და ასპინძის ხრამის პირები შეუკრეს ქართველებს. დაუყოვნად იმ ღამეს მეფე ირაკლიმ კაცები გაგზავნა დიას საიდუმლოდ და მტკვარზე გადებული ხიდი ააყრევინა და აღელებულს მტკვარს მისცეს, ვინადგან გვალად სხვა ჯარს მოელოდნენ ოსმალისას, ასე უთქვამთ: ოცი ათასზე მეტსაო!—ეს დრო იყო გაზაფხული.

ასე უშიშრად იყვნენ ქართველები, რომ ამის მეორე დილაზე, რამდენიმე ასი კაცი წავიდნენ სათარეშოთ საშოვრათა, ამ განთვანტულს ქართველებს მოასწრეს ოსმალ-ლეკთა, წინ წამოიარეს და სადაც მეფე ირაკლი იდგა მცირედის კაცებით ზედ მოარეკეს. მაშინ მხნემ და უშიშარმა ირაკლიმ შემოსძახა თავის თან მხლებელს ქართველებსა, დაერივნენ და მაშინვე გადარიკეს მტერი. **) დაუყოვნად ოს-

---

*) იმ დროს, იმ სამი დღის ომში ათი ათასი ოსმალ-ლეკნი იქნებოდნენ და შემდგომად ამ სამი დღის ომისა თხუთმეტი ათასი გაუხდათ.

**) ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, ფურცლის გვერდი 491, ასპინძის ომი. თვით მეფის ირაკლის მდივნის თავ. ომან ხერხეულიძისაგან არის დაწერილი ისტორია მეფის ირაკლისა, რომელსაცა დიდად

მაჰ-ლეკნიც წამოვიდნენ თავის სრულის ძალით ქართველებზე თამამათ და უშიშრად ჰგონებდნენ ერთიან ქართველების დამონებას, მაგრამ მეფე ირაკლი და იმისი მხნე სარდალი თავ. დავით ორბელიანი გადემატნენ იმ დღეს ვაჟკაცთ ვაჟკაცობას. შევიდნენ ქართველები მაღიანს ომში, სადაც იყო მოუწყვეტელი თოფთა ცემა ორსავე მხრით, დალესული ხმლები ბრიალებდა ერთმანეთზე. გამნელდა ომი ქართველებისათვის, ამიტომ რომ ოსმალ-ლეკნი ბევრნი იყვნენ და ქართველები იმათზე ცოტა.

ამ გამნელებულს ომის დროსა, მეფემ უკან შემოიხედა, ნახა რომ თავის უფროსი შვილი, ბატონიშვილი გიორგი (შემდეგ მეფე) ერთს სიმაგრეს მიჰფარვია თავის ჯარით და იქ გაუმაგრებია ერთი მაგარი ადგილი *).

მეფე ირაკლიმ ეს რომ ნახა, ანტონა აქიმბაშს უბრძანა.

—«ანტონა აქიმბაშო, **) ეხლავ საჩქაროდ გასწიე, ჩემ შვილს— ბატონიშვილს გიორგის მოახსენე, რომ საჩქაროდ მამეშველოს თავის ჯარით, ხომ ხედავ რა გაჭირვებაში ვართ ეხლა... ყველა ასე მოახსენე.»

მეფე ირაკლიმ ანტონა აქიმბაში რომ გაგზავნა, თვითონ თავის ჯარს დაუძახა ამ სიტყვებით: «გულოვანნო მხნენო ქართველებო, ჩემო განუყრელო ყოველს საშინელებაში, ჩემო გულის ძმებო! ეს ამისთანა

---

აქებს თავის მეფეს ერეკლესა, მაგრამ რაც აქ სცნებულები ჩვენ მოხუცებულებთაგან გამიგონია იმ ამბისა, იქ უფრო ცოტათ არის ნახსენები და მოკლეთ დაუწერია. მაინც ყოველი მეფის ირაკლის საქმე და ბრძოლა მცირედ არის აღწერილი მდივნის თავადის ომან ხერხეულიძისაგან და არა ისე, რაც მეფის ირაკლის ამბებს შეეფერება.

*) ორი ათასზე მეტი ჯარი ჰყავნდა იმ დროს ბატონიშვილს გიორგის. ის გამბედავი მამისებური ვაჟკაციც იყო გულით, მაგრამ იმ დროს მეფის ოჯახობის მტრებმა მლიქვნელის ენით მოატყუვეს და ერთს სიმაგრეში გაამაგრეს: თუ მეფე ირაკლი თავის ჯარით დააბრუნონ, აქ ჩვენ გავიმარჯვოთ და მასუკან მტერსაც დავამარცხებთო. ისიც გულით წრფელი იყო, დაუჯერა. იქნება ოდესმე მეფის ირაკლის ოჯახობის მტრები და იმათი ამბები ავწერო, მე სულ წვრილად ვიცი ის იმათი ამბები.

**) ყარაშვილი, ახლა ქარაევი.

გაჭირებული ჟამი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დანახეთ რა სიკვდილის ღირსი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ანუ სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაგვინახოს: ეს ჯაბანთა წესი არის. თქვენ წინ გადაწყვეტით აღვიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავს, აქ უნდა გავსწყდეთ. ჩვენს ცოლშვილში სირცხვილის დამარცხებით მისვლა, მერე რა პირს დაგვინახვენ ის ჩვენი კარგი დედაკაცნი? — შავს დამარცხებულ პირსა, თან გვეტყვიან: ჯაბნებო, წადით დაიკარგენით ჩვენგნითაო... აბა ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინ ამ სირცხვილით წარვდგებოდეთ, გვიჯობს ჩვენს წმინდას სიკვდილზე თმები ვაწეწინოთ იმათ, ჩვენს დაქცეულს ჩვენს სისხლზედა, ჩვენის მამულისათვის. გავწყდეთ ქართველებო, მე აქ თქვენში ვიმყოფები ერეკლე!»

— «გავწყდეთ, გავწყდეთ ერთიანად დედა შეერთოს ცოლათ, თუ არ გავიმარჯვეთ, ვინც აქედგან უსიკვდილოდ გავიდეს.» ეს ძველს დროში აუცილებელი ფიცი იყო. ანუ უნდა გაემარჯვნათ და ან გაწყვეტილიყვნენ. ბევრი ამისთანა სიტყვები, ამისთანას გაჭირვებულს ჟამში მეფის ირაკლისაგან. *)

ანტონ აქიმბაშმა საჩქაროდ გასწია და მის თვალთანვე მოახსენა.

— «ბატონიშვილო, მეფე გთხოვს საჩქაროდ მიშველებას თქვენის ჯარით. თქვენს მზეს ვფიცავ დიდ გაჭირვებაში ბრძანდება მამა თქვენი მეფე და ქართველები». ბატონიშვილის გიორგის პასუხი.

— «ანტონა აქიმბაშო, დამიჯერე, შენც აქიყავ ჩემთან. თუ ისინი დაბრუნონ, მასუკან ჩვენს ჯარს ჩვენ დავიჭერთ.»

---

*) მეფეს ირაკლის ერთი კარგად გაზდილი არტელერისტი ჰყვანდა, თავ. პაატა ანდრონიკაშვილი, რუსეთში ნასწავლი, რომელმაც კარგად გაუმართა არტელერია და რომელთაც — მეფეს ირაკლის და იმას ხშირი რჩევაც ჰქონდათ საქართველოს განათლებაზე. იმისაგან მეფე ირაკლი ევროპიულს სამხედრო საქმეებსაც ისწავლიდა და რეგულიარნი ჯარების დაწყობილობაც უნდოდათ, მაგრამ ბოროტ-განმზრახველები ანუ შეუჩნდნენ მეფეს და ამთენი ცბიერობა ქნეს, რომ მეფეს დააშორეს, ამიტომ რომ მეფეს ირაკლის კარგი არა ჰქონოდა რა და ყველა ფერში მოშლილი ყოფილიყო,

აქეთ იქიდგან მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა ანტონას დაუძახეს *). გაიგონე, ბატონიშვილი გიბრძანებს, უნდა დაუჯერო. ანტონამ იმათ ყური არ ათხოვა და კიდევ ბატონიშვილს მოახსენა.

— «შენი ჭირიმე, ბატონიშვილო, რას მიბძანებ? — მეფე ირაკლი იქ რომ დაამარცხონ, აქ თქვენ თავს როგორღა დაიჭერთ, მტერი სულ ფეხთ ქვეშ გაგქნისთ და ბოლოდროს სულ ერთიან საქართველოსაც გააოხრებენ. ჩქარა წამობრძანდით, შენი ჭირიმე.»

— »ანტონა აქიმბაშო, გირჩევ შენც აქ ჩემთან დარჩე, მაშინ მივეშველნეთ, თუ რომ ჩვენი ჯარი დაგვიბრუნონ.»

ამასთან კიდევ აქეთ იქიდგან დაიძახეს: «აქიმბაშო, დარჩი აქა, გიბძანებს.»

— »თქვენ მზეს ვფიცავ, არ დავრჩები, ღმერთი გადღეგრძელებს წამობრძანდით.»

— «ანტონა აქიმბაშო, დამიჯერე.»

კიდევ აქეთ იქიდგან ხმებმა: «დაიჯერე, აქიმბაშო, დაიჯერე.» **)

— «ჩემო ბატონიშვილო, ვერ დაგიჯერებ. წავალ მეც ჩემს მეფესთან და ჩემს ძმებს ქართველებთან ჩემს სისხლს იმათთან ერთად დავჰქცევ მამულისათვის.»

ამ სიტყვასთან აქიმბაშმა ცხენს ქუსლი ჰკრა და მეფესთან მოიჭრა. ამაობაში ქართველები ცოტათ დაეწიათ და წყნარ-წყნარად მოჰყვანდათ ომით, რომლებსაც გულოვანი მეფე ირაკლი და იმის სარდალი დავით განამხნევებდნენ ქართველების და მამა პაპის ვაჟკაცობას მოაგონებდნენ იმათ! ***) ამ დროს მოხსენდა სიტყვა ანტონა აქიმბაშისაგან.

*) თავადმა რ.... ა.... და იმისმა დამოკიდებულებმა...

**) ბატონიშვილის გიორგის ძალიან ჰყვარებია ანტონა აქიმბაში, მეფეს ირაკლისაც ხომ რასაკვირველია, მთელი სასლობისა და ოჯახობის აქიმიც ის ყოფილა, რომელიცა ფრანგის კათოლიკის სარწმუნოებისა. დღეს იმის შვილის-შვილები ბევრნი არიან აქ.

***) ომან ხერსეულიძის ისტორია თვით იმისაგან იმის ხელით დაწერილი მე მქონდა, რომელიც იმ თავის დაწერილს ისტორიაში ამ ასპინძის ომში ძალიან აქებდა სარდალს თავ. დავით ორბელიანს და ახლა ამ დაბეჭდილში რატომ არ მოუხსენებიათ იგი, ვერ მივხვედრივარ?

— »ჩემო ჴელმწიფევ, ვერ დავძარ ბატონიშვილი გიორგი იქიდგან.»

ამ სიტყვაზე ერთი შემოიხედა მეფემ, მაგრამ სიტყვის გაცემის დრო აღარ იყო, ამისათვის რომ იმ ჟამს ერთს ვიღაზედაც თვალი ეჭირა მეფეს და იმას უმზერდა. ის იყო ლეკების კოხტა ბელადი, რომელიცა გათამამებული მოუძღოდა წინ თავის ლეკებს და ხმალ ამოღებული მოაქროლებდა ცხენს. ამ დროს მეფე ირაკლიმ თავის ჯარი, თითქმის დამარცხებული, რომ ნახა, მაშინათვე მკირცხლად მიიჭრა მეფე კოხტა ბელადზე, დასცა თოფი, მოკლა და თავის ქართველებს შემოსძახა ხმა მაღლივ, ასე რომ ყველამ გაიგონეს იმის დაძახება:

— «ხმალი ამ წუწკალებს, ქართველებო,»

ამ სიტყვაზედ თვითონაც და სულერთიან ქართველებმაც იშიშვლეს ხლმები და მტრის რაზმებში დაერივნენ, თითქმის ერთი სამად მომატებულებში.

ეს აქ, ამ ამბავში გავწყვიტოთ და ახლა სხვას მოვყვეთ. მეფე ირაკლის რუსეთის ჯარი რომ დაუბრუნდა, ამის რამდენსამე დღეს უკან აქ ქ. ტფილისში ხმა დააგდეს მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა, რომლებიც აქაც ბევრნი იყვნენ: მეფე ირაკლი თავის ქართველებით საშინელს ომში დაღუპულა სულ ერთიანათაო.

ამას კიდევ სხვა გვარი სიტყვებიც დაუმატეს და ამ ამბავმა დარეჯან დედოფლამდის მიასწია; დარეჯან დედოფალმა მაშინვე წუღები გაიძრო ფეხებიდგან, ისე ფეხშიშველა წამოვიდა და სიონთა ღვთის მშობლის ეკლესიისაკენ გასწია. ამაზედ მთელი სასახლეც დაედევნა: ქალნი ფეხშიშველანი და კაცები ქუდებ მოხდილები თან წამოჰყვნენ დედოფალს. ასე დაიცალა მეფის სასახლე, რომ ერთი მცირედი ყრმა აღარ იპოებოდა სასახლეში, არც ქალი და აღარც კაცი—სულ დედოფალს თან გამოჰყვნენ.

დედოფალმა და იმის ერთიან სახლეულობამ ბაზარში გაიარეს და სიონთა ღვთის მშობლის ეკკლესიაში შევიდნენ. ბაზრის ხალხი ამ ამბავს იკითხავდა: რა ამბავი მოსვლია დედოფალსაო?—რომლებიც, რასაკვირველია, ერთი მეორეს მიუთხრობდნენ დიდს საშინელს საქმეში ჩავარდნასა მეფის ირაკლისას თავის ქართველებით. ამაზედ ბაზრის ხალხი წამოცვივდა, დუქნები საჩქაროდ დაკეტეს და ეკკლესიაში შევიდნენ, სადაც წამსვე ეს ამბავი მთელს ქალაქს მოეფინა. დედანი ფეხშიშველანი და კაცები ქუდებ მოხდილები სიონთა მღვთისმშობლის ეკკლესიაში შე-

წესს, მაგრამ ეკკლესიაში ხალხი რომ აღარ დაეტია, ქუჩა გაივსო დედაკაცით და კაცებით. ამასთან რაც სამღვდელონი იყვნენ ქალაქში, სულ სიონთა ღვთის მშობლის ეკკლესიაში შეიყარნენ თავიანთი ეკკლესიების პირველის ხატებით და შემოსილნი წინ მოუძღოდნენ, სადაც ეკკლესიაში ხატების წინ, დედაკაცთა და კაცთაგან დიდი ტირილი იყო დაჩოქებულებისაგან ჴელგაპყრობით და სთხოვდნენ რასმე შეწყალებას ღმერთსა!

ამ ჟამად დედოფალს დარეჯანს მოახსენეს:

— «მთელი ქალაქის ხალხი, ქალნი და კაცნი სულ ერთიან გარეთ ქუჩაში შეიყარნენო.»

ეს რომ დედოფალმა გაიგონა, სიონთა ღვთის მშობლის ხატი და სხვები კარზე ქუჩაში გაასვენებინა; სამღვდელონი წინ გაუძღვნენ და თვითონ უკან შეუდგნენ მწარეს ცრემლით. ეს სახე გარეთ ხალხმა რომ დაინახა, ქალებმა და კაცებმაც ქვითინით ტირილი ამოუშვეს.

საკვირველი იყო, პარაკლისი რომ დასრულდა, რამდენიმე კაცი მოიჭრა და დაიძახეს.

— «აღელებულ მტკვარსა, ოსმალოს მკვდრები მოაქვს და იმათი ქუდებიო.»

ამ ხმის გამგონეთა, რაღამაც გადუფბინა და ყველანი დაჩუმდნენ, პატარასხან უკან კიდევ დაიძახეს.

— «რაღაც ამბავია, რომ აღელებულს მტკვარსა ერთი ერთმანეთზედ მოაქვს ოსმალოს მკვდრებიო.»

განცვიფრებით ყველამ ერთ პირად ისმაურეს: »ნეტავი შეგვატყობინა, რა ამბავი უნდა იყოს?»

ამასთანავე საშიშის ხმით დაიძახეს ხალხში: —»ოსმალოს ჯარი შემოგვესია, ოსმალოს ჯარი!»

ამ ხმაზედ ძალიან აღშფოთება მოხდა ხალხში, მაგრამ თან ეს სიტყვა დაჰყვა: —»ქართველები ყოფილან, ოსმალურათ აცვიათ, ქართველები არიან.»

პატარასხანს უკან, ოსმალურად ჩაცმული, ცხენიანი ქართველები შემოვიდნენ ხალხში, სადაც აღტაცებული სიხარული მოხდა დედაკაცებთა შორის და კაცებში. მეფე ირაკლი კი ქართულად ჩაცმული ცხენიდგან გადახტა და სიონთა ღვთის მშობლის წინ პარაკლისი ასდევინა მადლობისა, ჯერ ხმა არავის გასცა. შემდეგ ღმობიერის ცრემლით მეფე და დედოფალი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ამის შემდეგ ყველამ შე-

იტყეს ქართველების თვითეული ამბავი და გამარჯვება. მართლა ასე გაემარჯვათ ქართველებსა, რომ რამდენიმე ათასი ოსმალ-ლეკი აღელე-ბულს მტკვარში ჩაეყარათ და იმათი დამღრჩვლები ტფილისის წინ ჩამოატარა აღელებულმა მტკვარმა.

ამ ამბავს მეფე ირაკლიც რომ თან შემოჰყვა, უფრო მომატე-ბული სიხარულიც ეს იყო, რომლებიცა ყველანი ღმერთ ევედრებოდნენ იმის ხანიერს დღე-გრძელობასა.

იქ რომ გაიმარჯვა მეფე ირაკლიმ, ებრძანებინა: »მე ვიცი ქ. ტფი-ლისში ამ ომისა ცუდი ამბები ჩავა და იმ ამბებზე ვიშიში, რომ გარეშე ჩვენი მტრები ჩვენზედ არ ასდგნენ. ამიტომ სასწრაფოდ უნდა გავეშურო და ქ. ტფილისში ჩავიდე, იქიდგან ყველგან კაცები გავგზავნო და ჩვენი გამარჯვება ყველას ვაცნობო. ამისთვის ის თავის ჯარი თავ-თავის მხრე-ბისაკენ დაითხოვა, თვითონ რამდენისამე თავის საკუთარის ამალის *) კაცებით სასწრაფოდ გამოსწია მოკლე გზითა. მთელი ის ღამე ეარა და მეორე დღეს, მზე კიდევ მაღლა იყო, შუადღის შემდგომად, რომ აქ ქ. ტფილისში მოვიდა, ისე როგორაც ზევით გავიგეთ. როდესაც რომ მეფე ირაკლის გაემარჯვა, მაშინვე ბატონიშვილი გიორგი მო-სულიყო, მამისთვის მოელოცა გულის წმინდით გამარჯვება და ცრემლით მოხვეოდნენ ერთმანეთსა. თურმე თავის გამართლება მოეხდომებინა ბა-ტონიშვილს გიორგის, მაგრამ მეფეს მოესწრო ამ სიტყვით:

— «შენმა გაზრდამა, ბ-შვილო გიორგი, ეგ შენი განძრახვა დიახ კარგი იყო, მაგრამ იქამდისინ აღარ გაგვიჭირდა ღვთის მოწყალეებით და ძალიან დავამარცხეთ მტერი.»

მამიჩემის დროსა და იმის შემდგომაც, ახლად მკვდარი რომ იყო მამა ჩემი, ძველი თავადები ხშირად მოვიდოდნენ ბატონიშვილს დედაჩე-მთან და სხვა-და-სხვის ლაპარაკით ატარებინებდნენ დროსა დედა ჩემსა. ერთ საღამოს ჟამზედ კიდევ მოვიდნენ მეითარი თავ. სოლომან თარ-ხნიშვილი, მეფის ირაკლის მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი, მეფის გი-ორგის (მაშინ ბარათაშვილი) მდივანი, თავ. ელიაზარ ფალავანდიშვილი და სხვანი. დასხდნენ და ჩვეულებისამებრ მოჰყვნენ ძველს ამბებსა. ბო-ლოს მდივანბეგს ზაალს და ელიაზარს სთხოვეს ასპინძის ომის ამბავი

*) ამ ამალის კაცებს, ოსმალების გაცრცვილი ტანისამოსი ჩაე-ცვათ და ისე ხლებოდნენ მეფეს, რომელსაც ამაზედ ბევრი ეცინა.

ეთქვათ. ორივ იმ დროს უმაწვილი კაცები იმ ამბავში დასწრებოდნენ (ზაალი მეფე ირაკლის განუშორებლად გვერდით ახლდა, და ელიაზარ—ბატონიშვილს გიორგის.) ჯერ პირველად ზაალ მოჰყვა და ის ამბავი დაასრულა, რაც აქ მეფის ირაკლის ამბავი ვთქვით და მასუკან ელიაზარმა თქვა ისა, რაც ბატონიშვილს გიორგისთან ამბავი მოხდა *). ბოლოს მეითარი სოლომონ მოჰყვა:

— »მე იმ დროს აქ ქალაქში ვიყავ და დედოფალს დარეჯანს ვახლდი სასახლეში, როდესაც ერთი პატივცემული მოხუცებული მოქალაქის ქვრივი საჩქაროდ შემოვიდა დედოფალთან და გულ გახეთქით მოახსენა: შენი ჭირიმე დედოფალო, ჩქარა ავიყარნეთ, ტყეში სადმე დავიხიზნეთ, მეფე თავის ჯარით დიდს საშინელებაში ჩავარდნილაო. ეს რომ თქვა, მაშინვე დედოფალი ფეხშიშველა გამოვიდა და სიონისკენ წავიდა.» ეს ამბავი მეითარმა ასე დაასრულა; მერე ბატონიშვილმა—დედაჩემმა უთხრა:

— «ის პატივცემული მოხუცებული ქვრივი, თავადის ბეგთაბეგიანთ ქვრივი ყოფილა და არა მოქალაქისა. იმ დრო ის ახლოც სასახლესთან მდგარა, ხშირათაც თურმე დადიოდა დედოფალთან და სასახლეშიაც დიდი პატივცემული ყოფილა ის. **) ამას გარდა, ის ასპინძის ომის ამბები აი კიდევ რამდენისაგან გამიგონია: მამიჩემის მამა დემეტრე, (ანუ დიმიტრი) იქ მეფეს ირაკლის ჰხლებია ყოველს ადგილას განუშორებლად ***) და იმისი მოსამსახურენი იმ ომის ამბებს ბევრჯელ იტყოდნენ ხოლმე და სხვებ: ბევრსა მოხუცებული დავითა დემურაშვილი, ბერელა კობასიძე და სოლომანა ხატულაშვილი. კიდევ იმათ გარდა ყათარჩის (მეჯოგეების) სულეიმანისაგან გამიგონია, რომელსაც მეფის ირაკლის ბარგის ჯორები ჰბარებია და მეფის საჯდომ ცხენსაც თურმე ის უვლიდა, სადაც იმ ასპინძის ომში თან მისდევ—მოსდევდა და მეფეს ყველგან ახლდა. ნაამბობთა და იმათ ყურის მიმგდებლებისაგან ხომ რამდენისაგან გამიგონია იმ ასპინძის ომის ამბები და სხვებიც ბევრი.

---

*) შემდგომ ამისა კიდევ ბევრჯელ იტყოდა ხოლმე იმ ასპინძის ომის ამბავს ელიაზარ.

**) მაშინ დედაჩემი ჯერ დაბადებული არა ყოფილა.

***) მამიჩემის მამა დემეტრე და მეფე ირაკლი მესამე ნათესავები იყვნენ.

ზაალ მდივანბეგმა ქსეცა სთქვა: ჩვენი დამარცხება შეუძლებელი იყო, ამიტომ რომ რაც გამოჩენილი ვაჟ-კაცები იყვნენ საქართველოში: თავადები, აზნაურები დ გლეხ-კაცები, იმ დღეს სულ იქ ვიყავით, ამისთვის იმედი გვქონდა, რომ უთუოდ გავიმარჯვებდით.

გამარჯვების შემდგომად მეფე ირაკლიმ სამი დაჭერილი ლეკების ტყვე ეკატერინა კელმწიფეს გაუგზავნა რუსეთში თავის წიგნით: ასე გავიმარჯვეთ ასპინძში, რომ სამი იქ დაჭერილი ტყვე თქვენთვისაც მომირთმევიაო დ სხვა *).

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურიან-**ორბელიანი**.

1845-ს წელსა
ქ. ტფილისს.

---

*) თავადს ალექსანდრე ვახტანგის ძეს ჯამბაკურიან-ორბელიანს «მნათობის» რედაქცია უძღვნის მადლობასა ამ სტატიისათვის. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ჩვენი ისტორიისათვის მასალები ნაკლებათა გვაქვს, ხოლო იმ დროების ისტორიისათვის, რომელსაც შეეხება აწინდელი სტატია, ჩვენ თითქმის სრულებითა ვართ მოკლებულნი რიგიან მასალებსა. ამისთვის «მნათობის» რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავადს ალექსანდრე ვახტანგის ძეს ჯამბაკურიან ორბელიანს, რომ კვლავაც არ მოაკლოს «მნათობს» ამ გვარი ძვირფასი ისტორიული მასალები, რომელნიც საქართველოს ისტორიისათვის შეადგენენ ძვირფასს მოპოვებასა.

# ჭმუნვა.

სევდამ და ოხვრამ გული ჩემი შემუსრა მწარედ,
ვიგლოვ აწ ბედსა და ვიმყოფი ესრედ მწუხარედ;
ვერსაით ვხედავ სანუგეშოს ვერა რა მხარეთ,—
ვფიქრობ მე მრავალს უიმედოს აზრებს მდუმარედ.

და თან ჰაერი, მოჭმუხვნილი მაძლევს მე ბანსა,—
ნისლებს გარს ისვევს, სიბნელეა და მიხშობს თვალსა;
რიონიც შფოთით, მრისხანებით გვივლის აწ გარსა,
მთაი და ბორცვი, ქუფრ-მოსილი მიახლებს დარდსა.

ღმერთო! აწ შენ გთხოვ მანუგეშე—რავჰყო ბედკრულმან!
ამ გვარ ცხოვრებით მოწყენილმან ვით გასძლოს გულმან!
ცისა სიბნელით, შეწუხებით ესრედ დასხულმან,
მძაფრის ყინვისა და ნისლისგან შეწუხებულმან?......

ყვავილთ თოვლს შიგან გამომჭვრეტელთ ვუმზერ აწ ჭმუნვით,
ხვისგან დაჩაგრულთ, უიმედოთ, ფერმკრთალთ, თავდახრილთ,
ყინვით დაზრულთა, დათრთვილულთა, არ სიბერით ჭკნულთ;
უბედურებით უძლურ-ყოფილთ და უცებ სნეულთ. . .

აწ განვიზრახვე—მათ საშველად მსურის მოწყვეტა:
შეუბრალებლად დაჩაგრულის მტანჯავს მე ჭვრეტა.
უმჯობესია ხან-გრძლივ ტანჯვას რომ სრულად მოსწყდეს
და უსიამოს სოფელს იგი მსწრაფლად განშორდეს. . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მაგრამ ეს რა ვსთქვი, რათ ავჩქარდი უმაწვილურათა?
მოწყვეტა ვკადრე,—განვიზრახე მოვსპო მტრულათა,
წალკოტი მკაცრად განმექარწვა მე მხეცურათა,
მასთან მომესპო მის მშვენება პირუტყულათა.

ისევ ასე სჯობს, რომ იმედი ჩემს გულსა მივცე,
ზაფხულის დრომდის გაუფთხილდე და ნუგეში ვცე:
ოდეს მზის სხივი მას დაჰხედავს—აღორძინებს,
ყინვას დაადნობს და ყვავილებს აუბიბინებს. . .

ქნ. ნინა ორბელიანისა.

ქუთაისი. 1863 წ. 5 ოკტომბერს.

# ლუკმა-პურის ამბავი.

## აღწერა

## კაცისა და ცხოველების სიცოცხლისა.

თხზულება მასესი.

---

გარდაკეთებული.

---

თბილისი.
1869

მკითხველი არ გაგვკიცხავს შენიშნულ ნაკლულევანებაზედ, რადგან ეს გვარი მეცნიერება ჩვენში ძალიან მცირე ხარისხზედა ჰდგას და მაშასადამე მაზედ შრომა ძალიან საძნელოა ყველასათვის. ამასაც ნუ დაივიწყებს მკითხველი, რომ მარტო სამეცნიერო სიტყვების გადმოღებაც ქართულად ძალიან ძნელი და გასაჭირი საქმეა.

აქ საჭიროდ ვრაცხავთ დაუმატოთ, რომ ამ თხზულებაში კაცისა და ცხოველების სიცოცხლე ფიზიოლოგიურად არის აღწერილი ანუ სხეულის შესახებ, ესე იგი: სიცოცხლე და ზრდა სხეულისა, მისი ასოების დანიშნულება და საქმე, და სხვა. ამ გვარი საგნის შესწავლა მიუცილებელი საჭიროებაა, და ვინც შესწირავს რამდენსამე დროს ამ საგნის შესწავლასა უეჭველია დროს ამაოდ არ დაჰკარგავს და კმაყოფილებასაც ჰპოვებს.

რედ.

## ლუკმა-პურის ამბავი.

### წერილი 1.

### შ ე ს ა ვ ა ლ ი.

მე მინდა, ჩემო საყვარელო მკითხველო, ბევრი რამ აგიხსნა შენა. ამისთვის თუ შენ მათხოვებ მე ბოლომდისინ გულის-ყურს, სალასიანად გაიგონებ ჩემს ნაამბობს და თუ ამასთანავე იმდენად გაისარჯები, რომ შენმა ჭკუამ და გონებამ ადვილად მიიღოს და შეითვისოს ის, მაშინ მე ვიქნები ფრიად მოხარული, და შენც ადვილად მოისაზრებ და დარწმუნდები, რომ სწავლა და მეცნიერება სასიამოვნო და საყვარელია ყველა კაცისათვის და არა მოსაწყინარი და მოსაბეზრებელი.

მე მინდა გიამბო შენ ლ უ კ მ ა-პ უ რ ი ს ა მ ბ ა ვ ი!.... იქნება შენ თავში აზრმა გაგიაროს, რომ ეს შრომად არა ღირს და რომ შენ ამაში არც წრთვნა გინდა, არც სწავლა და, ვინიცის, რომ შენ ჩემზედ უკეთ გემარჯვება შეჭმა, თუ გინდ, ნახოხბილი ქათმისა ან მტრედის ტაბაკასი.

მაგრამ უნდა გითხრა, რომ შენ არცკი წარმოგიდგება თვალ წინ, რამდენი რამ მნიშვნელობა აქვს სიტყვას: «ჭ ა მ ა», რამდენ აზრს იპყრობს, რამდენ საგანზედ უჩვენებს; მე რომ მინდოდეს და გამოუდგე მთელ ამ სიტყვის ახსნას, შემეძლო ერთი ვაება წიგნი დამეწერა. განა ყველას უკითხავს თავის-თავისთვის თუ კაცი რათა სჭამს და რათა სვამს?

ბევრისთვის ეს კითხვა სასაცილოა; ბევრი ამბობს: «კაცი იმისთვის სჭამს, რომ სხვა და სხვა საჭმელი არისო, მაგ. თევზი, სიზილალა, ორაგული, თართის დოში, ჟელე, ბლიემანჟე, ხოხობი, ნადირის ხორცი, ტარხუნა, ქონდარი და სხვ. და ყველა ეს საჭმელი ისეთი გემრიელი და სასიამოვნოაო, რომ კაცმა არ შეიძლება არა სჭამოსო.

მშვენიერი მიზეზია, ისეთი მიზეზია, რომლების ცალი არ შე-

ძლება იყოს. მაგრამ უბრალო საჭმლის მეტი რომ არა გვქონოდა რა საჭმელად, მაშინ რაღას ვიტყოდით იმაზედ, «რათა სჭამს კაცი»? ვსთქვათ, რომ საჭმელად ჩვენ მარტოკა ლობიო გვაქვს: — ხომ იცი, მკითხველო, არიან იმისთანა საწყალი კაცები, რომლებიც მარტო ლობიოსა სჭამენ და სხვა ამ გვარი შეჭამანდითა სცოვრობენ და კარგა მადიანათაც შეექცევიან ხოლმე იმას; — ლობიოს რაღათღა სჭამენ ეს საწყალი კაცები, როცა ამის მეტი იმათ არა ფერისაგან არა აბადიათ რა?

მე აგიხსნი ამას, თუ შენ არ იცი. არც ერთხელ არ გაგიგონია, რომ დედას უთქვამს თავის შვილზედ: «ტანისამოსი დაუმოკლდაო» და რასაკვირველია ამ მიზეზით ახალი კაბა შეუკერავს. რისგან იყო ეს! რათ დაუმოკლდა ყმაწვილს ტანისამოსი, ასე რომ ახლის შეკერვა მოუნდა? — ეს რა კითხვაა! იტყვი შენ. რათა და იმიტომ, რომ ყმაწვილი გაიზარდა! — მაშ ახლა მითხარ, როგორ მოხდა ის, რომ გაიზარდა? ეს ხომ შენც იცი და მეც ვიცი, რომ ყმაწვილისთვის ფეხები არა ვის არ უჭიმია; თუ ყმაწვილს ხელები ისე გაეზარდა, რომ კაბის სახლები აღარ სწვდება და ტიტველა მკლავები უჩანს, ეგ ხომ იმას არ ამტკიცებს, რომ იმისთვის დაყვში ძვალი ჩაუყენებია ვისმე და იმიტომ დაჰგძელებია მკლავები. მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ თავის თავად არა ფერი არც იზრდება და არც პატარავდება — ეს ყველამ იცის, დამტკიცება აღარ უნდა. ახლა ჩვენ ყველანი დავრწმუნდით, რომ ყმაწვილისთვის არცარა ვის მიუკრავსრა და არცარა მოუბამსრა, არცარა მოუმატებია ვისმე რამე; არავის უჭიმია, რომ გაგძელებულიყო, — მაშ რისგან უნდა იყოს, რომ ყმაწვილი აჰყრის ხოლმე ტანს და გაიზრდება. ამის მიზეზი თუ გარეგანი არ იყო, მაშ ცელქი და მოუსვენარი რამ სულიერი იმოქმედებდა შიგნიდგან; ის მოუმატებდა და გაზრდიდა ყმაწვილის ტანს, იმის ხელსა და ფეხს. არ იცი ვინ არის ეს უცნაური და მიუწდომელი სულიერი? — ეს სულიერი თვითონ ყმაწვილია.

გაზრდის მიზეზიც ის არის, რაც იმას უჭამია: ხორცი, რძე, ბოზბაში, ლობიო, ყურძენი, მსხალი და სხვ. რასაც კაცი სჭამს, ყველა იმ პატარა გუდაში ჩადის, რომელსაც კ უ ჭ ს ეძახიან და რომელიც შენც კარგად იცი, მკითხველო. კუჭში საჭმლები კაცის დაუკითხავად იხარშებიან, იხდებიან და გადაკეთდებიან, მერე ეს გადაკეთებული, ანუ უკეთა ვსთქვათ, მონელებული საჭმელი უჩუმრად დაივლის მთელი კაცის სხეულის აგებულებაში, გაუჯდება ტანის ყველა ნაწილებში და გადაიქცევა სოლ-

შე ჯერ სისხლად, მას შემდეგ ხორცად, ძვლებად და სხვა. რომელიც გინდა შენი სხეულის ნაწილი აიღე, ყველა იმისგან არის შემდგარი, რაც შენ გიჭამია, თუმცა ამას შენ სულ ვერ შეატყობ; შენი ფერჩილები, რომელიც ყოველ დღე გეზრდება, შენი აბრეშუმივით მღელვარე და გიშრის ფერი სუჭუჭი თმები, რომელიც თავზედ ამოგდის, როგორც მიწიდგან ამომავალი მობიბინე ბალახი, შენი თეთრი, მღელვარე კბილები, ყველა ეს, მკითხველო, შენგან არის შეჭმული, თუ არა უჭმელად შენ არ გექნებოდა ესენი. ყმაწვილის გაზრდაც ასე მოხდება საჭმლისაგან; შენც რომ ყმაწვილი იყავი ამ გვარადვე იზრდებოდი—საჭმლისაგან, რომელიც შენ კუჭში გადაკეთდებოდა და მერე შენ სხეულს ემატებოდა.

ამასთან ესეც დაიხსომე, რომ ეს ანბავი მარტო კაცს არ მოსდის. აიღე რაც გინდა, თუ გინდ მაგალითად: კატა. ჯერ ის პატარაა ხოლმე და რამდენსამე ხანს შემდეგ ვაება გახდება, რა გაჰზრდის ასე დიდს? საჭმელი. აბა ნურა ფერი ნუ აჭამა, მაშინ შენ ჰნახავდი, რომ კატა არ გაიზდებოდა და შიმშილითაც მოკვდებოდა. ვაება უზარმაზარი ხარიც წინად პატარა ხბო იყო, მაგრამ რაკი ბალახი მოძოვა და თივა ჭამა, ის ნაჭამი სულ იმის ხორცად გადაიქცა და ამიტომაც სიდიდე მოემატა. მერე ამ ხარს კაცები სჭამენ და ამ ხარის ხორცი კაცის ხორცად გარდაიქცევა. დიდი და მაღალი ხეები, რომლებიც დგანან ჩვენ საქართველოს ტყეებში, პირველად რომ ამოსულან მიწიდგან, უეჭველია ჩვენ ნეკზედაც წვრილები იქნებოდნენ და ამ პაწაწაებს იმდენად უსაზრდოვნიათ, იმდენი რამე მიუღიათ და შეუსვამთ მიწიდამ და ჰაერიდამ, რომ ბოლოს ასეთი დიდი და მაღლები გამხდარან.

როგორა! მკითხავ შენ. განა ხეებიც სჭამენ რასმეს?

— დიახ, ჩემო ბატონო, ისინიცა სჭამენ. ისინი პირუტყვებს არცა დაუვარდებიან ჭამაში. ისინი სჭამენ დაუღალავად დღეცა და ღამეც. იმათი ჭამა და ზრდა ცოტათი განირჩევა და ბევრითა ჰგავს ჩვენსას. შენ ძლიერ გაიკვირვებ, როცა გაიგებ, რამდენი მსგავსება აქვს ჩვენსას და მცენარეების ჭამასა და ზრდას. ამაზედ ჩვენ მერე ვილაპარაკებთ.

შენ რასაკვირველია დამთანხმდები, რომ ამაზედ საკვირველი არც ერთი უცნაური ზღაპარი არ არის, რომ სხვა და სხვა საჭმელები კაცად ანუ ქალად გადაიქცნენ და სხვა და სხვა ბალახმა ხბო დიდ ხარად გახადოს.

ინგლისში სხვა და სხვა გასაკვირველი მანქანები (მაშინები) არის.

ეს მანქანები უბრალო ბამბას მშვენიერ წმინდა ნაქსოვად გადააქცევენ ხოლმე, დაჰკეცენ და მზას მოგცემენ ხელში, ისე რომ გაყიდვის მეტი არა უნდა რა. ეს საოცარია, მაგრამ ჩვენი სხეული უფრო გასაოცარი მაშინა ანუ მანქანა არის; იმას ვაძლევთ ჩვენ სხვა და სხვა საჭმელს, და ეს მანქანა აქცევს ხოლმე ყველა ამას ჩვენ ფრჩხილებად, ძვლებად, თმად, ხორცად და სხვა. ჩვენი სხეულის აგებულებაში მრავალი სხვა და სხვა რამე არის, სხვა და სხვა ნივთიერება, რომლებიც ერთმანეთს არა ჰგვანან; ამას სულ ჩვენ ვაკეთებთ ჩვენსავე შეუტყობრად და გაუგებრად და კარგიც არის ეს, რომ ჩვენ სხეულში ყველაფერი ჩვენ დაუკითხავად ხდება. ჩვენ რომ იმაზედაც გვეფიქრა და გვეზრუნა, რაც ჩვენს სხეულში ხდება, მაშინ სხვას ვეღარაფერს გავაკეთებდით. მე დაჯერებული ვარ, რომ ყველასთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა იმ გვარი მანქანა მოეგონათ, რომელსაც ყველა ჩვენი საქმე გაეკეთებინა: თავის თავად მოეარნა სახლ-კარისთვის, დაჰგვავა, დაერეცხა, გამოეჭრა, შეეკერა, და საზოგადოდ ისე გაუგებრად და ჩუმად ემუშავნა, როგორათაც ჩვენი მანქანა სხეული, — მაშინ ყველანი მოხარულები იქნებოდნენ და მეტადრე ზარმაცები. ჩვენი მანქანა დაუღალავად, დაუზარებლად მუშაობს ჩვენი დაბადებიდგანვე, არაოდეს არ გვიღალატებს ხოლმე.

ეს მისნური და საოცარი მანქანა მარტო ჩვენ არა გვაქვს. ამ ნაირი მაშინა კატასაცა აქვს, ხარსაც და ყველა პირუტყვებს; ამასთან ყველა ცხოველებში ის მოქმედებს ერთ ნაირად და ერთ ნაირათაც არის გამართული; მაგრამ, რასაკვირველია, ცოტაოდენი ცვლილებაც არის ამ გამართულობაში; ამის გამო თვითონ იმათ მუშაობაშიაც არის გარჩევა. ამას მე მერე აგიხსნი.

მაგრამ ეხლაც კი გეტყვი, რომ ხარის მანქანა, ესე იგი იმისი მთელი სხეულის შინაგანი აგებულება, სრულებით ისე არ არის მოწყობილი, როგორც კატისა. ხარი სჭამს ბალახს და ამ ბალახს აქცევს თავის ხორცად. კატა კი ხორცსა სჭამს; იმის მანქანა ამ ხორცს თავის სხეულის ნაწილებად გადააკეთებს ხოლმე. ფაბრიკებში და ქარხანებშიაც ესეა ხოლმე. ვსთქვათ ერთ რომელსამე ქარხანაში ართავენ რასმე. ამისთვის სართავი მანქანები აქვსთ გამართული. აგებულება ერთია ამ მანქანებისა, მაგრამ იმათი მოწყობილობა და გამართულობა სხვა და სხვა ნაირი არის. ამათი გამართულობა და მოწყობილობა იმაზედ ჰკიდია, რას ართავენ ეს მანქანები — მატყლს, ხელს, თუ კანაფს, ან სხვა რასმე.

კაცისა და პირუტყვების მანქანის, ანუ აგებულების გარჩევას სხვა მიზეზიცა აქვს. მგონია შენ კარგად იცოდე, რომ ცხოველები—(ცხოველები ჰქვიან იმას, რასაც თავისუფალი მოძრაობა აქვს)—განსხვავდებიან ერთი ერთმანეთისაგან: ერთსა აქვს მეორეზე მეტი ღონე და ძალა, მეორე უფრო ჭკვიანია და გონიერია, მესამე მარდია, მკვირცხლი გაქცევა იცის და სხვანი. მაგალითებრ: ძაღლი უფრო გონიერი და სასარგებლოა და ყველაფრით უკეთესობს ბაყაყზე. ბაყაყიც თავის კვალად წარმატებულია, ვიდრე ოსტრიადი, რომელსაც არც თავი აბადია სადმე, არც სხეულის ნაწილი რამე. ბაყაყი მოძრაობს, ოსტრიადი კი შემძვრალა თავის ბუდეში, რომელსაც ჩვენ ვეძახით ბაკანას ანუ სადაფს, და ამ ბუდეს ისე მაგრა მიჭკრობია, რომ კაცის ოსტატობაც ვერ გამოიყვანს იმას იმ ბუდიდგან.

როგორც ძაღლს, ისე ბაყაყს, ისე ოსტრიადს ან თუ გინდ ლოკოკინას, აქვსთ ეს მოხსენებული მანქანა, მაგრამ ლოკოკინის და ოსტრიადის მანქანა, ანუ აგებულება, უფრო მდარე და უსრულოა, მინამ ბაყაყისა; ძაღლში კიდევ ეს მანქანა, აგებულება, უფრო სრული და წარმატებულია, ვიდრე ბაყაყში. კაციდამ რომ დავიწყოთ და ქვევით-ქვევით ჩავიდეთ ბოლო და ბოლო ცხოველებთანა, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს მანქანა ნელ-ნელა იცვლება. ჩვენ ვიცით ეხლა, რომ კაცი და ცხვარი ერთნაირნი არ არიან, მაიმუნი და ძაღლი, მგელი და სპილო, ლომი და ფრინველი, თევზი და ფრინველი—სულ განირჩევიან ერთმანერთისაგან. ყველას კარგად შეუნიშნავს, რომ კაციდგან და მაიმუნიდგან დაწყობილი ყველა ნადირი უფრო სრული და წარმატებულია, ვიდრე ფრინველი. ფრინველები კიდევ თევზებზე უკეთესობენ და სხვ. თითონ ნადირების აგებულებაც განირჩევა ერთმანერთისაგან: სპილოს აგებულება უფრო უკეთესია, ვიდრე ძაღლისა, ძაღლისა უფრო — ვიდრე კატისა და სხვ.

ესე, კაციდგან დაწყობილი რაც ქვევით და ქვევით წავალთ, იმდენი უფრო და უფრო დაბალი ცხოველები შეგვხვდება, რომელთაც აგებულება არა აქვსთ ისეთი სრული და წარმატებული, როგორც კაცსა, და ამ აგებულებას ნაკლულევანება ხან თავის მოწყობილებაში აქვს, ხან სხეულის ასოების მოწყობილებაში და სხვ. მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვა, რომ ეს მანქანა საზოგადო აგებულებით ყველა ცხოველში ერთი და იგივე და ამის პლანი (ანუ სურათი) არ იცვლება. ბევრს იქნება ეგონოს, რომ ეს

პლანი ერთი არ იყოს, რომ ყველა ცხოველის და მცენარის აგებულება ჩოულებით განსხვავებული იყოს ერთმანერთისაგან. მართლაც და ბევრი იტყვის: რითა ჰგავს კაცის სხეული ბაყაყისას ან თევზისასო? მაგრამ ვინაც კი კარგად შეუსწავლია კაცის და ყველა ცხოველის აგებულება და გამართულობა, იმან იცის, რომ იმათ ერთმანერთში მსგავსება აქვსთ: ზოგიერთი ხასიათით ისინი სრულებით არ ირჩევიან ერთმანერთისაგან.

მე აგიხსნი ამას ცხადის შედარებით, რომ უფრო ადვილად მიჰხვდე და გაიგო ესა! ხომ იცი ლამპარი, რომელსაც ღამ-ღამე ანთებენ ხოლმე. ახლა ავიღოთ ეს ლამპარი, მოვაცალოთ შუშაცა და ის რკინაც, რომელშიაც პატრუქი ენთება, აგრეთვე ის ბორბლიც გამოვაცალოთ, რომლითაც ასწევ-დასწევენ ხოლმე პატრუქსა; ჩვენ მაშინ დაგვრჩება ხელში მხოლოდ ზეთის სადგომი ბურთი და ამ ზეთში ანთებული პატრუქი.

ამ დროს რომ კაცს უთხრათ «ეს ლამპარი არისო», ის მაშინვე გვეტყვის: «ვინ გითხრათ? ამისთანა ლამპარი მე არ მინახავსო». მაგრამ ჩვენ მაინც დაჯერებული ვართ, რომ ეს ლამპარია. ჩვენ ეს ლამპარი მოვშალეთ, შუშა და რკინა მოვაცალეთ, მაგრამ მაინც ისევ ლამპარს ვეძახით, თუმცა ის წინანდელსავით კარგად აღარ ანათებს.

ესე უნდა ვიფიქროთ ყველა ცხოველების აგებულების შესახებაცა. უცოდინარი კაცი ვერ მიჰხვდება, რომ რაც ჩვენ აგებულება გვაქვს, იმისი მსგავსი ყველა ცხოველსაცა აქვს; მაგრამ განათლებულმა კაცმა კი კარგად იცის, რომ ეს აგებულება ყველას ერთ-ნაირი აქვს საზოგადოდ. პირველად ჩვენ გავსინჯოთ და კარგად გავიგოთ შენი აგებულების გამართულობა და შემზადება. მაშინ შენ, ჩემო მკითხველო, გაიგებ თუ რამდენ აურიცხველს ნივთებს განიჭებს ეს შენი მანქანა, რამდენსა გშველის და რა ნაირად გემსახურება. შენ შეიტყობ რა შეემთხვევა ხოლმე იმ პურის ლუკმას, რომელსაც ჩაიდებ ხოლმე პირში და არხეინად გადაჰყლაპავ; შეიტყობ საით გამგზავრდება ხოლმე ეს ჩაყლაპული პურის ლუკმა. მაშ მე გიამბობ შენ *ლუკმა პურის ამბავს*. როცა შენგან შეჭმულის ამბავს და გარდასავალს გაიგებ, მაშინ მე მოგიყვები ცხოველებზედ ლაპარაკს და გეტყვი რასაცა სჭამენ ისინი. მე პირველად იმ ცხოველებს აგიწერ, რომლებიც უფრო გვგვანან ჩვენ აგებულებით, და მერე უფრო და უფრო ქვევით ცხოველებთან წავალ. ამას გარდა მე მოვიხსენებ იმასაც, თუ რასა სჭამენ მცენარეები, რადგანაც ჩვენ წეღანვე დავრწმუნდით, რომ ისინიცა სჭამენ რასმე.

როგორა გგონია, აქ არის რამე იმის ღირსი, რომ კაცმა ისწავლოს და ამის შეტყობაზედ თავი შეიწუხოს?

იქნება შენა სთქვა, რომ ამის ამბავი ძრიელ გაგძელდება და ამასთან შენ უამისოთაც შეექცევი ხოლმე პურსაც და სხვა საჭმელებსაც, და არც თუ როდისმე დაგჭირებია ის ფიქრი, თუ რა მოსდის იმას, რასაცა სჭამ. შენ იტყვი, რომ უიმისოთაც იზდებოდი. ეს ძალიან შემცდარი აზრია. კაცი ყველა ცხოველებზედ ზევითა ჰდგას, ამისათვის ის ყოველის მხრით ზევით უნდა იდგეს იმათზედ — ცოდნითაც. ამასთან მსწავლულები ამბობენ: ს წ ა ვ ლ ა ა ნ უ ც ო დ ნ ა ა რ ი ს ძ ა ლ ა ო. თუ ცოდნა — ძალაა, უნდა ყველაფერი ვისწავლოთ, რომ ძლიერები ვიყვეთ; და რადგან ჩვენი თავი უფრო ახლოა ჩვენზე, ამის გამო ჩვენი სხეულის აგებულება უფრო ყველაზე უწინ უნდა ვისწავლოთ — ეს ჩვენვე მოგვიტანს სიკეთეს. აგრეთვე სხვა მსწავლული ამბობს: «სწავლა, ცოდნა — არის სინათლე, ხოლო უცოდინარობა, უსწავლელობა — სიბნელეო».

## ნაწილი პირველი.

## კ ა ც ი.

## წერილი 2.

### ხ ე ლ ი.

პირველ წერილში მე საზოგადოდ გითხარი იმაზედ, რაც უნდა აგიწერო და გიამბო სხვა ჩემ წერილებში. ეხლა კი უნდა მოვყვე თავიდამ და დაწვრილებით გიამბო სულ ყველაფერი, რაც კი ასაწერი და სათქმელი მაქვს. დავიწყობ. შენ უეჭველად გგონია, რომ მე დავიწყებ ლაპარაკს პირზედ. სულაც არა. მე უნდა გელაპარაკო ჯერ ხელზედ, რადგან უამის შემწეობოდ პირი ცარიელი დარჩება. როდესაც ჭამა გინდა, ჯერ უნდა პურის ლუკმა მიიტანო პირთან, რომ ჩაიდვა და დაჰღეჭო; მართლაცა და როგორა სჭამდი ან სადილს და ან ვახშამს, ხელები რომ არა გქონდეს? მაშ ჯერ პირველად ხელი უნდა ავსწერო. მე ბევრს არ გავაჭიანურებ იმის აღწერაზედ. ეს საჭირო არ იქნება შენთვის, რადგან შენ ეს ისეც კარგათ გეცოდინება; მაგრამ ეს კი

ურიგო არ იქნება ვიკითხოთ, თუ ჩვენი ხელი რათ არის უკეთესი და სრული კაცის ფეხებზედა ანუ თათებზედ, რომლებიც იმას ჰშველის თავების დაჭერაში. ჩვენ ხუთ თითში არის ერთი თითი, რომელსაც ეძახიან ცერს და რომელიც არის ყველაზედ მსხვილი. ეს ცერი დიდი რამ არის ჩვენთვის, დიდი პატივის ღირსია. კაცი ამ ცერის ორი პატარა ძვლით უკეთესია და სჯობნის ყველა ცხოველებს, ეს კარგი და ძვირფასი სამკაულია კაცისთვის.

კაცს რომ ეს ცერი არა ჰქონოდა, მაშინ იმისი სხვა და სხვა მოგონებაები ამ ნაირს სიძლიერეს ვერ მიაღწევდნენ. შენ კარგა იცი, რომ თუ თეფშში არ გეგულება საჭმელი, ამაოდ გაიწვდი იმისკენ ხელს და მერე იმ ცარიელ ხელს ამაოდ მიიტან პირთან. ახლა უნდა იცოდე, რომ უ ამ ცეროდ არაფერი საჭმელის შოვნა არ შეიძლებოდა, რაც უნდა სცდილიყავი. ხომ აგიღია რამე ხელში, — თუნდა პურის ლუკმა? ამ დროს არ გიდევნებია თვალ-ყური შენი ცერისთვის და არ შეგინიშნავს რა ნაირად გშველის ხოლმე ეს ცერი აღებ-დალებაში. თუ ეს ცერი არ მოქმედებს, ან შეხუთული გაქვს, ან როგორმე ნატკენი, შენ ვერაფერს დაიმაგრებ ხელში და ერთ დიდ გაჭირებაში ხარ; თუ ეს არა გჯერა აბა ერთი სცადე და მიიტანე კოვზი პირთან, ისე რომ ცერი არა გშველოდეს. მაშინ დაინახავ, რა ძნელია უცერობა. მაშინ გაიგებ, რომ უცეროდ ერთი თეფშში საჭმლის შეჭმა ძალიან გასაჭირია და დიდ ხანს გასწევს. ეს ცერი ისე არის მოყვანილი, რომ შენ შეგიძლიან დაუპირდაპირო ის ყველა თითს, თუნდ ნეკს და თუნდ სხვას — ცალცალკეც და ერთათაც. ამიტომაც შეგიძლიან აიღო ყველა ნივთი. ამიტომაც ჩვენი ხელი უფრო მარჯვეა და უფრო კარგა და სისრულით არის გამართული და გაწყობილი, სინამ სხვა რომელიმე ცხოველისა, მაიმუნის გარდა, რომელიც ხელებითაც და ბევრ რიგადაც თითქმის ჩვენა გვგავს. მე უნდა გითხრა შენ, რომ ხელი სწორედ რომ ამ ცერის მოძრაობით გაირჩევა ფეხისაგანაც და თათისაგანაც. ჩვენი ფეხი ვერც ვაშლს დაჰკრებს და ვერც რასმეს დაიჭერს. ამის მიზეზი ის არის, რომ ფეხის ცერს ვერ დაუპირდაპირებთ სხვა ფეხის თითებს, რაც უნდა ვკვლანჭოთ და ვგრიხოთ თითები. ამის გამო მე არავინ გამამტყუნებს, რომ პირზე წინათ ხელებზედ მოგელაპარაკო, რადგან ხელები გვიმზადებენ და გვაძლევენ საჭმელებს.

ხელი ჩვენთვის დაუფასებელი რამ არის, უიმისოდ ჩვენ ჭამა-სმა

არ შეგვეძლო. იქნება სთქვა, რომ თუ გინდ ხელებიც არა მქონდეს შიმშილით არ მოვკვდებით. ეს ასე გგონია იმიტომ, რომ ერთი შემთხვევა გავიწყდება, თუმცა ამის დავიწყება არ შეიძლება. მოიგონე, რომ შენ გარდა ბევრი-ბევრი ხელი მუშაობს შენი სმა და ჭამისთვის, გასხოვნდეს, რომ სხვა ხელები რომ არ იყოს, მარტო შენი ხელები ვერას დროს ვერ გასაზრდოებდა შენ. აი მაგალითებიც შორს არ არის. აბა წარმოიდგინე რამდენი კაცის ხელი მონდომია იმ ერთ სტაქან ჩაის, რომელსაც შენ დილით მიირთმევ ხოლმე,—იმის დამთესისგან მოყოლებული იმის მომდუღებლამდის. ან ერთი პური ავიღოთ და ჩამოვთვალოთ რამდენი ხელი მოუნდებოდა. გუთნის-დედამ უნდა მოხნას მიწა, მერე დათესოს, შემდეგ დაფარცხოს და მომკას, გალეწოს, ახლა კიდევ მეწისქვილემ უნდა დაფქვას; მერე ეს ფქვილი უნდა მოზილონ, შემდეგ გამოაცხონ. ჰხედავ რამდენი ხელი ირჯება და მუშაობს იმ პურისთვის, რომელსაც ყველაზედ ხშირად ვხმარობთ. ჩვენ არ ვიანგარიშეთ ფიჩხის მომჭრელი და მომტანი, წყლის მომტანი და რამდენი სხვა.

ყველისა და ერბოს გაკეთებას რამდენი ხელი უნდა! ან კიდევ შაქრის გაკეთებას, ჩაისა და ყავის მოყვანას და ერთის სიტყვით რამდენი ხელი არის საჭირო ყველა ნივთის გასაკეთებლად, რომელთაც ვხმარობთ ცხოვრებაში. ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებ, იმ მადლიან ხელს, რომელიც უფრო ყველაზედ საჭიროა — დედის ხელს. ჰხედავ დედა რამდენს ირჯება? მისი ხელი ეხმარება ყველას, მშრომელ ხელებსა ზრდის... ახლა კი მგონია მიხვდი, რომ თუნდა ერთი რომელიმეს ხელები არაფერს აკეთებდენ, მაინც არაფერი დასაკლისი არ იქნება. ეს არც გასაკვირია, რადგანც იმის მაგივრად ასი ათასი მხნე და ვარჯიში ხელი მუშაობს ქვეყანაზედ..... როდესაც ჩვენ ჭამა გვინდა, მოვიტეხთ პურის ლუკმას და საითაც უნდა იქით წავიღებთ. პირიც გაგველება. ახლა ჩაყლაპვა-ღა უნდა. მაგრამ ჩაყლაპვამდის უნდა შევიცადოთ და ცოტა მოვიფიქროთ. აბა პირი დავადაროთ სასტუმრო ოთახისა ან ჩვენებური დარბაზის შესავალ კარს. უწინაც სცოდნიათ და ეხლაც რომ შეხვიდე ვინმე დიდი კაცის სახლში, მაშინვე ქჯიბი ან ლაქია გამოგეგებება, გამოგკითხავს შენ სახელსა და გვარს, შეიტყობს რისთვის მოსულხარ, და თუ დაატყო, რომ შენი შეშვება სახლში არ შეიძლება—უკანვე გამოგაბრუნებს. ჩვენთვისაც საჭიროა, რომ პირში ამნაირი ქჯიბი გვყვანდეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლადაცა გვყავს. იცი ვინ არის ეს ექიმი?—ამას შემდეგ წერილში გეტყვი. მანამ კი ორიოდე სიტყვით გამოვკრიბოთ ნათქვამიდგან სასარგებლო ცოდნა. შენ მკითხავ: განა აქ სასარგებლო არის რამეო? დიახაც არის. ჯერ პირველად ისა, რომ ბევრი ჩვენგანის ხელები არა შრომობენ, და რჩებიან ისინი, მაშასადამე, სხვის ხელების შრომითა; ამ მშრომელებს ისინი სრულებით არც კი იცნობენ და შეხვედრის დროს იქნება კიდეც ეზიზღოთ და ზურგიც მიაქციონ, თუმცა ჩვენი სიცოცხლის ჩარხი იმათი ნაშრომისგან ბრუნავს და ჩვენი კმაყოფილება იმათი გამავებული და დამსხვილებული ხელებით არის მონიჭებული. ერთიც კიდევ ის უნდა ვსთქვა, რომ ყველას სხეულის მოთხოვნილება ერთია, ყველა ხელებს შეუძლიან შრომა, და რამდენიც ცოტა ხელია უქმად და ბევრი ხელი შრომობს, იმდენი ცხოვრება ადვილია და ჯაფაც უმცირდება კაცს; ხოლო რამდენიც ბევრი ხელია უქმად და ცოტა ხელი შრომობს, იმდენი ცხოვრება ძნელდება და შრომაც უმძიმდება კაცს, მაშასადამე სიცოცხლეც უმძიმდება.

## წ ე რ ი ლ ი 3.

### ე ნ ა.

ახლა კი გეტყვი იმ ექიმის ანუ მეკარის სახელსა, რომელზედაც წელან გითხარი. ის მეკარე, რომელიც პირში მცველად გვახლავს, არის გ ე მ ო. ეს გემო კარგი და საქები ექიმია. ჩვენ რომ ვჭამთ რასმე, სულ ამ გემოს ვეკითხებით, რასაც ეს გვირჩევს საჭმელად, ჩვენც იმასა ვჭამთ სიამოვნებით. ენაც კი რასაკვირველია გვშველის ამაში და კბილებიც გვეხმარებიან. თუ კი რამ შევჭამეთ უგემური, ცუდი და მავნებელი, ფიცხლავ გემო გვიბძანებს, რომ ის არ მივიღოთ, და მაშინვე პირიდგან გამოვაგდებთ ხოლმე. ესეც კი უნდა ვსთქვა, რომ გემო ბევრჯელ კიდეც ძრიელ აშავებს, ხშირად ვერა სცნობს კარგსა და ავს საჭმელებს და ბევრჯელ მაწყინარს სიამოვნებით მიიღებს ხოლმე. ეს მართალი სიტყვა არ მოეწონება ბევრ პირის პატივის მოყვარეს.... მაგრამ ჩვენ ჯერ ვილაპარაკოთ გემოს სიკარგეზედ და იმის მოსაწონარ თვისებაზედ, მერე გეტყვი იმის დანაშაულობაზედაც. ჯერ პირველად გემოს სიკეთე ის არის, რომ ჩვენ თუ გემო არა გვქონდეს, შეიძლება ისეთი

რამე შევჭამოთ, რომ მავნებელი იყოს ჩვენთვის. ჩვენ მაშინ შხამსაც შევჭამთ ისე, რომ ვერც კი რამე გავიგოთ. მე გეტყვი შენ ერთს მაგალითს. შენ ხომ იმასა ხჭამ, რაც სამზარეულოში გიმზადდება, მაგრამ შენ მაინც იცი კარგად, რომ ბევრი რამ არის იმისთანა, რომელიც შენ გაწყენს და ავათაც გაგხდის. აბა ახლა ნუ გვქონოდა გემო. ჩვენ ვერ გავარჩევდით საჭმელებში კარგსა და ავსა, თუ კი ჩვენი გემო ამას არ გვეტყოდა. შენ დამთანხმდები, რომ ეს ყურად-ღების ღირსია. ყველაზედ გასაკვირველი ის არის, რომ ყველას, რასაც კი ჩვენთვის შეუძლიან წყენა, მაშინვე შეეტყობა ცუდი გემოთი. მართალია ჩვენა ვსვამთ წამლებს ავად-მყოფობის დროს. ამ წამლებს უფრო უმეტესად ცუდი გემო აქვთ. მაგრამ ეს წამლები სხვა არის. ეს წამლები შეიძლება შევადარო ბუხრის მწმენდელ კაცებს. ეს ბუხრის მწმენდელები გაზუზულ მეგუზალს და შავ ეშმაკს ჰგვანან, მაგრამ ამათ სახლის მეკარე შეუშვებს ხოლმე კარგ სახლშიაც ბუხრის ჩამოსაწმენდად. ესე კიდევ წამლები უნდა მივიღოთ და ვსვათ, ამიტომ რომ ეს წამლები გვარჩენენ ჩვენ ავად-მყოფობიდგან და სწმენდენ ჩვენ სტომაქს. ხომ მართალია, რომ წამლები საზიზღარი სასმელია: გემო მაშინვე შეგვატყობინებს და გვაცნობებს, რომ ეს წამლები საჭმელად სახმარი არ არის. ვინც კი სცდის და სადილ-ვახშმის მაგივრად წამლებს იხმარებს, ის ამას ადვილად შეიტყობს. მე არ დაგიმტკიცებ, რომ გემო არას დროს არ შესცდება და არ მოსტყუვდება. შეიძლება ძალიან ადვილად მოსტყუვდეს, მეტადრე კაცის გემოვნება. კაცმა მოიგონა სხვა და სხვა ეშმაკური საჭმელები, რომლითაც ის ჩქარა მოატყუებს თავის გემოს, ამ ბუნებით სხეულის მცველს, და სრულებით მიაჩვევს თავის გემოს ამნაირ საჭმელებს. აი, ვსთქვათ, შაქარი, რომელშიაც ურევენ სხვა და სხვა წამლებს და მერე იქიდგან აკეთებენ მწვანე ან ლურჯ კანფეტებს: მე ამ ფერი კანფეტკები და ყინვარე შაქარიც დიდი ხანია საშინლად მძულს; ამათში ურევია შხამი. მე თავის დღეში არ დამავიწყდება, რომ ერთი ჩემი საყვარელი ამხანაგი ამ კანფეტკებით მოიწამლა. ჰხედავ რა ნაირს შხამიან კანფეტკებსა ვსჭამთ. ჩვენი გემო ვერ იგებს ამას, რადგანაც შაქარი თავის სიტკბოთი აღარ გვატყობინებს შხამს და თითქო ჰმალავს იმის ძალასა. ზოგიერთხელ ჩვენ არც კი დავაცდით ხოლმე ამ ჩვენ მეკარეს საჭმლის გაშინჯვას. ჩვენ სვავებსავით ვყლაპავთ და არც და ვკითხულობთ კარგი არის თუ ცუდი, რასაც ვჭამთ, თითქო ვინმე უკან მოგვდევსო. ვისი ბრა-

ლი იქნება, რომ ამან ჩვენ გვაწყინოს? ვიცი დამთანხმდები, რომ ძნელი იყო ჭამა რისამე, თუ კი საჭმლის გემოს არ გავიღებდით. აბა მოიგონე, როცა კი შენ პირში გემო არა გქონია, როგორ გიქნევია ყბა?... მაგრამ სხვა ცხოველნი კი ამაში ჩვენა გვჯობიან: ისინი უფრო ჭკვიანად იქცევიან; ხომ გინახავს როცა კატისთვის მიგიცია რამე საჭმელი, ვთქვათ, ხორცის ნაჭერი; ის მაშინვე არ დაჰტაკებია ამ ხორცის ნაჭერს და არ შეუჭამია, მანამ არ უსუნია და ენაც არ აუსვამს ერთი-ორჯერ. ვინ იტყვის რომ ამაში კატა ძრიელ ჭკვიანი არ არის და არ იცის მოხმარება თავის გემოსი. ესე არ იქცევიან ბევრნი და უმეტესად ყმაწვილები; მე ვიცი მრავალნი, რომლებიც მაშინვე პირისკენ გააქანებენ, რაც კი შეხვდებათ ხელში საჭმელი. ისინი რომ ცოტა კატისავით ჭკვიანები იყვნენ ამ შემთხვევაში, ისე ჩქარ-ჩქარაც არ გახდებოდნენ ავად. მაშ შენ ეხლა ჰხედავ, რომ გემოს თავისი სასარგებლო მხარე აქვს; იმას აქვს აგრეთვე სასიამოვნო მხარეცა და ეს უკანასკნელი ბევრჯელ გადაჭარბებს ხოლმე პირველს. ჩვენ იმას უფრო ვეწყობით, რაც საამურია ჩვენთვის, და გვავიწყდება ის, რაც სასარგებლოა; ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი გემო არ მოვატყუვოთ და საამური საჭმელი სასარგებლოც იყოს. კაცს რომ გემო არა ჰქონდეს სრულებით, მაშინ იმას დაჰზარდებოდა ნახევარ საათი პირის ცუდ-უბრალოდ ქნევა და კბილების ერთი ერთმანერთზედ ტყუილად ღეჭვა. ეხლა ამ ყბის ქნევაში არის სიამოვნება და კმაყოფილება, მაგრამ გემო რომ არა გვქონდეს ეს სიამოვნებაც არ გვექნებოდა. კაცი თავის სიცოცხლისთვის და სიმრთელისთვის ითხოვს ამ კარგსა და სასარგებლო საჭმელს. გემო რომ არა გვქონდეს არჩევანს ვერ შევიძლებდით. მაშ გემო დიდი ჯილდოა ჩვენთვის: ის სასიამოვნოდ ჰხდის ჩვენთვის საჭმელს.—ჩვენ მეკარეს ახლავს ყველაზედ უკეთესი მსახური საჭმლის გემოს შესატყობად—ენა.

თუ კაცი მხოლოდ თავის გემოს მიჰყვა და კუჭს აღარ უგდო ყური, მაშინ ის აზარალებს თავის თავს, რადგან სიხარბითა და გაუმაძღრობით დაიმძიმებს სტომაქს — კუჭს, რომელსაც მოჰყვება ავად-მყოფობა. ამის გამო ჩვენმა ეჯიბმა უსარგებლო სტუმრები არ უნდა ჩაუშვას კუჭში, თუ გინდ გემოთი სასიამოვნონიც იყვნენ.

ახლა კი, მგონია, საკმაოდ ვილაპარაკე გემოზედ. მაგრამ ნუ დავიწყებ, რომ ჩვენ პირში გემო მეკარედ ანუ ეჯიბად არის და ნუ გეგონება, რომ იმას ამის მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს რამე. ახლა მე გეტ-

ყვი იმ მეკარის ამხანაგებზედ, რომლებიც დგანან ყარაულად კარებში. ეს ყარაულები დაჰხვდებიან ხოლმე სახლში მიმსვლელ სტუმარს, შეამზა-დებენ ჯეროვანის სახით და ისე გაამგზავრებენ ქვეითკენ. ამ მეკარის ამ-ხანაგებს ჰქვიან კ ბ ი ლ ე ბ ი.

## წერილი 4.

### კ ბ ი ლ ე ბ ი.

როცა შენ პაწაწა ძუძუ მწოვარი ყმაწვილი იყავი, მაშინ შენ კბილების მაგივრად გქონდა მოწივარდის-ფერი ღრძილები; მაშინ შენ არ შეგეძლო მაგარი საჭმლის ჭამა. მაგრამ მაშინ შენთვის კბილი არც კი იყო საჭირო. შენ სწოვდი მარტო ძუძუს და რძით იზდებოდი; ხოლო როდესაც ყმაწვილი წამოიზრდება, მაშინ იმას მარტო რძე ვე-ღარ ასაზრდოებს, ამიტომ საჭიროა იმისთვის სხვა საჭმელიცა, და ამ უკანასკნელისთვის საჭიროა კბილები. მაშინ ღრძილებში დამალული კბილები გამოიღვიძებენ, დაიწყობა გაცხარებული მუშაობა ყველა სხეუ-ლის აგებულებაში და ნივთ-მნათიდგან (ფოსფორი) აკეთებენ თეთრსა და ქვა-სავით მაგარ კბილებსა, რომელიც იზდება ყოველ დღე. ხომ იცი რა არის კირი? აი ამ კირიდამ კეთდება ჩვენი კბილები, ესე იგი კბილები ამ კირიდგან არის შედგენილი; ფოსფორიკი ან ნივთ-მნათი შენ არ გე-ნახვება, მაგრამ მგონია კი გაგეგონება: ეს ზოგი ერთხელ მეწვრიმ-ლებსაც აქვთ. ჰგავს პატარა თეთრ ჯოხს და თითზედ სქელი არ არის. იმას ასდის ნივრის სუნი. ის უნდა შეინახო წყლით სავსე შუშაში, ამიტომ რომ ის უწყლოდ აენთება თუ კი ცოტათი გაეხახუნა რამე, როცა ჰნახო ეს ნივთ-მნათი ხელს ნუ ახლებ, ამიტომ რომ როცა ის ენთება — კანს მიეკვრება ხოლმე; მაშინ იმისი გაქრობა ძნელი არის და ძლიერაც მწვავია. მე ამას იმისთვის გეუბნები, რომ ამ ნივთ-მნათს (ფოსფორს) აქვს ერთი შესანიშნავი თვისება, რომელიც ადვილად შეაც-დენს და მოატყუებს ყმაწვილებს: ის რომ კაცმა კედელს გაუსვას სი-ბნელეში, მაშინვე ის კედელი განათდება და ცოტას ხანს იმაზედ დაეტ-ყობა ცეცხლის ალივით ბრწყინვალე ხაზი; ამას აქვს თავისებური სინათ-ლე და ელვარება, და ამის გამოც ამ სინათლეს ეძახიან ნ ი ვ თ - მ ნ ა-თ უ რ ს — იმ სახელს, რა სახელიც თითონ ჰქვიან. სპიჩკას რომ გაუ-

ხვამთ ხოლომე კედელზედ—ნათელი ხაზი დაამჩნდება; ამის მიზეზი ის არის, რომ სპიჩკაშიაც ურევია ნივთ-მნათი. ნივთ-მნათში შხამია, ამიტომ იმის პირში ჩადება მაწყინარია. იმის შხამს ისეთი ძალა აქვს რომ იმას პურში შეურევენ და თაგვებს მოსწამლავენ ხოლომე. ეს ნივთ-მნათი არის ჩვენ კბილებშიაც და არა თუ მარტო კბილებში, არამედ ყველა ჩვენს და ცხოველების ძვლებშიაც. იქნება შენ არა გჯეროდეს, მაგრამ მე ამას დაგიმტკიცებ. ნივთ-მნათს თითონ ძვლებიდგან აკეთებენ, მაშასადამე ნივთ-მნათი ძვლებში ყოფილა, ვინც უნდა იყოს ეს ძვლები, კაცისა თუ პირუტყვისა. აგრეთვე კაცის კბილებიდგანაც შეიძლება მოვამზადოთ ეს ნივთ-მნათი.

შენ მკითხავ, სად იშოვეს ეს საშინელი ნივთ-მნათი იმათ, ვინც ეს კბილები დაჰზადეს და ამოიყვანეს. რამ მისცა იმათ ეს ნივთ-მნათი, რომელსაც ისეთი საშიში თვისება აქვს? ან კირი სად იშოვეს,—საჭმელად ხომ არ იხმარება. მაშ ჩვენი ძვლები იმისგან როგორ შემდგარა? გარდა ამისა, ძალიან გასაოცარია, რომ ამ ნივთ-მნათმა და კირმა მაშინ გამოიჩინეს თავი, როცა კი საჭირო იყო.

მე შენ აქ უნდა გელაპარაკო ერთ შესანიშნავ საგანზედ. ვსთქვათ შენ სოფელში გაქვს ერთი კარგი სასახლე. რასაკვირველია შენ უნდა ყველა მასალა მზათა გქონდეს, თუ კი სახლს მოუნდება გაახლება, ან რისმე გაკეთება. ახლა ვთქვათ, შენ მუშები დააყენე ამ სახლის ახლად მოსართავისთვის და შენ უნდა გყვანდეს ერთი კაცი ზედამხედავი. ამ ზედამხედავს უნდა მიენდოს მთელი სახლის საქმე. იმას ყველაფერი თითონ უნდა ჰქონდეს შენახული და აძლიოს მუშებს საჭირო მასალა. ის მისცემს კრამიტს იმ მუშა-კაცს, ვინც სახლის ბანს ჰხურავს, დურგალს მისცემს—ფიცარს, მხატვარს—წამლებს, კალატოზს—ქვას, აგურს და კირს,—სწორედ იმნაირ კირს, რა ნაირიც ჩვენ კბილებში გვაქვს. ამ ზედამხვედველს აქვს ყველაფერი შენახული და ყველა მასალა ამას უნდა მოეთხოვებოდეს.

ჩვენი სხეულიც თავის გვარად სახლია და ამაშიაც არის თავისი ზედამხედველი, სახლის პატრონი. რომ იცოდე რა ზედამხედველია! რა ნაირი მუშაობაა!! რეები სდება!! ვინ დაედარება იმას. რომელიც გინდათ მდიდარი და გამოჩენილი პატრონის კაი ერთგული მოურავი ან ზედამხედველი აიღე, იმას ვერ დაედარება, ის ყველგან არის, იმის თვალს არაფერი არ გამოეპარება; ერთ და იგივე დროს იქაც არის და აქაც—

ყველა ადგილას, რომელიც კი გნებავს აიღე. ეჭვი კი არ შეიტანო ჩემ სიტყვებზე. მე სწორედ და მტკიცედ გეუბნები, რომ ეს მოხსენებული შენი ზედამხედველი და მოურავი ყველგან არის ერთსა და იმავე დროს, იმას ყველა საგძალი, მასალა,—ყველა, რაც კი საჭიროა—მზათა აქვს. იმას ეს მასალა არც მაღაზიაში, არც სარაიებში აქვს შენახული და არც სადმე, არამედ ყოველთვის თან ატარებს. თავის მგზავრობის დროს ის ცარიელდება, რადგან არიგებს მასალას თავის მგზავრობაში. განა თუ შეცდება როდისმე ამ მასალის მიცემაში და გაწილვაში, ან მოინდომებს ღალატს, მოხვეჭას. არა; ის დაუღალავ მოძრაობაში და ბრუნვაშია; თუ დაუძველდება მასალა, მაშინვე უკან დაბრუნდება მასალის გასაახლებლად და გამოსაცვლელად და მერე ისევ თავის გზას დაადგება, თავისებურ მუშაობას დაიწყებს. შენ რომ იცოდე რამდენი მხლებელი ჰყავს იმას, რამდენი მუშები, ეს მუშები სულ საქმობენ სულ მოძრაობაში და გარჯაში არიან. მხოლოდ ეს კი არის, რომ უნდა მიეცეს იმათ საკმაო მასალა და მერე თითონ იციან რა გაცხარებულ მუშაობასაც ასტეხავენ. იმათ ვერ ეტყვი: ე რ თ წ ა მ ს შ ე ი ც ა დ ე თ ო. იმათ ცდა და ლოდინი არ იციან. იმათ უნდა აძლიო და აძლიო; სხვა თითონ იციან. ბოლოს დროს ჩვენ გვექნება კიდევ საქმე ამ ზედა-მხედველთან, ან უკეთ ვსთქვათ ამ საოცარ გამგებელთან, რომლის სახელიც არის ს ი ს ხ ლ ი.

ერთხელ ეს გამგებელი თავის მგზავრობაში შეჰხვდა ღრძილებს, ნახა რომ იქ რაღაც სიცოცხლის ხმაურობა ისმოდა. ნახა რომ იქ რაღაც უნდა გაჩენილიყო, დაბადებულიყო, მასალას ითხოვდა. იმან მაშინვე მისცა მასალა.... ეს მასალა იყო ნივთ-მნათი და კირი. ამის გარდა ბევრი სხვა რამეც ერია ამ მასალაში. მაგრამ ამ მასალაში უფრო მომეტებული ნივთ-მნათი და კირი იყო. ეს ნივთები მომეტებით იმისთვის მისცა, რომ ესენი უფრო ძლიერ საჭირონი იყვნენ კბილების ამოსვლისთვის, მინამ სხვა რამე. მაგრამ ვინ არის ეს ზედამხედველი ჩვენი სხეულის მუშაობაში? ეს არის ს ი ს ხ ლ ი.—ამ სისხლმა საიდამ ღა იშოვნა, მკითხავ შენ, ეს ნივთ-მნათი და კირი?

**ს**ახლის მოურავი ანუ გამგებელი ურიგებს თავის მუშებს კრამიტს, აგურს, ფიცარს, ქვას, კირს, სალებავს. მასალა სახლის პატრონისაა. სახლის პატრონმა ჩააბარა და მიანდო ეს მასალა თავის გამგებელს. აგრეთვე ჩვენ გამგებელსაც თავისი საკუთარი არა აქვს რა. რასაც მისცემს იმას პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრონი, ის სხვას გადასცემს და ჯაუწილავს. ეს პატრონი გახლავს კუჭი. როცა ეს გამგებელი დაურიგებს მასალას, მაშინ ეს პატრონი (კუჭი) მიაშველებს ახალ მასალას, რომ მუშაობა არ შესწყდეს. როცა სისხლი დაივლის მთელს ჩვენ აგებულებაში და მისცემს იმას საჭირო მასაზრდოებელ მასალას, მაშინ კუჭიც უნდა თავის მხრით გაისარჯოს. კუჭმა უნდა მიაშველოს მაშინვე ახალი საგძალი და მასალა, თორემ უიმისოდ არეულობა მოხდება.

ყველა რაც კი კუჭშია, სულ პირიდგან ჩადის. პირში უნდა ჩავიდვათ სულ ყველაფერი, რაც კი საჭიროა ჩვენი მუშებისთვის, და ა მ ი ტ ო მ ა ც ჩ ვ ე ნ ა ვ ს ჭ ა მ თ. იქნება სთქვა, რომ შენ კბილების ამოსვლის დროს არც ნივთ-მნათი და არც კირი გიჭამია და შენ პირში მარტო რძის მეტი არაფერი ჩასულა. ჰო, ეს ცხადი ჭეშმარიტებაა. არც მაშინ გიჭამია შენ ისინი და არც მერე და მგონია არც როდისმე სჭამოთ, მაგრამ, მაინც კიდევ უეჭველია, რომ ეს ნივთ-მნათიც და კირიც შენ პირში ჩასულა და გიჭამია. უიმისოდ შენი კბილები არ გაიზრდებოდნენ. მაშ როგორ გამოვიცნათ ეს გამოცანა?

ვსთქვათ, რომ ნივთ-მნათის და კირის მაგივრად შენი ღრძილები სთხოვენ სისხლს შაქარს კბილების შესადგენლად. ეს, რასაკვირველია, შესაძლებელი არ არის და შაქრის კბილები ბევრსაც ვერა სძლებს. მაგრამ ვსთქვათ, რომ ეს შესაძლებელია. ახლა ისიც მოვიფიქროთ, რომ შენი კბილების გასაზრდელად პირდაპირ შაქრის ნატეხი არ მოუციათ შენთვის, არამედ ჩაუგდიათ წყალში, ან ჩაიში და ისე დაგილევია. შენ რასაკვირველია არ იტყვი, რომ შაქრის ნატეხი შესჭამე, მაგრამ მაინც ის შენს კუჭში ჩავიდა. ეს კუჭი იმ შაქარს გადასცემს სისხლს და სისხლიც იქ მიიტანს, სადაც საჭიროა. ამას გარდა ისიც წარმოიდგინე, რომ შაქრის ნატეხი ძალიან პატარა იყო, წყალი კი ბევრი. შაქარი ისე ჩაივლიდა შენ პირში, რომ ვერც კი გაიგებდი იმის სიტკბოს. მაგრამ კბილი კი მაინც ამოგივა და აქ საკვირველი არა იქნებარა. ნივთ-მნათის და კირის საქმეც ასე არის. შენ რომ რძესა სწოვდი, იმ რძეში ნივთ-მნათიც იყო და კირიც, ბევრი კი არა — ცოტა. ამ რძეში სხვა კიდევ ბევრი რამ ნივთიერება ერია. ის ნივთიერება, რასაც კი სისხლი თხოულობს თავისთვის, რადგანც კუჭში რძის მეტი არაფერი იყო და მუშაობა კი არა სწყდებოდა.

ქვევით მე ვიტყვი, თუ რა საჭმელი რა ნივთიერებისგან შესდგე-

ბა და მაშინ შენ მიჰხვდები, რომ იმ რძეშიაც, რომელსაც შენ პატა-რაობისას სწოვდი — ყველა ეს ნივთიერება იმყოფებოდა. ყველა ეს ნივთიე-რება შენ ეხლანდელ საჭმელებშიაც არის, მაგრამ იმათი გაცალ-ცალკე-ვება არ შეიძლება, რადგან ძალიან არიან შეკავშირებულნი. მთელი ამ მა-შინის (კუჭის) დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ გაიცალკევოს ყველაფერი, რაც კი სისხლისთვის საჭიროა, გაარჩიოს რაც კარგი და ცუდია, სასარგებლო და უვარგისი; მოამზადოს და გადააკეთოს საჭმელი და გადაკეთებული გაისტუმროს სისხლისკენ, რომ იმან ახალად შეისრუ-ლოს რაც დაჰკლებია გაბოძებ-გამობოძებისგან. ეს მაშინა, ანუ კუჭი ძალი-ან სუსტი იყო, როცა შენ ძუძუს სწოვდი; ის შენი კუჭი ვერ ივარ-გებდა ამისთანა მუშაობისთვის, ის ვერ მოინელებდა ცოტათი მძიმე საჭ-მელს. ამიტომაც ბუნებამაც მოგვცა ჩვენ ეს დაუფასებელი საზრდო — რძე. მაშ რძეში ყველა მასალა არის, რაც კი სისხლს უნდა; ეს რძე თითქ-მის მზა სისხლი არის. ამ სახით დედის ძუძუთი შეგვიწოვია ჩვენ სის-ხლი, რომელიც დაივანტულა ჩვენს სხეულში და უსაზრდოებია ყველა ჩვენი სხეულის ნაწილები: ხელები, თვალები, თმა და სხვა. აგრეთვე ვის-მეს მოუცია ჩვენთვის შაქარი, ან კანფეტი და ესეც კბილების შემადგე-ნელ მასალას მიჰმატებია და — გაგვეზარდა კბილები.... ახლა ჩვენ გადავი-დეთ კბილებთან და განსაკუთრებით იმაზედ ვილაპარაკოთ.

## წ ე რ ი ლ ი 5.

### კ ბ ი ლ ე ბ ი (გაგრძელება).

მე მგონია შენ ეხლა გეყურება კარგია თუ არა სხვა და სხვა ტკბილი საჭმელის ჭამა. თუ გინდა, რომ საჭმელი სასარგებლო იყოს შენთვის, უნდა გახსოვდეს შენი სისხლი. ხომ იცი, რომ ამას ბევრი საქმე აქვს და ამასთან სხვა და სხვა მასალას მოითხოვს თავის მუშაო-ბაში შენი სხეულისთვის. მაშ აბა იფიქრე რა გაჭირვებაში იქნება, რომ შენ მხოლოდ იმისთანა საჭმელები სჭამო, რომლებისაგანაც სისხლი ვერაფერს მოგიტანს შაქრისა ან ფქვილის მეტს. სისხლმა როგორ უნდა იმუშაოს კარგად, როცა იმას ჩვენი სხეულის მუშები უთუოდ და უთუ-ოდ სხვა და სხვა მასალას სთხოვენ, ის კი ვერაფერს აძლევს.

როცა ყმაწვილები არა სჭამენ არც ხორცს, არც კვერცხს და სიტ-კბოს კი ძალიან ელტვიან, ისინი ჰგვანან იმ კაცს, რომელიც აშენებს

სახლს, და თავის მუშებს დიდი ბოძების მაგივრად პატარა ჩხირებს აძლევს. შეიძლება ამით სახლის აშენება? შენ ახლა გაიგე, რაცა ხდება შენ სხეულში, რაც არის იმისთვის კარგი, და როცა კაცმა იცის რა არის იმისთვის სასარგებლო, ის ეცდება იმის გაკეთებას, როცა კაცმა თავის თავის ამბავი იცის, მაშინ ის ეცდება ამოირჩიოს ის, რაც ყოველიფრით შეეწევა იმის სიცოცხლეს.

ორი ათასი წლის წინად ის უდიდესი გენიოსი ს ო კ რ ა ტ ი ასწავლიდა თავის მოწაფეს»: იცან თავი შენი. «ეს სწავლა დიას კარგი და მშვენიერი არის. მგონია შენ დარწმუნდი, რომ ეს ჭეშმარიტებაა. ხომ ნახე რა სიამოვნება მიიღე შენი თავის ცოტათი გაცნობით. მაშ მე მართალი ვიყავ, როცა გეუბნებოდი, რომ სწავლა კაცს გაამჯობინებს მეთქი. სჩანს, რომ მსწავლული კაცები დიდი სასარგებლონი ყოფილან. ისინი ბევრს გვესმარებიან. უიმათოდ ჩვენ თავის დღეშიაც ვერ გავიგებდით იმას, რასაც მე ეხლა გიამბობ. ხომ ძალიან სახალისო და სასიამოვნოა იმის გაგება, რომ კბილები არის ნივთ-მნათი და კირი. მაგრამ იცი, რამდენი შრომა და გამოძიება უნდოდა, რომ გამოეცნათ ეს ბუნების საიდუმლოება. რასაც ეხლა შენ ხუთ—ექვს წიგნში გაიგებ, იმაზედ რამდენმა მსწავლული კაცების თაობამ იმტვრიეს თავები; რამდენს საუკუნეს მოუნდნენ ამის გამოძიებას. კარგად გახსოვდეს, რომ ყველა ბუნების საიდუმლოების ახსნა და გამოძიება ასე ძნელი იყო, ბევრი დრო და შრომა უნდებოდა; ბევრმა შესწირეს თავი სწავლას და არ დაზოგეს თავისი სიცოცხლე იმისთვის. მაშ თუ ისინი ესრე მოქცეულან, ჩვენი ვალი კიდევ ის არის, რომ მივიღოთ იმათი სწავლა.

ეს მსწავლული კაცები ბევრნი არ არიან და იმიტომაც იმდენი იშრომეს, იმდენი ითმინეს და იბეჯითეს სხვა და სხვა წვრილმან და მსხვილ გამოძიებებში, რომ ბოლოს რამდენსათაც შეიძლებოდა მიაღწიეს თავის წადილის აღსრულებამდის. მრავალი უცნაური მოვლინება ადვილ საცნობად გახადეს, მრავალი ნივთების მნიშვნელობა, დანიშნულობა და მოქმედება ახსნეს და ერთის სიტყვით — თავის გამოძიებით და შრომით მსწავლულებმა მრავალი ცოდნა შეჰმატეს კაცს, ისეთი ცოდნა, რომელსაც ყველა მომაკვდავი ხმარობს თავის ცხოვრებაში. მაგრამ ახლა ისევ კბილებს მიუბრუნდეთ.

ჩვენი კბილები, როგორაც იცით ყველა გვარ საჭმელს იმ სახით მოამზადებს ხოლმე, რა სახითაც კუჭისთვის ადვილი მოსანელებელი იქ-

ნება. ამისთვის კბილები კარგა ჰღეჭვენ და ჰგუწვენ მიღებულ საჭმელს. კბილების გასაკეთებელი საქმე ეს არის. რომ კარგად აღასრულონ თავისი საქმე, ზოგი ამ კბილებისგანი ჰკბენჩენ, (სჭრიან,) ზოგნი ჰხლეჩენ ზოგნიც ჰღეჭენ და ჰღესვენ. მჭრელი კბილები წინა კბილები არიან, ცხვირის პირი და პირი კბილები. სახით ისინი პრტყელები არიან და ხელი რომ ასლოთ, მაშინვე სცნობთ, რომ ისინი დანასავით მჭრელნი არიან. ამ კბილებს ჩვენში (ქართველები) სავაშლე კბილებს ეძახიან, რადგანაც ვაშლის ჭამა უწინაკბილებოთ ძნელია. მაშ წინა, მჭრელს კბილებს ჩვენ სავაშლე კბილები დავარქვათ. ეს კბილები ლუკმის მოსაჭრელად ესმარება კაცს; აგრეთვე ზოგნი იმითი ძაფს სჭრიან და სხვა გვარათაც სმარობენ. (სიტყვამ მოიტანა და მე უნდა გითხრა, რომ ამ ნაირი ჩვეულება ძალიან ცუდია, ამისთვის რომ კბილები ერთი ერთმანეთზედ ძალიან ხეხვით ფუჭდებიან.)

ამ სავაშლე კბილებს მერე მისდევენ პატარა კბილები, გამწვეტებული ბოლოებიანი. ეს კბილები სხედან ორივე ყბის მხარეზედ, სავაშლე კბილების გვერდზე. ამ კბილების პოვნა ადვილად შეიძლება ოღონდ კი თითი ცოტათი დააჭირე იმათ, ისინი მაშინათვე მწვეტ თავს გიჩვენებენ. თუ წინა, სავაშლე კბილები—პირის დანები არიან, მაშ ეს მწვეტი კბილებიც ჩანგლის მაგივრად ყოფილან, რადგანაც იმათ ჩაუყრით ხოლმე ყველაფერში, რისაც კი გაპობა ან გაგლეჯა გვინდა. ამათ ეძახიან ეშვებს, ამიტომ რომ ძაღლისა და ღორის ეშვებსა ჰგვანან. ძაღლსაც ეს ეშვები იმისთვის უნდა, რომ გაგლიჯოს ხორცი, რომელსაც ისა სჭამს. ეს ეშვა კბილები ყველა პირუტყვებსა აქვს; მაგრამ ხორცის მჭამელ პირუტყვებს კი ეს ეშვები უფრო დიდები აქვთ. აიღეთ, მაგალითად: ლომი, ფოცხვერი, ღორი, მეტადრე გარეული, და სხვანი.

ამ ეშვების მერე სხვა დიდრონი და განიერი კბილებია გამწკრივებული; ამ კბილებს ჩვენში სათხილე კბილებს ეძახიან.

ეს სათხილე კბილები ჰღეჭვენ და ჰღესვენ საჭმელს კარგი წისქვილის ქვებსავით. ამ კბილების თავი პტყელია, ოთხ კუთხიანი. ამათ თავზედ პაწაწა მეჭეჭებსავით ძვლები ასხედან, ამაში მალე დარწმუნდებით თუ ხელს წაუსვამთ იმათ. ეს ძალიან დიდი და მაგარი კბილებია, ასე რომ კაკალსა და თხილსაც კი ამტვრევს. ამიტომაც ჩვენში ამ კბილებს ეძახიან სათხილეს.

რაც უკანა, სათხილე კბილებსა აქვს ღონე, ის წინაკბილებს ვერაოდეს ვერ ექნება. ამის მიზეზის ახსნა ამ გვარად შეიძლება. მაგი მაკრატლის წვერით ადვილად იჭრება, მაგრამ ჩხირის გაჭრა რომ გინდოდეს მაკრატლის წვერით, ვერაოდეს ვერ გასჭრი; ეს ჩხირი უნდა უკან გამოსწიო მაკრატლის ფარეშთან ახლოს და მაშინ უფრო დიდი ძალა მიეცემა მაკრატელს და ჩხირიც გაიჭრება. კბილების საქმე ამ ნაირად არის. რომელი კბილებიც ყბების სახსართან ახლოს არიან, იმათ უფრო დიდი ღონე აქვსთ, როგორც მაკრატელს ფარეშის ახლოს; ხოლო რომელი კბილებიც ყბების სახსარზე დაშორებული არიან, იმათ კი უფრო ცოტა ღონე აქვსთ,—როგორც მაკრატლის წვერს, ფარეშზედ დაშორებულს. ეს ბუნებითი კანონია. ზოგიც შემდეგში ვილაპარაკოთ კბილებზედ, ამ ჟამად კი გეყოფა. გარდა ამისა უნდა გითხრა, მე ვცდილობდი, რომ შენი გული გამერთო და სასიამოვნო ამბებით შემექცია.

(შემდეგი იქნება).

## სალიტერატურო განყოფილება.

---

### სურათი მთიულების ცხოვრებიდგან.

(ტრიალი მინდორი მწვანეთი შემოსილი; სასამართლოს წინ სხე-დან მრავალი სხვა და სხვა ქვეყნისა და სხვა და სხვა სჯულის ხალხი და მოუთმენლად მოელოდებიან მსაჯულებს.)

**მთიული ლეგა, ნადირას** (მთიულივეა). ესლა რა გვეშველების ჩვე-ნაო, ეს საგძალიც ხომ გამოგველიეს. აბა წავალ ე თავადთ ვთხოვ პატა-რა პურის ლუკმასო.

**ნადირა.** რას ტარტარებ? შე სულელო! სირცხვილი აღარ იციო? დაბერებულხარ თეთრათა ჭკუა კი გამოგცლიესო. პური რას ეშმაკად მინდა, თუნდა ათს დღეს არა ვჭამ პურსაო; დარდი ყელს მომწოლია, ვფიქრობ როგორ გადვუხდი მაგიერს ჩემის მოკეთის მტერსაო. გამო-იღე უბიდგან წეკვაი, დაუწყე ჭამა — აღარც მოგშივა პური და აღარც დაგ-ცდის ბარიო.

**ლეგა.** ჰა, ვაყო, აღარ ვიტყვი, აღარა მშიის პური; ნეტავი კი ამ ჩვენს საქმეს გარდაუვლიდეთ თავსაო და მე ჩემის ულაყის ავშარას კი-დევ წავავლებდე ხელსაო და მის კეხს არ შევადგამდე ქურანს კვიცსაო. ჩემი მტერი კი ნუ იტყვის ვაჯობე იმ ლეგასო, დავსტაცე კარიდგან ულა-ყები, ქვა მარილი, ორი თოხლა და წავიღე მე ქისტებშიო.

**ნადირა.** (ეძახის სხვა მთიულს, რომელიც მინდორზე ცხენებს უდგას). ბოდავ, ბოდავო! მოირეკე აქეთ ე ცხენები და მოახლოვდი აქაო!

**ბოდავი.** როდემდის უნდა ველოდნეთ და ვიყვნეთ აქ? ეს საგძა-ლი ხო გუშინვე გამოგველია ჩვენაო; დილას სულ გამოვფხიკე გუდაი

ერთობით და ის შეჰქამე ბატარა, თორემ ნაყრი არ მინახავს მე დღეს. რას უპირობთ? წავალთ ხვალ, თუ არაო?

**ნადირა.** საიდამ წავალთ, თუ არ შევიტყობთ. ჩვენ ნაჩალიკმა ისე არ გვითხრა თქვენი საქმე ეხლა თელავში წავიდაო, ეხლა აქ უნდა მოვნახოთ, თუ რამ გაუხდებით რასმე.

**ლეგა.** (თვალს შეასწრობს ვიღაცა რუსულად ჩაცმულს). ავდგეთ, კაცო, ვკითხოთ ჩვენი საქმეო. (ყველანი წამოდგებიან).

**ნადირა.** (მიახლოვდება რუსულად ჩაცმულთან და ეუბნება). ის ჩვენი საქმე ხო გაიგე, ნეტა რა უყავით? ნაჩალიკმა მითხრა თელავში გაუგზავნეთო.

**რუსულად ჩაცმული.** რას ამბობ? ვინ გამოუგზავნა ჩემთან?.. რა საქმე გაქვს?..

**ნადირა.** რა უსმენი კაცი ჭყოთვილხარ! ჩვენი ნაჩალიკი არ იცი? იმან გვითხრა თვენი საქმე თელავშიაო, და შენ ვერ გაიგე? როგორი ჩინის კაცი ხარ, თუ კი არ გეცოდინება. საქმე კი თქვენთან მოსულა და... ნაჩალნიკისაგან ასე შევიტყეთ.

**რუსულად ჩაცმული.** სწორედ გამაგებინე რა გინდა? ვის ეძებ? ან რა საქმეს მკითხავ?

**ლეგა.** აი ამას რა უნდა, ყური დამიგდე, შენი კვნესამე, მე შეგატყობინებ. ეს მთიულია, ფიმხეთიდამ არის, ჩვენ სოფელს ისე ჰქვიან, ძალიან ჭკუიანი კაციც არის: ორი ცხვრის ტყავიდგან ქუდსაც შეგიკერავს და ერთ ამისთანა ტყავსაცა; ორი ქალი ჰყავს, ერთი ვაჟი, ხუთი კაი ულაყები ჰყავს, ორიც დაკარგა, რვა ფური ჰყავს, ორი ხარი; ამის მამას ჯაჭვიას ეახლოდნენ... ამის საქმე მძიებელმა გამოიძია, მოწმებად ჩვენ ჩაგვწერა; ეხლა მოვიდა ჩვენში ნაჩალიკი და გვითხრა თელავში გავგზავნე თქვენი საქმეო, იქ უნდა წახვიდეთო... ჩვენც მოწამეები ვიყავით და თან გამოვყევით... აი ეს არის ჩვენი საქმე.

**რუსულად ჩაცმული.** მე მაინც ვერ შევიტყე რა გინდათ. ერთი სწორედ შემატყობინეთ რა საქმე გაქვსთ!,.

**ნადირა.** შენ ვერ შეიტყე, მარამ ჩვენ შევიტყეთ, რომ თელავში გამოუგზავნიათ.

**რუსულად ჩაცმული.** წავიდეთ იქით დავსხდეთ და რიგიანად გამაგებინეთ — რასა მკითხავთ?.

**ლეგა.** მე მთის კაცი ვარ, არც ჩინი მაქვს და მე მესმის, რაც ჩვენ

საქმე გვაქვს, და შენ ვერ გაიგე ჩინის პატრონის კაცს? რუსებში ნამყოფს?..

**რუსულად ჩაცმული.** ხომ არაფერზედ გიჩივლიათ? ან თუ იჩივლეთ, რაზედ იჩივლეთ? ან ვის უჩივლეთ? მითხარით და მაშინ იქნება შეგატყობინოთ რამე.

**ლეკა.** კიდეც იჩივლა მაგ კაცმა (ნადირაზედ აჩვენებს).

**რუსულად ჩაცმული.** რაზედ იჩივლა?

**ლეკა.** თავის მტერზედ.

**რუსულად ჩაცმული.** ვინ არის მაგის მტერი? ან რით უმტრო?

**ლეკა.** მაგისი მტერი მაგის სისხლის მომწყური კაცია, რომელსაც არც მაგისთვის, არც მაგის ცოლისათვის კარგი არ უნდა და სისხლი სწყურის სასმელად.

**რუსულად ჩაცმული.** ჰო, და მაგისი მტერი, მაგისი სისხლის მომწყურვე ვინ არი, მე მაგასა გკითხავ.

**ლეკა.** სწორედ მათიას ცოლივით შეუგნებელი ყოფილხარ. რა დაგემართა, რით ვერ გაიგე? ერთ გაიგებდა და შენცი, რუსის კაცმა, ვერავერი შეიგნე აქამდინ... ჩემს ნათლიმამ, ახმეტურმა, ერთი თვალიც აკლია და ყრუვიც არის, ერთ თქმაზედ მაშინვე გაიგო რაზედაც ველაპარაკებოდი და მითხრა რა შეუშინარი რამ ბედასლი ყოფილა ის ქისტიო.

**რუსულად ჩაცმული.** მე მაინც ვერა გავიგე რა შენი ლაპარაკიდგან; ვიღაცა ქისტიც გამოურივე და მაინც ვერა შევშველა რა... რიგიანად შემატყობინე ვინ ქისტი, ვინ ახმეტური.. რა იყო და როგორ იყო?.

**ლეკა.** ჭეი, ჭეი! ეს რა ყოფილა, თქვენი ჭირიმე! (თავისთვის ლაპარაკობს). ეს უთუოდ იმას ცალკე უნახავს იმ ჭველის წიწილს, და იმის თვის იძახის ვიღაცო. (რუსულ. ჩაც). ვიღაცა კი არ არის და ის კი არის სწორედ ჩემი დედის მომკლავი, ჩემი ჯოროების და ქვა მარილის წამღები ქურდი.. შენ კარგად იცი, აქამდინაც კარგად გაიგებდი, მარამ ხელს აფარებ.

**რუსულად ჩაცმული.** ჰო, ახლა კი გავიგე, რომ ქურდობაზედ და კაცის კვლაზედ მელაპარაკები. ახლა შემატყობინე ვინ მოგიკლა დედა! ვინ მოგპარა ჯოროები და მარილის ქვა!

**ლეკა.** ვინ მომპარა და ქისტმა მომპარა.. შინ არ ვიყავი, მთაზედ ვიყავი ძროხებთან, მოვარდნილიყოს ცხენ და ცხენ, შევარდეს სახლში, ბებერი ჩემი დედა კარზედ დაუდგეს არ შეუშვის სახლში, გაიძრის იმან

ხანჯალი და პირდაპირ შუბლში არტყის; დედაი მაშინვე მოკვდეს, და იმან ორი ჯორა, ქვა მარილი, თოლსი ცხვარი აჰკიდის ჩემს ულაყებზე და მაიტაცის.

**რუსულად ჩაცმული.** ვინა ნახა ის ქისტი, როცა შენ სახლში შევიდა? ან გამოსული ნახა ვინმემ, როცა ნაქურდლები მიჰქონდა ქისტს?

**ლეგა.** ვინა ნახა და მე ვნახე, რო აღარც ჯორები იყო, დედაც მკვდარი იყო და მარილიც აღარ იყო.

**რუსულად ჩაცმული.** არა, მოწმები გყავს, რომელთაც მიუსწროთ იმისთვის ქურდობაზედ?

**ლეგა.** აი მოწმები. (აჩვენებს მთიულებზედ).

**მთიულები.** ჩვენა ვართ მოწმები, რო ამ კაცმა დაკარგა დასაკარგავი და მოუკლეს მოსაკლავი ბებერი დედაი.

**რუსულად ჩაცმული.** შეგიძლიანთ დაამტკიცოთ, რომ სწორედ იმ ქისტმა მოიპარა, რომელსაც ეს ამბობს?

**მოწამე მთიულები.** გადგეცით შეურჩეს მკლავი, რო ჩვენ იმას გვერდებს ვამტრიდით, ასე რომ ჩვენი ვერა ავერი წაელო და თავისი კი იქ დარჩომოდა.

**რუსულად ჩაცმული.** მე მაგას არა გკითხავთ. თქვენ სამართალი გკითხავსთ თქვენ მოასწარით იმ ქისტს ქურდობაზედ, რომელმაც ეს გაქურდა?

**მთიული.** მე ბევრჯელ მინახავს, ამისი კი არ ვიცი. (მიუბრუნდება და ჰკითხავს სხვა ჰთიულს) გინახავს შენცა, კაცო?

**მეორე მთიული.** მე ვერ მინახავს, ვერც ვიცნობ.

**რუსულად ჩაცმული.** აბა, ჩემო ძმავ, ლეგა! შენ ამბობდი მოწმებიცა მყავსო, რომ ქისტმა გამქურდაო, და ესენი კი იძახიან: ჩვენ თავის დღეში არ გვინახავს ის კაციო, რომელზედაც ეგა ლაპარაკობსო... რომ იჩივლო—პასუხს არაფერს მოგცემენ შენს საჩივარზედ.

**ლეგა.** შენ წეღანვე შეგატყევი, რომ იმ ქისტისაკენა ხარ... ქაღალდი აქ წამოსულა ჩვენი და შენ კი იმასი აქ არ არისო.

**რუსულად ჩაცმული.** მე რა სარგებლობა მაქვს, რომ ტყუილი ვილაპარაკო? ამასთან ან შენ რათ მოგეფერები და ან იმას?. მე ხომ მართლა ჩინოვნიკი არა ვარ, როგორც შენ გგონია, და თუნდა ჩინოვნიკიც ვიყო, მოვალეობა მექნება, რომ ყველაზედ სწორე პასუხი გითხრა რაც საქმე გექნება ჩემთან, თუ კი მე შემეხება ის საქმე.. აქ კი

მეც ისეთი გარეშე კაცი ვარ, როგორც შენა: საყუარებლად მოველ აქ, როგორც სხვები.

**ნადირა.** (ლეგას). რეგვენი ხარ შენ! აბა რას ტარტარებდი, თავი შეაწყინე მაგ კაცს... მაგის ბრალიც კი არის, ადრევე უნდა ეთქვა მე ჩინოვნიკი არა ვარო, გარეშე კაცი ვარო.... მაგრამ ძალიან კაი კაცი ყოფილა—ჩვენთან დაედარის: გვითხრა მეც იმისთანა კაცი ვარო, როგორც თქვენაო.

**რუსულად ჩაცმული.** არა, მე იმიტომ გელაპარაკებოდით ამდენ ხანსა, რომ მინდოდა შემეტყო თქვენი საქმე, და თუ მეცოდინებოდა რამე, იმის შესახები — შეგატყობინებდით და სამჯობინარო რჩევასაც მოგცემდით.

**ლეგა.** ეს რა ღვთიანი კაცი ყოფილა! აქეთ მოდი, ნადირა! (**ნადირას** გაიყვანს იქით და ეუბნება). მოდი ერთი ამ ქაღალდს ვაჩვენებ,—**ხ**ევრისელ მედუქნეს რო გავაკეთებინე... აბა, შენი კვნესამე, ეს ქაღალდი წაგვიკითხე. ვინც დამიწერა მითხრა: ქვაზედ რო დასდვაო—გასკეთქამსო, ისეთი რამ არისო; რა წამს ამას მიიტან, შენ მტერ იმ წამს ციმბირში *) გაგზავნიანო. ერთი ლიტრა ერბო და ერთი ვაციც გამომართვა.... შენ გეტყობის ნაცოდნი კაცი ხარ, შენ უფრო სწორედ გვეტყვი.

**რუსულად ჩაცმული.** აბა, ვნახო, (ართმევს და კითხულობს).

**ჩეჲწ** წელსა ღვინობის ნახევარ თვესა დაუწერე ეს ქაღალდი მე მელქოდეკ . . . . შვილმა ამ ლეგა ბლაგვისძირას შვილსა

ა რ ზ ა

უნდა წავიდეს თელავს სადაც არის ოკრუგას სუდი და სადაც ამას საქმე აქვს

ამ კაცს დედა მოუკლეს ერთი ჯორი ერთი ქვის მარილი და ორიც კარგი ზროხა ცხვრები მოჰპარეს ამ კაცმა მოგასხსენებს ის ცხვრების წაყვანა და ჩემი დედის მოკვლა მავან ფელავანი ქისტის ამხანაგით მოწმებიც ნადირა ბოდავი და მთელი სოფელი ყაბულობენ ამის საჩივარს და ამბობენ მართლა ამ კაცმა დანაკარგები დაკარგა ეს კაცებიც თან მოჰყავს და მოდის თქვენ ფეხქვეშ დიდის თხოვნით თავის საჩივრის საქმეზედ

გთხოვთ უანგარიშოთ არ დაგვაგდოთ და ის კაცი გადაას-

*) ქ. ი. ციმბირში.

დევინოთ ციმბირი გაგზავნოთ მე კი ის ჩემი ჯორი ცხვრე-
ბი ისევ უკან მივიღო

ყაბული მაქვს ამ არზისა მე ლეგა ბლაგვისძირას შვილს რადგანაც ამან წერა არ იცის ამის თხოვნით და ხალხთან ხელ ჩამორთმევით დამიწერია შავათ და კიდეც თეთრზე გადამიწერია ჩუდჩ წელსა ამ თვის ერთსა მე მელქო დეკ..... *).

(რუსულად ჩაცმული. დაჰკეცავს და სიცილით უკანვე აძლევს არზას).

ლეგა. (წაჰკრავს ხელს ნადირას და ეუბნება) როგორი კარგა დაუწერია, ესეც გულ წაუხმიანდა და როგორ იცინის. (რუსულად ჩაცმულს მიუბრუნდება). როგორ მოგწონს იმისი გაკეთებული არზა. კარგათ არის, განა? იმ ხეობის ხალხს სულ ის გვიკეთებს, რაც ქაღალდი მოგვინდება... ქაღალდს როცა მიუტანთ ერთ ადლზე დაიჭირის და ისე წაიკითხის—ისეთი რამ მოქაღალდეა.

რუსულად ჩაცმული. ოღონდაც რომ კარგი რამ მოქაღალდე გულიათ....

ლეგა. შენი კვნესამე, შენი!... ხომ დაჰკარგავენ იმ ჩემ მტერს ქისტსა—ამ ქაღალდის მიტანაზე?

რუსულად ჩაცმული. ამ არზით არავის დაჰკარგავენ და არც მიიღებს სამართალი.. მაგრამ ამ არზის დაწერისთვის კი რომ დამწერი დაეკარგათ—უფრო კანონიერი იქნებოდა, ამიტომ რომ უტყუებიხართ და ამ გვარი მოტყუებით და მაშენიკობით თქვენისთანა უცოდინარი ხალხისაგან ულია ფულები.

ლეგა. მოტყუებით კი არ მოუტყუებივართ და არც არავის აწყუებს ის; მაშენიკი და ძალიან ნასწავლი კი არის ჩოტკაში, ისე გამოგვიანგარიშებს, რომ ერთ გროშს არ გაგვაცდენს თავისას, როცა დავხარჯამთ ხოლმე იმის დუქნიდგან.,. ჩვენ ხალხს ყველაფერს ის უანგარიშებს ხოლმე... როცა ცხვარს, ან ერბოს გავყიდით, სულ ის გვიანგარიშებს ხოლმე რამდენი უნდა მოგვცენ ვაჭრებმა, და რამდენი მანეთიც გვერგების ვაჭრებისგან, იმდენს მაურს გამოგვართმევს საანგარიშებელს და რამდენი კაციც ვართ, იმდენი თუნგი ღვინოც უნდა დავლიოთ იმის დუქანში ჩვენი ფულით.

---

*) ამ არზის სიტყვები და ფორმა დედნიდგან არის გადმოღებული.

**რუსუდან ჩაცმული.** კიდევ ეგ არის მოტყუება, რომ რაღაცა ქაღალდი დაუბღაჯნია შენთვის და დაურწმუნებიხარ, რომ არზა არისო. მაშინვეობა იმისი კიდევ იმაში სჩანს, რომ გართმევსთ ფულებს და სამაგიეროს კი არას გაძლევსთ, აი მაგალითად როგორც ფულის ანგარიში ურთმევია თქვენთვის ასიორფბული სარგებელი. რას დაჰკარგავს, რომ იმან თქვენ ფულები ისე გიანგარიშოთ და არაფერი არ გამოგართოთ და ძალათ კიდევ თითო თუნგი ღვინის ფასი არ დაგახარჯვინოთ, ვინიცის იმაშიაც კიდევ რამდენს მეტს გართმევსთ ფულსა..... რომ ყოველთვის მოუცლელი იყოს და დრო ულიოდეს რამე, მაშინ სხვა არის; მაგრამ სულ უსაქმელია იმას საქმე არა აქვს რა და დროს სულ ტყუილად ატარებს, მაშ რას დაჰკარგავს ის, რომ ხან და ხან ცოტა რამ საქმე უფასოდ გაგიკეთოთ და თუ უფასოდ არა—ცოტა გამოგართოთ და არა ისეთი ულმერთო სარგებელი; ღვინის დახარჯვინება ხომ სწორედ ავაზაკობაა იმისაგან... ესე არ არის? უფრო სიკეთეს არ გიზამთ, რომ დაკლების მაგიერად შეგმატოთ—უფრო მადლიელი არ დარჩებით? უფრო პატიოსნებით არ მოიქცეოდა?...

**ლელა.** რავიცით, ჩვენ კი ის სულ გვეუბნება პატიოსანი ვარო, მამა ჩემი დეკანოზი იყოვო და ცოტას გადურჩა, თუ არ მომკვდარიყო, გამოჩენილი გახდებოდაო. ეშმაკმა იცის იმის თავი!. ჩვენ რა გაგვეგება—ერთი მხეცი მთის ხალხი ვართ....

**რუსუდან ჩაცმული.** დეკანოზი და გამოჩენილი მამა რას უზამს კაცს, თუ თითონ საძაგელი იქნება? კაცი თითონ უნდა იყოს პატიოსანი, თორემ ჩამომავლობა თავის დღეში არ გაუპატიოსნებს იმას... ეგრე, მოუტყუებიხართ იმ თქვენს მეღვინეს და არსად მიიცემა ეგ არზა...

(მთიულები დაღონდნენ და ერთმანერთს შესცქეროდნენ. ამ დროს გამოვიდნენ მსაჯულები და გარეთ შეგროვებული ხალხი აირია და ჩვენი გმირებიც მათში აირივნენ) *).

ხვ. მგალობელი.

ქ. თელავი 1868 წ.

---

*) რედაქცია უმორჩილესად სთხოვს უფ. ავტორს ამ სურათისას, რომ ამ გვარი სურათები კვლავაც არ მოაკლოს «მნათობს».

რედ.

## გევედრები ღმერთო!

სანდო კაცთანა,
მეგობართანა,
ყივრო და ყივრო
. . . . . . .
რომელთანაც მაქვს მე გულწრფელობა,
სიყვარული და მინდობილობა, —
გევედრებ, ღმერთო, გევედრებ, შენ იყო ჩემი მფარველი!

—

ხოლო კაცთანა,
ავაზაკთანა,
ხმალ ამოღებულ
კაცის მკვლელთანა,
რომელთანაც მაქვს დიდი ფრთხილობა,
მორიდება და მიუნდობლობა, —
მე თითონ, ღმერთო, მე თითონ ვიქმნები ჩემი დამცველი!

—

თ. პავლე თუმანიშვილი.

1869 წელს, იანვარის 15.

ქუთაისი.

## კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოვებისა.

### I

უეჭველია, რომ საჭმელი პირველი მოთხოვნილებაა ადამიანის ბუნებისა. ამისათვის განათლების ვალი ის არის, რომ, სხვათა შორის, მან მისცეს კაცს ღონის-ძიება საზრდოს მოპოვებისათვის. რათა? იმისათვის რომ საჭმლის უსვიერებას, ანუ უკეთ—კაცის სიმაძღრეს აქვს მისსავე სხეულზედ და ცხოვრებაზედ გავლენა. ყველამ იცის თავისი გამოცდილებით, რომ იმას თავის სიცოცხლის დაცვისათვის ჭამა უნდა. საჭმელი არის დედა-ბოძი სიცოცხლის დაცვისა, სიფაქიზისა და განათლებისა. ეს ისე ცხადია, რომ თითქმის დამტკიცება აღარც კი უნდა.

კაცის სხეულსა აქვს სითბო ანუ ტემპერატურა *) 37 გრადუსზე **) არა ნაკლები. ამ სითბოს კაცის გვამში იცავს საჭმელი მისგან ხმარებული. ეს ტემპერატურა გვამისა თუ ამაზედ ნაკლებია, მაშინ კაცი უსიამოვნობასა ჰგრძნობს და უქეიფოთა ხდება, მაშასადამე, ამის მოსაპოვებლად იმან უნდა მოიხმაროს (მოინელოს) თავის კუჭში იმდენი საჭმელი, რამდენიც საჭიროა იმისთვის. ეს არის მიზეზი, რომ ცივს ადგილს და ცივ დროს კაცი მეტ საჭმელსა ხმარობს. მაგალითად: ჩრდილოეთის მხარეებში კაცი უფრო მეტსა სჭამს, ვიდრე სამხრეთის მხარეში, ზამთარში უფრო მომეტებულსა, ვიდრე ზაფხულში; აგრეთვე მოძრაობის დროს უფრო მომეტებულსა, ვიდრე უძრაობაში, ტიტვლები უფრო მეტსა, ვიდრე თბილად ჩაცმულნი.

---

*) ტემპერატურა ჰნიშნავს სითბოს ხარისხს, ან სითბოს მდგომარეობას. ტემპერატურა არის მაღალი და დაბალი. მაღალ ტემპერატურას ეწოდება სითბო, ხოლო დაბალს—სიცივე.

**) გრადუსი არის ზომა, ან თვითეული ნაწილი ტერმომეტრისა. ტერმომეტრი ეწოდება მინის იარაღს, რომელშიაც ვერცხლის წყალი ჰდგას. ეს იარაღი გაყოფილია ნაწილებად და თვითეულ ნაწილებს ეწოდება გრადუსი, რომელიც სითბოსი და სიცივის ხარისხის მაჩვენებელია.

საჭმლის ამ გვარი მნიშვნელობიდამ კაცისათვის წარმოსდგება ის კანონი, რომ კაცი უიმისოდ ვერა ცოცხლობს — კვდება. მაშასადამე კაცს თავის სიკვდილისაგან დაცვის კანონი მხოლოდ საჭმლით შეუძლიან აღასრულოს. რითაღა შეგვიძლიან მოვიპოვოთ საჭმელი? კაცობრიობასა აქვს მოპოვებული ამ ბუნებითი საჭიროების დასაკმაყოფილებელი საშუალება თუ არა? კაცს მხოლოდ ერთად ერთი სწავლით, ცოდნით და შრომით შეუძლიან მოიპოვოს საჭმელი და გაიფაქიზიანოს ცხოვრება. მხოლოდ განათლებას შეუძლიან გააუკეთესოს კაცის ცხოვრება. განათლება აძლევს კაცს შეძლებას, თუ რა გვარად უნდა მოიხმაროს მან თავის სასარგებლოდ ბუნების ძალანი, ესე იგი: ორთქლი, ცეცხლი, წყალი, ელექტრო, ქარი და სხვანი. მაშასადამე სჩანს, რომ განათლება აუცილებელი საჭიროება ყოფილა ყველა კაცისათვის; უფრო მომეტებულად მისთვის, რომ განათლება შეადგენს არა თუ მხოლოდ ძალასა კაცისათვის, არამედ იგი არის მისი გონივრული მოთხოვნილების პირველი ღონის-ძიებაც. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის ყოველი მხრივ განათლება ამ ჟამად სიღარიბისა გამო ჯერ შეუძლებელი საქმეა. ის ჯერ ჩვენ ოცნებაებს ეკუთვნის, მისთვის რომ თითქმის მთელი ჩვენი ხალხი — გლეხებიც, მღვდლებიც და თავად-აზნაურობაც ღარიბია; და ღარიბია ამისათვის, რომ მას ბუნებითი-სამეცნიერო განათლება არა აქვს; განათლებაც კიდე არა აქვს იმიტომ, რომ ის ღარიბია; სიღარიბე განათლების მტერია, განათლება — სიღარიბისა: ესენი ერთმანერთთან ვერ მოთავსდებიან. მაშასადამე საყოველთაო (სოციალური) წარმატება კაცთა საზოგადოებისა მაშინ შეიძლება, როდესაც ის გამდიდრდება. ღარიბ კაცს თავის უცოდინარობისა გამო განათლება ყურმქვეშაც არ მოსდის. მისი მუდმივი ცდილობა მის სამს უპირველესს ცხოვრების მოთხოვნილებაებს — საჭმელს, ტანსაცმელს და სადგურს თავს დასტრიალებს. კაცის ჭკუა კუჭს მისდევს. თუ რომ კაცს კუჭი მაძღარი არა აქვს, მას ჭკუა-გონება ვერ გაეხსნება, რადგან პირველის მოთხოვნილება უფრო ძლიერი და ადვილი საგრძნობელია, ვიდრე მეორისა. მე ეჭვი არა მაქვს, რომ ღარიბი კაცის ჭკუა-გონება გაქელილია სისაწყლისაგან. მაშასადამე ღარიბმა მუშებმა და მოხელეებმა უნდა მიიღონ ისეთი განათლება, რომელსაც კი შეეძლოს მათი ბუნების პირველი მოთხოვნილებაების დაკმაყოფილება, შეეძლოს გამოხსნა სიღარიბისაგან, გაძღომა მათი კუჭისა, შეეძლოს მიცემა ცხოვრებისათვის საიმედო საზრ-

დოს მოსაპოვებელი სახსრების, დაკმაყოფილება და გაარხეინება მისი ცხოვრებისა, — რომ შემდეგში ის სიმშილმა და საჭიროებამ აღარ შეაწუხოს, ის აღარ დარდობდეს ლუკმა-პურზედ, ტანისცმელზედ და სახლზედ, და ამ გვარად მიეცეს შეძლება თვითონვე, თავისუფლად, მშვიდობიანად და მხნედ დაადგეს თავის განათლების ჭეშმარიტს გზასა.

მე არა ოდეს ეჭვი არა მქონია, რომ თუ ხალხმა სწავლაში სარგებლობა არა ნახა, არაოდეს ყურს არ მიუგდებს მას. რამოდენათაც ის დაინახავს სწავლისგან სარგებლობას, იმდენად განათლება გავრცელდება ხალხში. გლეხი კაცი თუ დაინახავს, რომ სწავლა მის შვილს აძლევს სახსარს კარგად ცხოვრებისას, ის უეჭველია იმას შკოლაში მიუცემელს არ გაუშვებს. სიღარიბე და მუდმისი ფიქრი ლუკმა-პურზე მაშის ვერ დაუშლის ჩვენ ხალხს სწავლას. აჩვენე იმას სწავლის სარგებლობა ნათლად და უეჭველია, რომ ის მაშინ მოჰძებნის განათლებასა. მას აღარ დასჭირდება, მკითხველო, შენი და ჩემი ჩაგონება ამ საგანზე. აი რას ამბობს გლეხი კაცის სიტყვით ერთი მღვდელი: «ახა ღმერთო ჩემო! რას ჩამციებია ეს ჩვენი მღვდელი, მომეც და მომეც შვილი წერა-კითხვა ვასწავლოვო. დახე რა არის! ჩემს მამა-პაპას რომ წიგნი არა სცოდნიათ, რა ცუდნი კაცნი ყოფილან; მე რომ არ ვიცი წიგნი, რა ცუდად ვცხოვრობ. ილურიძემ რომ წიგნი იცის შიმშილით არა კვდება! ჩემს შვილებს რომ წიგნი ვასწავლო, იმათაც ილურიძის საქმე დაემართებათ. იმავ ყმაწვილობით ნებივრობას შეეჩვევიან — აღარც კალოს დასდევენ, აღარც ვენახს, არც საქონელს, აღარც ღამის ხარში წავლენ, — სადა გვცალიან, დილაზე წიგნის სასწავლებლად უნდა წავიდეთო; ისწავლიან თუ არა — ის ღმერთმა იცის; ისწავლიან — მით აღარ გამოგვადგებიან, და არ ისწავლიან — უფრო უარესი. ისწავლიან — ცხვირს მაღლა აიწევენ და დიდკაცობას მოინდომებენ; არ ისწავლიან — და ის საქმე მოუვათ ყვავმა კაკბის გოგმანის სწავლა რომ მოინდომა და თავისი ყვანყვალითი ბოტებაც დაავიწყდა... იმათ მაგიერ მე უნდა მოჯამაგირეები დავიჭირო, და რაც მამივა, ის იმათ ჯამაგირში ვაძლიო — და მე რაღა დამრჩეს? ცოლშვილი რითღა ვარჩინო? ხომ დავიღუპე!... არა, შვილო, მე დამიჯერე, გუთანს ნუ უღალატებ: ამას ურჩენია ჩვენი მამა-პაპა და ჩვენც ეს დაგვარჩენს.... ჩვენმა ინანამ კი არ იცოდა წერაც, კითხვაც და გალობაც! ის რომ «წმინდაო ღმერთოს» დაიძახებდა, კედლები რყევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყებდა ხოლმე. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . მაგრამ რომ მოკვდა — სუდარის ფასიც არ დარჩა».

აი ეს ესმის ბავშს, თითქმის ყოველ დღე თავის მამისაგან. რა არის ამის მიზეზი? განა ის, რომ ჩვენ ხალხს სწავლა არა ჰსურდეს? განა იმას არა აქვს სურვილი წინ წასვლისა და გონების განათლებისა? უეჭველია რომ ჩვენ ხალხს წიგნის სწავლა ჰსურს. რათა? იმიტომ რომ დიდკაცობა, ესე იგი — აფიცრობა, ჩინოვნიკობა, მწერლობა, მღვდლობა და სხვა მიიღოს. აი ესა აქვსთ ჩვენ გლეხ-კაცებს მხედველობაში, რომელნიც კი შვილებს ასწავლიან. ჯერ ის სწავლას ამ მხრით უყურებს, რადგან კარგად იცის, რომ ამდენს ხანს ნასწავლ ქართველებში ერთი კაციც არ გამოჩენილა, რომ თავის სწავლით მას ეშოვნოს რამე სამკურნელო ხელობა და მით ეცხოვროს. ის დარწმუნებულია, რომ სწავლას დიდკაცობის მეტი არაფრის მიცემა არ შეუძლიან ღვთის განაჩენი. ამის გამო ვისაცა აქვს ამ დიდკაცობის ხარისხის მიღების სურვილი, ის სიხარულით აძლევს თავის შვილს შკოლაში, თუნდა ერთის მეტიც არა ჰყვანდეს და თუ ამასთანავე იმედიცა აქვს, რომ ის თავის ანგარიშში არ მოსტყუვდება, — ან კი რად მოსტყუვდება!..

მართლაც რომ ჩვენი სწავლა შკოლებში ისეთი არის, რომ ის ამ სურვილის აღსრულებაში მას მთლად ხელს შეუწყობს. ყველამ ვიცით, რომ ჯერ შკოლიდგან ვინც გამოდის ქართველთაგანი — ჩინოვნიკობის მეტი თითქმის არაფერი არ შეუძლიან. მაგრამ ეს რა ვსთქვი? ჯერ ჩვენ ხალხს არამც თუ თავიანთ შვილთაგანი არც ერთი არ უნახავს, არამედ არც სხვა, რომ მას წიგნის სწავლით იმაზედ უკეთესად ვენახის გაკეთება, ხვნა-თესვა, საქონლის მოვლა სცოდნოდეს და მით ჩვენი გლეხ-კაცის ვენახის-შემუშავებასა, ხვნა-თესვისა და საქონლის მოვლის ცოდნას რამე მოჰმატებოდეს. მართლაც რაც მას მამა-პაპისაგან მიუღია, ამის მეტი იმან არაფერი არ იცის. ამის გამო იმას რომ ეუბნებიან «შვილი მიეცი შკოლაში წიგნი ისწავლოს» ის გაბედვით ამბობს: «ილურიძემ რომ წიგნი იცის, შიმშილით არა კვდება? ჩემს შვილებს რომ წიგნი ვასწავლო, იმათაც ილურიძის საქმე დაემართებათ. იმავ ყმაწვილობითი ნებივრობას შეეჩვევიან, აღარც კალოს დასდევენ, აღარც ვენახს, აღარც საქონელსა». ამ გვარად ჩვენი გლეხი კაცები ორად განიყოფებიან: ერთ მათგანს ჰსურს სწავლით იმისმა შვილმა დიდკაცობა მოიპოვოს; მეორე კი უფრო გონივრულად ჰსჯის და სწავლისაგან მოითხოვს, რომ მან

მისცეს საზოგადოებას გონივრული შრომის მოყვარე მუშები, მისცეს სახსრები ცხოვრების გაუმჯობესობისა და სიმდიდრის მოპოვებისა. მე მყავნდნენ შკოლაში ამხანაგები, რომელნიც არც არას სწავლობდნენ და არც წიგნსა კითხულობდნენ, დროების გასატარებლად მაინცა, თუმცა ისინი მოსწავლედ ირიცხებოდნენ, და რომ ვეტყოდით: რატომ არაფერს სწავლობთო? გაბედვით იტყოდნენ ხოლმე: «რათ გვინდა სწავლაო, ხვნას ვერ ვისწავლით და თესვასაო; შენ რომ მეტი იციო, ჩვენზე კარ-გა არ იცხოვრებო. შევასრულებთ როგორმე კურსს, ვეკურთხებით მღვდლად და ვიცხოვრებთო ჩინებულად. მაშინ რითიღა იქნებით თქვენ მსწავლულები ჩვენზედ მეტნიო: თქვენც მღვდლები იქნებით და ჩვენცა; ერთი ვსთქვათ თქვენ ჩვენზე მეტი ბლაღოჩინობა მოგცენ; მაგრამ მე გირჩევთ, რომ ნურც ამაზედ გქონდესთ იმედი *). ამის მეტი რა გა-გვარჩევს თქვენა და ჩვენა? სხვა ფრივ თქვენც წირვა-ლოცვა და ტაბლების კურთხვა გეცოდინებათ და ჩვენცა.... მღვდლად ვეკურთხებით, წავალთ სოფელში და რაც ვიცით, ყველაფერი დაგვავიწყდება—თქვენცა და ჩვენცა. თქვენ ეხლა ეგრე აღტაცებული ხართ სწავლისათვის, მაგრამ ანაფორას რომ გადიცვამთ, ღვთის წყალობა გქონდესთ, მაშინ თქვენ ყველაფერზე გული გაგიცივდეთ». . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . ერთიც კიდევ გაბედვით იტყოდა ხოლმე: «პაპა ჩემს არა სცოდნია წიგნიო და მამა ჩემსაო! ჩემთვის რაღა საჭიროაო რომ ის არ ვისწავლოო? რათ შევიწუხო ტყუილად თავიო! თუნდ კარგად ვი-სწავლო, თუნდ ცუდად—სულ ერთია—მღვდლობის მეტს მაინც არას მომცემენო. წავალ მღვდლად მთიულებშიო. იქ მრავალია ქათმები და მე ქათმისა მიყვარს ენაო, მაღლიდგან გადმოფრენა.... ანდაზისა არ იყოს. ამ გვარად ჯდომას და ცხოვრებას აბა რა სჯობიაო?!..» ამ აზრისათვის ამ შაგირდს ამხანაგები დაცინვით ქათმი-ჭამიას ეძახდნენ. მოწაფე რომ ამას ლაპარაკობდეს სწავლაზე, გლეხ-კაცი რაღას იტყვის? უეჭველია, რომ იმისი სიტყვა მუდამ ის იქნება: «არა, შვილო, მე დამიჯერე, გუ-თანს ნუ ულალატებ.. ჩვენმა ინანამ კი არ იცოდა წერაც, კითხვაც და გალობაცა, რომ შიმშილით კვდებოდა.» მაგრამ თუ მაინც და მაინც ამ გვარის მიმართულების გლეხკაცებმა თავიანთ შვილებისთვის წიგნის სწა-ვლება მოინდომეს, უეჭველია, რომ ისინი ასწავლიან მხოლოდ წერას,

---

*) ამისი მთქმელი ეხლა მართლაც ბლაღოჩინია.

რგისანი არიან მხნენი და დაუცხრომელნი მუშაკობასა შინა მიწისასა და მოსავლისა ნაყოფისა შემკრებელობისათვის უაღმატებულესისა შრომისა და უგანჩინებულესისა სახვნელთა მიწისათა, ვითარ იგი აქვსთ ჩვეულება უმეტეს ზემოთა ქვეყანათა გიორგიისათა რვითა ანუ ცხრითა უღლეულითა ხართათა და დიდთა და დიდთა კამბეჩთა მიერ ხვნისა, რომელნიცა მორღვეველნი უმტკიცესისა ქვეყანისა, კნინღა გულადმდე ქვეყანისა სახნის საკვეთნი გადმოაბრუნებენ ბელტთა ზრქელთა, ვითარცა რა ლოდთა უმძიმესთა; აგრეთვე სხვათაცა შინა მუშაკობათა: მკათა, ლეწვათა, წნეხვათა ყურძნისათა და ფერად-ფერადთა შინა მუშაკობათა განსხვავებიან სხვათა ყოველთა ნათესავთა აზიურთა, გინა ევროპიისათა; ამისთვის ეწოდების მათ მუშაკად». ამ გვარს ამბავს რომ ვკითხულობ საქართველოს ხალხზედ, ძლიერ მიკვირს, რომ ამდენს ხანს ჩვენი ხალხის სახოფლო მეურნეობა რიგიანად, ანუ უკეთ ვსთქვათ, სრულებით არ არის გახსნილი. თუ მართლა ქართველებმა შემოიღეს პირველად მიწის მუშაკობა, უნდა ვიფიქროთ, რომ მათსავით განათლებული და ცხოვრებით აყვავებული ხალხი არსად უნდა იყოს, ამისათვის რომ მხვნელ-მთესველობა არის ძლიერ დიდი და შესანიშნავი ნაბიჯი ხალხის განათლებისადმი. ველურს ცხოვრებაში ეს ნაბიჯი არის ძნელი, მაგრამ ამაზე რაკი ფეხს შესდგამს, მაშინ აღარ არის ძნელი მისი განათლება, ამისთვის რომ ის აარჩეინებს კაცის ცხოვრებას. მივიღებ რა მხედველობაში ჩემ მიერ მოყვანილს ფაქტებს საქართველოს ხალხის მუშაკობისას, მე გაბედვით ვიტყვი, რომ ჩვენი მეურნეობა ისრე მაინც უნდა იყვეს გახსნილი, რაგვარათაც არის ჩინეთისა. მაგრამ აქ ჩვენა ვხედავთ იმის წინააღმდეგს. ჩვენი მეურნეობა დავრდომილია, ასე რომ სრულებით არ შეიძლება, არამც თუ დადარება ჩინეთის მეურნეობასთან, არამედ ამაზედ თავში აზრის გავლენაც ძნელია, თუმცა კი ქართველებიც იმასთავით დიდი ხანია სცხოვრებენ და მეურნეობენ. რაარის ამის მიზეზი: განა ის, რომ ჩინელები ქართველებზე შრომის მოყვარენი არიან? არა — ეს არ არის მიზეზი, არამედ მიზეზი — შინაგანი მშვიდობიანობაა. აი რამდენიმე საუკუნეა, რაც ჩინეთი სარგებლობს შინაგანის პოლიტიკურის მშვიდობიანობითა და თავისუფლად იხსნის თავის ჭკუა-გონებასა, სამოქალაქო ცხოვრებას და მეურნეობასა. ჩვენკი ყოველთვის მოკლებულნი ვიყავით შინაურს პოლიტიკურს მშვიდობიან ცხოვრებას. ჩვენი ხალხი თავის ცხოვრებით არაოდეს არ დაფუძნებულა, ჩვენი მეფეების დროს, იმ

საფუძვლებზედ, რომელნიც მის მთავრობას დაუწესებია; ჩვენ თავისუფლე-ბას მოკლებულნი ვყოფილვართ. მტერი არ გვესხნებოდა, რომ ჩვენ ჩვენსავე ქერქში და ცხოვრებისათვის გამოჭრილ ყალიბში გვეცხოვრა. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ ყველამ გვაჯობეს სწავლითაც და მეურნეობითაც. საზოგადო თავის შეუფარებლობა იყო მიზეზი, რომ პური ხალხს ძლი-ვსა ჰყოფნიდა, მაშინ როდესაც საქართველოს მიწას, რომ კარგი მოწ-ყობილობა და მოვლა ჰქონოდა, შეეძლო მოეცა ძლიერ კარგი მოსავა-ლი, მაგრამ მაშინდელი ქვეყნის პოლიტიკურის და გამგეობითის მოწყო-ბილობისაგამო — ის შრომის მაგიერსაც არ აძლევდა მთესველს. «ხშირად მოსდებოდა ხოლმე, ამბობს «გიორგი მეფის» ავტორი 132 გვერდზე, რომ პატრონი ჩამოიტანდა რასმეს ქალაქის ბაზარში გასასყიდად, მაგ-რამ იძულებულს უნდა დაეტოვებინა მძიმედ დადებული საპალნე — სხვი-სთვის მეფის ნებაყოფლობით და ცარიელი წასულიყო თავის სახლში». ამ გვარად ქართველი გლეხის შრომა არა კმაყოფილდებოდა; ამის გა-მო დახშული იყო მუშაობის ხალისიც ქართველთა შორის და თითქმის ყველა ელტოდა მხოლოდ ერთს ომიანობას და ვაჟკაცობას. აბა ამ გვარს მდგომარეობაში როგორ გაისხნებოდა საქართველოში სასოფლო მეურ-ნეობა, თუნდა რომ ქვეყნის დაარსებიდანვე მათ დაეწყოთ ხვნა-თესვა? ამის წარმატებისათვის საჭირო იყო მშვიდობიანი ცხოვრება და სწავლაში განვითარება.

როდესაც ქართველები არ იყვნენ გარედგან შეწუხებულნი, ყოველ-თვის საუკეთესოდ სარგებლობდნენ დამშვიდებულის დროთი. მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეებში, — ამბობს კონსტან-ტინე მამაცაშვილი თავის სტატიაში, — ხალხის სიმდიდრე თანასწორედ მისდევდა ხალხის განათლებას; ამას გვიმტკიცებენ ეკკლესიები, ციხეები, ხიდები, სარწყავი არხები, რუები და გზები, რომელნიც ახლა გაფუჭებულ-ნი არიან. ბევრი ეკკლესიები, თვით ქართველებისგან აშენებულნი, (რო-გორც ზედ წარწერებიდგანა სჩანს) ხუროთ-მოძღვრებითა და მშვენი-ერის ხელოვნობით შეიძლება შევრიცხოთ ნამდვილ ხელოვნებით ნაწარმოებთ შორის *). ახლაც უკვირთ ევროპიის მოგზაურებს, თუ როგორ გა-უძლებიათ ზოგიერთი ციხეების შენობას საშინელ სიმაღლეებზე და რო-

---

*) იხილე არხეოლოგიური აღწერა დიუბუასი და ბროსსესი, ფრან-ცუზულ ენაზე.

დის გადუტანიათ ხიდები მიუსვალ ადგილებზე. საგანგებოდ გაკეთებული მოსარწყავი არხები, რომელნიც ჯერ კიდევ არსებობენ მტკვრისა და ალა-ზნის ველებზე, და ამ გვარივე არხების ნაკვალევნი ეხლაც არიან ყარაია-სა და შირახანის მინდვრებში, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ხალხი, ხში-რად გაშენებული, არ აგდებდა არც ერთ პატარა მიწის ნაჭერს შეუმუ-შავებლად». ერთის სიტყვით — საქართველომ გამოიარა ყოველ გვარი მდგომარეობა. იყო დრო, როდესაც ქართველთა მეფენი ისრე ძლიერნი იყვნენ, რომ მთელ კავკაზეთს უწერდნენ სჯულის განაჩენს; მფარ-ველობდნენ სარწმუნოებას, განათლებას და ვაჭრობას. მაგრამ იყო ისეთი დროც, როდესაც იგი გამოუთქმელად დაეცემოდა ხოლმე. ამის მიზე-ზი უფრო მომეტებით ის იყო, რომ ჩვენი ქვეყანა იყო გზა ევრო-პიისა და აზიისა. «ვიდრე არსებობდა ხალხთა დიდი გარდასახლება, ამ-ბობს უ. ყაზბეგი, კავკაზეთი იყო სტანციად მოტანტალე ხალხისა; მათი გუნდები თავის დასვენების მცირედს დროს ანადგურებდნენ მთელი საუკუნეების ნაღვაწევსა და ამის გამო ხალხი, რომელიც დიდის შრო-მით და ოფლით ჰშოვებდა თავის კეთილ-დღეობას, უეცრად ეცემოდა და თავის ნივთიერებითი და ეკონომიური მდგომარეობით უკანასკნელ სარი-სხამდის მიაღწევდა ხოლმე». აი ამ გვარად, საქართველო მთვრალ კაც-სავით ხან იქცეოდა და ხან ფეხზედ დგებოდა; და ასა ამ გვარს მდგო-მარეობაში რა გაკეთდებოდა საკეთილო სასოფლო მეურნეობისათვის. მართალია, მრავალია ხალხში იმ გვარი ზეპირ მოთხრობანი და ანდაზე-ბი, რომელნიც ამტკიცებენ ხალხის კმაყოფილებით ცხოვრებას, მაგრამ მრავალნი არიან იმ გვარნიცა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი ხალხი ძლიერ ღარიბი ყოფილა.

## III

როგორც გსურდესთ აღწეროთ საქართველო თავის მეფეების ღვა-წლით, ბოლოს-და-ბოლოს მაინც ის უნდა ითქვას, რომ, თუმცა ქარ-თველებმა სამოქალაქო ცხოვრება ფარნაოზ მეფიდგან ვიწყეთ, ესე იგი 302 წელში ქრისტ. შობამდენ, მაინც არაფერი არ გაკეთებულა სამ-კვიდრო, თუმცა მას აქეთ გვიცხოვრია 2170 წელიწადი. მართლაც რა გააკეთეს ქართველებმა ამ დიდი დროს განმავლობაში საზოგადო ცხო-ვრების გასამჯობინებლად? მართალია, იმ დროების ქართველები უქმად

არ ისხდნენ, სიცოცხლისათვის და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, და ეს იმათი სულის კვეთება მხოლოდ იმითი იყო სასარგებლო, რომ იმათ თავიანთი ხალხობა, ენა და სარწმუნოება აქამომდე დაიცვეს, მაგრამ ამითი სახლ-კარობისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესობა ხომ არ შეიძლებოდა. Ხალხის საზოგადო ცხოვრების გასაუმჯობისებლად არაფერი მოუხდენიათ სამკვიდრო; და თუ ზოგიერთ ალაგას რუვები იყვნენ გაყვანილნი — იმათაც უწყალო დრო და ჟამთა ვითარება აფუჭებდა და ხალხის ღვაწლი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა, რისგამო არავითარი მათ-გან სარგებლობის მნახველი ხალხი სისხლის ღვარად უწოდებდა მათ. წარმოიდგინეთ, მაგალითებრ: არხი, რომელიც არის გათხრილი ალაზა-ნიდგან დაწყობილი ვიდრე მუღალნოს ფოშტამდე და აქ არის ჩაშვებუ-ლი ერთ ღელეში, საიდამაც არხის წყალი შემდეგში ალაზანში მომდი-ნარეობდა. ის ძალიან კარგა ეტყობა ალაზნისკენ დაშვებულ მთის ფერ-დოზე, სიღნაღის მაზრაში, აყუდებულს ქვას აქეთ აღმოსავლეთისკენ, და დაჰყურებს ჯვარს და მის ქვითკირის კედელს ჯვარის მთების ძირში გა-ყოლებით გაღმა მხარში გავლებულს. საიდაც ის დასრულდება, იმ ალა-გას, ამბობს ხალხი, თამარ დედოფალს წისქვილები ჰქონია გაკეთებუ-ლიო; მაგრამ, როდესაც დაუბრუნებიათ იგინი, მაშინ მათ კრიჭაზე, ფქვილის მაგიერად კაცის სისხლი ჩამოსდენილა, და აი ამისთვის იმ ალაგს, საცა ისინი ყოფილან გამართულნი, ქიზიყის ხალხი «ყანუ-ყო-ბის» უწოდებს. ეტყობა აქ დიდი ბოროტება დატრიალებულა. საკეთი-ლოდ დატრიალებული წისქვილები საბოროტოდ გამხდარა. როგორაც ჩვენს მტერს პურის მაგივრად კაცები უფქვავს. ეტყობა შიგ ხვიმირში ჩვენს მტრებს კაცები უკლავსთ და სისხლით უმხიათ და მის კრიჭაზედ უდენია და უფქვავს, ვითარცა ხორბალი. ეს უთუოდ ასე მოხდებოდა; მაგრამ ხალხს, თუმცა არხი საქმისა გამოუხატავს წოდებით «ყალნუ-ყო-ბი», მაგრამ თვით საქმე კი დაწვრილებით მის მეხსიერებას ვერ შეუნა-ხავს. აი ამ გვარად სარგებლობდა ჩვენი ხალხი ყოველი კეთილი საქმი-თა და თავის ნივთიერებითი სარგებლობითა მეცხრამეტე საუკუნის და-წყებამდე.

ვიდრე რუსეთი თავის მფლობელობას გადმოიტანდა კავკაზეთში, ქართველი ხალხი მხოლოდ დაუწყნარებელ მტერს იგერებდა და მხოლოდ იმასა ცდილობდა, რომ სიცოცხლე და თავისუფლება დაეცვა. ამის გამო სწავლა და სასოფლო მეურნეობა თითქმის არარავის აგონდებოდა;

მაშინ, როდესაც სხვა ხალხები: მაგ: ინგლისელები, ფრანცები და სხვანი თავებს იმტვრევდნენ სწავლისა და გონივრულის შრომისთვის იარაღების მოპოვებაზედა. ამისთვის თუმცა დიდი ხანია ჩვენ ქართველებს გვაქვს საკუთარი მწერლობა, მაგრამ აქამომდე სხვა ხალხებზედ ნაკლებათ ვართ განათლებულნი.

რომ ქართველებს ძველადვე თავისი მწერლობა ჰქონია, ამაში ეჭვი არ არის. ისტორია გვეუბნება, რომ მეფე ფარნავაზმა ანბანი შეუდგინა ქართველებსაო. «ხოლო იყო ფარნავაზ, ამბობს გიორგი მეთორმეტის ძე თეიმურაზი — თავის ისტორიაში — კაცი განსწავლული და მეცნიერი ენისა ბერძულისა, ესე იგი ელლინურისა, ებრაულისა და სპარსულისა; ხოლო ქართული იყო თვით ბუნებითი მამული ენა მისი. ამან ფარნავაზ შეაწყო სინარნარეიცა ენისა ქართულისა, გაამშვენიერა, განავრცო და შექმნა ანბანი მხედრული ქართულისა წერილისა.« ამ ჟამიდგან დაწყობილი ჩვენ არაოდეს არ დაგვკლებია ცოდნიერნი და განსწავლულნი მეფენი, მაგრამ.... ვაი ჟამთა ვითარებას!... მაგ. მეფე ბაკურმა, როგორც ამბობს იგივე თეიმურაზ ბატონიშვილი, — დასწერა და შეთხზა ქართულს ზედა ენასა წიგნი რაოდენნიმე, რომელთაგანი ერთი დაშთა ვიდრე წმინდისა მამისა ჩვენისა ქართველთა მთარგმნელისა ათონის ივერიის მონასტრისა მამისა იოანეს ძისა ეფთიმისადმდე, და წიგნსა მას ეწოდებოდა «ბაკურა» (სახელითა მისისა მთხზველისა მეფისათა). იგი სთარგმნა წმინდამან მამამან ეფთიმე ქართულისა ენისაგან ელლინურსა ზედა ენასა და ცხოვრება მისი მოუთხრობს ამას. წიგნისა ამის ბაკურისაგან ქმნილისასა იტყვიან, ამბობს იგივე, რომელ იყოვო იგი საკვირველებათათვის და ხელოვნებათა ეგვიპტურთა და ასსურასტანელთასა». ჩვენ შეგვიძლიან დავიკვეხოთ ამგვარი მსწავლულებითა და ჩვენის ისტორიკოსებითა, ვითარიცა იყვნენ, მაგ. — მაჟან სპასპეტი და ჯოვანშერ სპასპეტი. ჩვენი უბედურება მხოლოდ ეს იყო, რომ ჩვენი სამოქალაქო წესდებულებანი ისე არ გავრცელებულან ხალხში, რომ მათ ნაყოფი მოეტანათ და სარგებლობა მიეცათ მისთვის; ამისგამო კი არა, რომ ისინი უვარგისნი იყვნენ, არამედ იმისთვის, რომ მტერი ნებას არ აძლევდა ხალხს ერთ წრეში ემოქმედნა, და იგი უნებლიედ თავს ანებებდა ყველაფერს და სცხოვრებდა გარეწრად, რისგამო იგი მიეჩვია ურიგოდ, დაუდევნელად და ბინძურად ცხოვრებასა. მაგრამ ოდეს იყო მშვიდობიანად, მაშინ ის ყოველს ღონისძიებას ხმარობდა განათლებისთვის. მაგალითებ

ჩვენმა ხალხმა ისე კარგად ისარგებლა ოთხს საუკუნეში თავის მშვიდობიანის ცხოვრებით, რომ თითქმის ყველა დედათა სქესსაც კი სცოდნია წერა-კითხვა, ასე რომ სწავლა მათთვის აუცილებელ საჭიროებად, ვალად და ღირსებად იყო გამხდარი. ამ მშვიდობიან დროს სწავლა და სურვილი ბედნიერებისადმი ისე გავრცელებული იყო, რომ ყველა ცდილობდა მეფეთათვის მიებაძნა ცხოვრებაში. იმ დროის ხალხის პატივსაცემლად უნდა ვსთქვათ, რომ ქალს მზითევში «ვეფხვის ტყაოსნის» გაუტანებელს არ გაუშვებდნენ, რადგან იგი იყო თითქმის პირველი მზითევი ქალისა. ხალხი ყოველის ფერში თავად-აზნაურობასა ჰბაძავდა, რისა გამო დღევანდლამდის ჩვენში გლეხებიც კი მეფე დედოფალს უწოდებენ ქალ-ვაჟს, როდესაც აქორწილებენ, პირფარეშებს უყენებენ წინ და ხაზინადარს ამლევენ.... საიდგან არის აღებული ეს ჩვეულება თუ არა მაღალი წოდებისაგან? მაშინ ასრე ჰშურდა დაბალ ხალხს კეთილი ცხოვრება თავად-აზნაურობისათვის და წილს იდებდა მათს ცხოვრებაში; მაგრამ ესლაკი ვგონებ, იმას ამ გვარი სურვილი გამქრალი აქვს. მაშინ პირველი მზითევი ქალისა იყო წიგნი და ჭკუა, ახლაკი პირველი მზითევი ქალისა გამხდარა ფულები. ოღონდკი ფული იყოს, ქალი თუნდ კუტი და გონჯია მახინჯი,— სულ ერთია. აბა ვინ იტყვის, რომ მე 10, 11, 12 და 13 საუკუნეების ქართველების ცხოვრება არა სჯობია ჩვენს ესლანდელს დუნე ცხოვრებას — თავის სიცოცხლით, ფოლადობით და მხნეობით? ჭეშმარიტად, რომ იმ დროს ქართველები გვჯობდნენ ჩვენ და ცხოვრების შნოცა ჰქონიათ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . მართალია, მე იმით ძველებური ცხოვრების რიგის მომწონი არა ვარ, მაგრამ ისკი უნდა ვსთქვა, რომ მაშინდელი ხალხი ჩვენა გვჯობდა ლტოლვითა კეთილისადმი. მაშინ ხალხს მოსწონდა თავისი თავი, იბრძოდა თავის სიცოცხლისათვის. . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ,

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

თუმცა წარსულის საუკუნეების ჩვენს მწერლებს იმდენი ძალა არა ჰქონიათ, რომ სასოფლო მეურნეობაში ცვლილება რამე მოეხდინათ, მაგრამ ცხოვრება იმით მაინც და მაინც გაულაზნათიანებიათ. რიგიანი სამეურნეო იარაღის მოპოვებისათვის საჭირო იყო, რომ ბუნების ძალანი ჰცოდნოდათ, ამისათვის რომ მხოლოდ მათ (ბუნებითი ძალათ) ცო-

დნით შეიძლება კაცმა ხალხის ცხოვრებაში საკეთილო ცვლილება მოახ-
დინოს. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინდელი სწავლა, როგორაც ყო-
ველგან, ისე ჩვენშიაც იმისა ცდილობდა, რომ კაცს სულის ცხონება მო-
ეპოვებინა. ამისა გამო სიმდიდრეს და ბედნიერად ცხოვრებას ხალხი სუ-
ლის წამწყმედ ცოდვად ჰრაცხავდა. იმას მხოლოდ ის მიაჩნდა კაცის
ცხოვრების დანიშნულებად, რომ მას ხელი აეღო ამ ქვეყანაზედ კეთი-
ლად ყოფა-ცხოვრებისაგან და გაეტარებინა თავისი დღენი ვაი ვაგლახში.
ის გულ-ხელ-დაკრეფილი ცას შეჰყურებდა და სთხოვდა თავის უძლური
სულის ცხონებასა. ამ მიზეზის გამო ჩვენ, ქართველებს, რომელნიც ამ
ჟამად ერთ მილიონზე მეტი ბევრით არ იქნება, 200-ზე მეტი მონას-
ტერი ჰქონიათ, და ერთ მათგანში, სახელდობრ — დავით გარეჯის უდაბნო-
ში 1617 წელში ექვსასი ბერი ყოფილა, რომელნიც უღვთო შაჰ-აბ-
ბასმა დახოცა ქრისტეს აღდგომის დღეს. სულ ცოტა — თითოზე ას-
ასი ბერი ვიანგარიშოთ, ორას მონასტერში ოცი ათასი (20,000) ბე-
რი იქნებოდა; მე ეჭვი არა მაქვს, რომ ამაზედ ნაკლები კი არა, მომე-
ტებულიც იქნებოდნენ სასულიერო წოდების პირნი. ამ რიცხვს მღვდ-
ლები, მთავრები, დიაჩოქები და მოლოზნებიც ზედ რომ დაურთოთ, მაშინ
უეჭველია, რომ კაცი გარყვნილი გაოცებით იტყვის: »მაშინდელ ქართვე-
ლებს რა ცილი აჰკარდნიათო! ჰხედავთ: თითქმის მთელი ხალხი ხელაღე-
ბული ყოფილა ქვეყნიურს კეთილ-ცხოვრებაზე.» რასაკვირველია, რომ
დიდ ძალ სასულიერო პირთა დიდი გავლენა ექნებოდა დანაშთენ საერო
ხალხზედაცა; ასე რომ ისინიც სახელით თუ გაირჩეოდნენ მეუდაბნო-
ეთაგან, თორემ მათზედ ნაკლები აღარც ისინი იქნებოდნენ თავიანთი მი-
მართულებით. «მომატებული სასულიერო პირთა დასტები (ამბობს დრე-
პერი) ისეთი მავნებელი მაგალითი იყვნენ, რომ მათ მნახველ დაბალ
ხალხს სრულებით აღარა ჰსურდა მუშაობა.»

უეჭველია, რომ ამ გვარი მიმართულების ხალხში შეუძლებელი
იყო, რომ ბუნების მეცნიერებას რამე წარმატება მისცემოდა ჩვენს ქვე-
ყანაში და მით სახოვლო მეურნეობაც გაუმჯობესებულიყო. მაგრამ ეს
რა ვსთქვი? მის ხსენებასაც კი არ მოიფიქრებდა ჩვენი ხალხი, ამისა-
თვის რომ მისის აზრით ყოველივე სულის ცხონებას გარეთ არის
«ამაო ამაოთა, ყოველივე ამაო არს», არ მიაქცევს რა გონებას საღმრთო
წერილის სხვა სიტყვებს, რომელიც ითხოვს ადამიანისაგან: «იყავით
სრულნ ისრეთ, ვითარცა მამა-ღმერთი», რითიღა იქნება კაცი სრული,

თუ არა ჭკუითა, სწავლითა, განათლებითა და სვინიდისიანის კეთილ-ცხოვრებითა?... ერთის სიტყვით — ჩვენი ხალხის წარსული ისტორია გვაჩვენებს, რომ ჩვენი ხალხი ყველაფერში ბრმა, ყრუ და ცრუ მორწმუნეობით სავსე ყოფილა; ის ყოფილა ზარმაცი, მშიერი და აღტაცებული სულის ცხონების სიყვარულითა; ზეციურისათვის მას თავი ჰქონია შეწირული. ევროპიის ჭკუა-გონების გახსნის ისტორიის ავტორი — დრეპერი, განსაზღვრეს რა მიზეზებს საზოგადოდ ბერად შედგომისას მთელს დედამიწის ზურგზე, ამბობს: «ყველას, ვისაც კი ჰსურდა თავის გამოხსნა მტრის დასხმისაგან და თავის მოშორება მძიმე, სალდათურის სამსახურისაგან, ვინც უმადური იყო ამ წუთი სოფლის საქმეებითა, ანუ ვისაც არა ჰქონდა არა ვითარი სურვილი არეულ დროში ჰყოლოდა ცოლ-შვილი — მონასტერში ჰპოვებდა სამედო სამალავსა». ამის გამო ის წიგნები, რომელნიც მას ცხოვრებაზე არ ელაპარაკებოდნენ, არამედ ბუნებას იკვლევდნენ, — ღვთის წინააღმდეგად მიაჩნდათ. ამ გვარი წიგნების უარყოფა ძალიან მკაფიოდ დაგვიმტკიცა ანტონი ქათალიკოსმა და სხვებმა, რომელნიც უკვდავ პოეტს რუსთაველს აძაგებდნენ იმისთვის, რომ ის ვითომც ამაოდ დაშვრა თავისის ვეფხვის-ტყაოსნის წერით, და, მათის აზრით, ამ გვარმა ნიჭიერმა კაცმა თავისი ნიჭი სასულიერო საგანს არ მოახმარა. ამასვე ამტკიცებდნენ მონასტრებში მყოფი შკოლებიცა. ესენი იყვნენ ორი გვარნი: ერთი სათავად-აზნაურო; მეორე სახალხო, ანუ სასულიერო. იმ განზრახვით იყვნენ ისინი დაფუძნებულნი, რომ ქართველთა შვილებს სასულიერო განათლება მიეღოთ, მერე მღვდლად შემდგარიყვნენ, რადგან იმ დროს განათლებულნი მღვდელნი საჭიროონი იყვნენ ამისთვის, რომ ერთის მხრით სპარსული და ოსმალური ჩვეულებაები ეპარებოდა ჩვენს ხალხს; მეორეს მხრით — სომხისა და რომის ეკკლესიის მისიონერები *) ძლიერ ერთგულად ქადაგებდნენ საქართველოში ჩვენი ხალხის მისაქცევად. ამის გამო მრავალნი წარჩინებულნი სამღვდელო წრეში და განვითარებულნი მღვდელნი და მღვდელ-მთავარნი გამოუჩნდნენ ჩვენს ეკკლესიას, მაგრამ იმათ სცოდნიათ მარტო ერთი სამღვთო წერილი, და ყოველი სამეცნიერო აზრი, შეგნება და მსჯელობა სამღვთო წერილის გარეთ უარ-ყოფილი იყო მათგან. მთელი საქართველოს ხალ-

*) მისიონერი არის სასულიერო პირი, რომელიც გაგზავნილია საქადაგებლად, რომ თავის სარწმუნოებაზედ მოაქციოს ხალხი.

სი, რომის მისსიონერების აზრით, არის გაუნათლებელი, რეგვენი, მხე-
ცი, გაუთლელი და უმეცარი. «გასაკვირია,—ეუბნებოდნენ რომაელი ეპი-
სკოპოსები ანტიოქის პატრიარქს—იბერიის ეკკლესია, გარდა ამისა რომ
არის მცირედი, იმყოფება სრულს უმეცრებაში. (იხილე საეკკლ. ისტო-
რია). თუმცა ბუნებით მეცნიერებას უარსა-ჰყოფდა, სიმდიდრე და ბედ-
ნიერი ცხოვრება ქვეყანაზედ სულის წამწყმედ მანქანებად მიაჩნდა, მაგრამ
მაინც და მაინც ქართველს ერთის ჭამის მეტი არა ასხოვდა რა: ის
იყო ნამდვილი, ყურმოჭრილი მონა მუცლისა და ბუნების მოვლინებაებისა.
ხალხი ნაცარ-ქექიასავით ფუფუნებდა აქა-იქ საქართველოს მიწაზედ, რომ
საზრდო მოეპოვებინა. მაგრამ რადგანაც ბუნების გამომძიებელი ჭკუა არ
დასტრიალებდა თავს ბუნებასა, არამედ ბუნება უფლებდა კაცის ჭკუაზედ,
ამის გამო იგი იყო მონა უძლური მის (ბუნების) წინაშე. მას არ ესმო-
და არც ბუნების მოვლინებაები და არც კანონები, ამისათვის, გულში სი-
ცივე ჩავარდნილ კაცსავით, შიშით მაღლა-მაღლა სტოდა და თავს მაღლა
ვერ იღებდა ბუნების მოვლინებაების წინაშე. ის ჰგავანდა უგუნურს ყმა-
წვილსა, რომელსაც, თუ რომ დაანახვე რამე საოცარი — ან ტირილს
დაიწყებს ან გაოცებულს ენა დაებმის და ხმას ვერ ამოიღებს. რომ მოხ-
დებოდა მისთვის გაუგებარი მიწის ძვრა, შიშით და კანკალით მუხლს
იყრიდა იკუჭებოდა და ჩვეულებრივ ფიქრობდა: «ხალხი გაირყვნა, ღვთის
ნებას რიგიანად ვერ ასრულებს, ის მთლად ცოდვებს ჩაუნთქავს და
უბედურება მოვლინებული ღვთისაგან ჩვენი ცოდვის კითხვა არისო».
«გაუნათლებელი ხალხი, ამბობს ისტორიკოსი ბოკლი, ყოველს საშიშ
ფათერაკს ღმერთს აბრალებს, და როდესაც ამ გვარად მისი რელიგიური
გრძნობა ძლიერ ცხოველდება, მაშინ კაცი არამც თუ მას ემორჩილება,
არამედ მას ღმერთად ჰრაცხავს». ერთის სიტყვით, როგორც მთელს
ევროპაში იყო, აგრეთვე ჩვენშიაც, ყოველი დიდი ჭირი ხალხისა, ჩვე-
ნის ხალხის აზრით, ღვთის მიერ ხალხის ცოდვა-კითხვის ნიშანი იყო.
მაგ. ჩვენი ისტორია იხსენებს, რომ ხალხს ძლიერ ცუდად ჰქონდა მი-
წის ძვრა დაცდილიო. ის იმას მიაჩნდა უბედურების ნიშნად და თითქ-
მის აღარ მუშაობდა, რადგან მოელოდა თავის ქვეყნის აუცილებელს
აოხრებას შეუწყნარებელის მტრისაგან. მათ საუბედუროდ ეს მიწის
ძვრაც ძალიან ხშირად მოხდებოდა ხოლმე. ამ გვარმა ბუნების მოვლი-

ნებაებმა ხალხი მიაჩვია მისტიკობას *) და შიშისაგან ფრთა მოკვეცილი მისი ჭკუა-გონება ჰმართავდა მთელ მისს ბუნების შეხედულობასა. ამის გამო, დაჩაგრული უჭკუობისაგან, ის მონასავით ემორჩილებოდა ყოველს კაცის უფლებას და ამ გვარად, ბუნების მონისაგან, ჩვენი გლეხი ხდებოდა ბატონების ყმად. მას არა ჰქონდა არც აზრი, არც ცოდნა და არც სახსარი ცხოვრების მოპოვებისა. ის მუდამ დამშეული იყო მეტის-მეტი უწყალოდ მტრის აოხრებისაგან და ერთხელვე დაჩაგრული ბუნების მოვლინებაებისგან დაეძებდა, რომ ვისმე მფარველობის ქვეშ შეეფარებინა თავისი უნუგეშო ცხოვრება და ერთხელვე საყოველ-დღეოდ გაეარხეინებინა თავისი შავ-ბედითი ცხოვრება. ამ მდგომარეობაში მას არა ჰქონდა არც ცული, არც წალდი, არც ხერხი, არც საჭრეტელი, არც ხელ-ეჩო, რომ ხე მოეჭრა და აოხრების შემდეგ სახლი აეშენებინა, არც საქონელი—რომ მიწა მოეხნა, პური დაეთესა (ეხლაც ბევრია ქიზიყში ამნაირები), მოემკო და გაელეწნა; ამისათვის ეს ყოველიფერი ვისაც ჰქონდა მიდიოდა იმის ხელქვეითად ხდებოდა და მას სანახევროდ უმუშავებდა. ამ გვარად ისივე გლეხ-კაცი, მხოლოდ მდიდარი—ღარიბი და ხელნაკლები გლეხების ბატონათ ხდება. აბა ამ გვარ მდგომარეობაში სასოფლო მეურნეობა როგორ გაიხსნებოდა. მაგრამ მაინც და მაინც ჩვენში ზოგი მდიდარი იყო, ზოგი ღარიბი.

## IV

რა იყო ამისი მიზეზი? განა ის, რომ ერთი ირჯებოდა და ცემა-ტყეპაში ატარებდა თავის სიცოცხლეს. მტერი არაოდეს არ ასვენებდა და მუდამ უოხრებდა ყოფა-ცხოვრებას: ართმევდა ცულს, ბარს, ხარს და სახნის-საკვეთს,—ერთის სიტყვით ყველაფერს, რაც კი ებადა. რასაკვირველია, რომ მერე ამაების მოპოვება ხარჯს ითხოვდა და ეს ხარჯი დარბეულს გლეხ-კაცს აბა საიდგან უნდა ეშოვნა? ამასთანავე ამ დარბევის და ვაი-ვაიგლახის დროს სვინიდისიანად მოპოვების მიდრეკილება არა

*) მისტიკობა არის იმ გვარი მსჯელობა, რომელშიაც უფრო მომეტებულად მოქმედებს გამოხატულება კაცისა და არა ჭკუა-გონება, ან როდესაც კაცი ვერ შეიგნებს რაიმე მოვლინების ნამდვილს მიზეზს და მიაწერს მას უზენაესი მიზეზების მოქმედებასა.

ვის ედვა გულში. ყველას ჩაღვიძებული ჰქონდა გულში მტაცებლობის ინსტიკტი *). აქედგან წარმოსდგა საშინელი მტაცებლობა სხვის მიწებისა და მამულებისა, ავაზაკობა, დარბევა, პარვა, სხვათა მიწების დაჩემება, მიჯნების მოშლა, სხვათა მიწების ხვნა და სხვა ამ გვარი. მტერმა მათ ყველას ბუდე მოუშალა, და ამ საზოგადო არეულობის დროს, ვინც უფრო ხელ მარდი და ღონიერი იყო, იმან ყველაფერი — ესე იგი ხარი, კამბეჩი, ცული, წალდი, ბარსაკვეთი და მიწები მოიპოვა, სხვანი უფრო უღონონი დარჩნენ უარაფროდ. ბევრი წინანდელი მდიდარი საზოგადო დარბევის დროს ღარიბი გახდა, ღარიბი — მდიდარი. როდესაც აღა-მაჰმად-ხანმა მეთვრამეტე საუკუნეში 1795 წელს საქართველოს დაპყრობა განიზრახა, მეფე ირაკლიმ თფილისის ქალაქის მცხოვრებლებს უბძანა გახიზვნა მთებში; მაგრამ მცხოვრებლებმა არ მიიღეს მთავრობის წინადადება, რადგან, როგორც ამბობდნენ ისინი, ამ გვარს შემთხვევაში «გლეხნი იკლებდნენ თავიანთ ბატონებს, მეზობელი — მეზობელს, ასე რომ სატებსაც კი აცლიდნენ შემკობილებას და რომ ეს ყოველივე არის ჭეშმარიტი, ეუბნებიან მეფეს, თქვენც უწყით და სხვებმაც». ამისა გამო ხელმეორედ დასახლების დროს სამუშაო იარაღების მოპოვება ძლიერ საჭირო იყო. უფულოდ იარაღს არავინ მისცემდა, ღარიბს კიდე ფული არა ჰქონდა. ამ შემთხვევაში მდიდარს და საწყალს ერთმანეთში პირობაები უნდა დაედვათ: მდიდარს უნდა სამუშაკო იარეღები მიეცა, ღარიბს კიდე თავისათვისაც და იმისათვისაც უნდა მოეგო საზრდო. თუ ასე არა, ღარიბი მშიერი უნდა გდებულიყო თავის ცოლშვილით. მაგრამ რადგანაც ყველა კაცს აქვს ბუნებაში ჩანერგილი სურვილი თავის დაცვისა, ამისათვის ის შიმშილით სიკვდილს მონაობას რჩეულობდა — მდიდარს ყმად უხდებოდა. აი ამ გვარს გარემოებაში წარმოსდგა, ჩემის აზრით, საქართველოში ბატონ-ყმობა და დაიდვა სოფლიური ცხოვრება ჩვენი უბედური ხალხისა, რომლის უმეტესი ნაწილი ეხლაც თითქმის მიწაში მოთხრილ სოროს მზგავს სახლებში ცხოვრებს. წარმოიდგინე მკითხველო მაგალ. სახლები ქართლისა და ქიზიყისა. როცა ერევნის ხალხმა შეიტყო აღა-მაჰმად-ხანის ერევანზე გამოლაშქრება, მაშინ აიყარნენ და წამოვიდნენ საქართველოში. «რაც ქართველებს თავის ნებით

---

*) ინსტიკტი არის იმ გვარი მოქმედება, სადაც მსჯელობა სუსტად მოქმედებს — დაბალ ხარისხზედ სდგას.

მათ არ დაუთმეს, ამბობ დუბროვინი, არტემი არარატსკის სიტყვით, წაართვეს ძალადობით და ზოგნი თითქმის სრულებით გაცარცვეს, ასე რომ გაჰხადეს პერანგები და ტიტვლები დასტოვეს. ამ გვარის უბედურებით სასოწარკვეთილებაში მოყვანილნი, შეწუხებულნი შიმშილით და სიტიტვლით, სიხარულით უხდებოდნენ ყმათ მდიდარს ქართველებს, რომ რა არის იხსნან თავი თვისი შიმშილის სიკვდილისაგან. მრავალნი მათგანნი, დახოცილნი ამ გვარის უბედურებისაგან, ეყარნენ აქა იქ მინდვრებში დაუმარხავნი ამისათვის, რომ არა ჰქონდათ ბარი და ნიჩაბი, რომ ჩაეფლათ მიწაში თავიანთი დახოცილნი მოძმენი». მაგრამ ამის დამტკიცებას ჩვენ უფრო მკაფიოდ ვხედავთ ბატონის და ყმების ურთიერთ დამოკიდებულებაში. თუ გლეხი რიგიანად არ ირჯებოდა, ბატონი გაუმასხებდა ხოლმე თავის სამამულოდამ, რადგანაც ის მის მიწა-წყალში იმ პირობით ცხოვრებდა, რომ იმას თავის გარჯილობით და მონაგრით თვითონაც უნდა ეცხოვრნა და ისიც ეცხოვრებინა. მაგრამ როდესაც ერთგულ ხელ-მარდს და გამრჯეს ყმას რამე დასჭირდებოდა, ბატონი მაშინვე აძლევდა, რომ რა არის ხელ-მარდი მუშა ყმა არ დაჰკლებოდა. ამ გვარ გლეხს, როდესაც უმოსავლობისა გამო საზრდო დააკლდებოდა, მაშინ ის აძლევდა მას და ამ გვარად არჩენდა. რის გამო ზოგიერთი გლეხი ეხლაც ემადრიელება თავის ბატონს, და როგორც ვიცით, ბატონყმობის მოშლაც წინა პირველად მრავალს ეწყინათ. მათ განთავისუფლებამდე მე ბევრჯელ გამიგონია იმათგან: «ჩვენ ბატონებით სული გვიდგაო, და მერე როგორ ვიცხოვრებთო რომ მართლაც განთავისუფლება მოხდესო, ისინი ყველაფერს წაგვართმევენო». გარდა ამისა მრავალნი მებატონენი, რომლებსაც დიდი მამულები ჰქონდათ, ნებას აძლევდნენ სხვა მებატონის ყმას რომ ის მისულიყო და მის მიწაში ეცხოვრნა. ამ გვარს მისულს და დასახლებულს ახალი მებატონე ყველაფერში ხელს უმართავდა, რომ რა არის მას ხელ ახლად მოეწყო თავისი სახლ-კარი, ეხნა და ეთესა—თითონაც ეცხოვრნა და ბატონიც ეცხოვრებინა. ამისთვის ძრიელ ხშირი იყო, რომ ყმა ბატონს გარდაეხვეწებოდა და სხვას ეყმობოდა. ის იყო ხოლმე ხშირად მიზეზი, რომ ბატონების შორის მრავალჯერ მოხდებოდა საშინელი ჩხუბი და ერთმანერთის გლეხების დარბევა. ამ გვარის ურთიერთის დამოკიდებულებისაგან არის შემდგარი ანდაზა: «აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო». რასაკვირველია სხვებიც იყვნენ მიზეზნი ბატონ-ყმობის დამბადნი, მაგრამ ეს მოს-

სენებული თავი და პირველი მიზეზია ბატონ-ყმობისა. მე ვამტკიცებ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გლეხ-კაცი უფრო მიწის ყმა იყო, ვიდრე ბატონისა თავის სიღარიბისა გამო. ამას ის ფაქტები გვიმტკიცებენ, რომ გლეხი, თუ ბატონს ფულებს მისცემდა და მამულს სახნავ-სათესი მიწებით იყიდდა, თავისუფალი ხდებოდა ბატონისაგან.

მკითხველო ნუ გეგონება რომ ბატონ-ყმობას ვაქებდე. არა, ჩემო ნუგეშო. მე ვიცი, რომ ისინი—ყმის მონაგარს თითქმის სულ ისაკუთრებდნენ, და მერე რომ ატყობდნენ ყმა მშიერი კვდება, მაშინ იმისივე მონაგრისაგან ცოტაოდენს უკანვე უბრუნებდნენ და ამით ჭკუა მოკლე გლეხს ცბიერი ბატონი იმადრიელებდა. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ბატონ-ყმობა ხელ ნაკლულევანებამ დაჰბადა მეთქი და ამის გამო სასოფლო მეურნეობაც დაცემული იყო.

უეჭველია, რომ ვინც უფრო ღონიერი იყო, ის ყველაზე მეტს დაიჭერდა მიწებს, მოიპოვებდა სიმდიდრეს და გახდებოდა ბატონი ყმებისაც და ბატონებისაც . . . . . . . . . . . . , . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . ესეთი პირნი იყვნენ მთავარნი—თავადნი. იმათ ყველაზე დიდი მიწები და ყმები ჰყვანდათ და მდიდარნიც იყვნენ; ამისაგამო მათ ყველა ემორჩილებოდა. . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . ერთის სიტყვით—ხალხის სიღარიბე, მისი გაუნათლებლობა, მისი თავისუფალი ცხოვრების დამხობა და შეკვეთილი მოქმედება—ეს ყველაფერი ხელს უმართავდა ბატონ-ყმობას და აბრკოლებდა სასოფლო მეურნეობის გახსნას. . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

როგორც ყველასი მამას, მთავარს ანუ მეფეს ვალი ჰქონდა, რომ ყველასთვის მამობა გაეწივნა, სცოდნოდა მებატონის და გლეხების სარგებლობა, საზოგადო ძალით უწყლო ადგილში რუვებით წყალი გაეყვანა, რომ ჭირნახული კარგი მოსულიყო და ხალხის ყოფა ცხოვრება გაუკეთესებულ-იყო, ჭაობები ამოეშრო სახნავ-სათესისათვის, მტრისაგან დაეცვა, ერთის სიტყვით—ყველაფერში შემწეობა მიეცა, რომ მას ბედნიერად ეცხოვრნა. თუ ხალხი კარგად იცხოვრებდა, მეფეც ბედნიერი იქნებოდა; თუ არა და ორნივე უბედურნი იქნებოდნენ. მაგრამ საზოგადოდ რომ ვსთქვათ, არც ერთ დროს არ წარმოთქმულა ეკონომიური აზრი, არც ერთ დროს არ ეძებდენ საუკეთესო სიმდიდრის მოსაპოვებელ სახს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს. არავინა ცდილობდა, რომ კაცის ჭკუა-გონება გახსნილ-იყო, გამოეკვლია ბუნების მოვლინებანი, შეეტყო მისი ძალანი, უკეთესად ეხნა-ეთესა, რიგიანად მოევლო, ძროხისა, ცხვრისა და ცხენისათვის და სხვანი, რომ მას მეტი სარგებლობა მოეცა. მაშინ ამას ვინ დასდევდა. ყველა მამა-პაპური ხელობით ცხოვრებდა. მამა-პაპას გლეხი კაცისათვის გუთნის მეტი არაფერი მიეცა სახნავ-სათესად და ისიც მის მეტს არას ხმარობდა. ამაზედ უკეთესს არ დაეძებდა და თანაც ამბობდა: «ნუ უღალატებ ნურც მამა-პაპურსა ჩვეულებასა, ნურც ძველსა გზასა». ხალხი იყო უცოდინარი, გაუნათლებელი, იმან მამა-პაპის ხელობის მეტი საცხოვრებლად არა ფერი იცოდა, მან არ იცოდა, რაგვარად ესარგებლნა მიწით, არ შეეძლო დაეცვა წინანდელი ნაყოფიერება მიწისა, არ შეეძლო მოეპოებინა ახალი, უფრო მტკიცე და სასარგებლო ხელობა. ამების მოპოებისათვის განათლება იყო საჭირო და ბუნების მეცნიერების ცოდნა. ამ უცოდინარობისაგამო მიწის გაღარიბება ჯერაც არ არის შეწყვეტილი. ჩვენ მიწისაგან ვიღებდით და კიდევაც ვიღებთ საზრდოს, სასუქსკი არც მაშინ და არც ეხლა ვაძლევთ. რასაკვირველია, რომ რამდენათაც ჩვენ მიწას გამოვწოვთ რძეს, რომელსაც გონივრულად დედად ვუწოდებთ, იმდენად იმას ნაყოფი დააკლდება. ამის გამო, როგორათაც დედას უჭმელად ძუძუში რძე არ ჩაუვა და ვერ გააძღობს თავის შვილს რძით, აგრეთვე კიდე დედა—მიწას, თუ მუშაობის გვარად სასუქი არ მივეცით, ნაყოფი დააკლდება და ბოლოს სრულებით უნაყოფო გახდება.— ამების ანგარიშს ეხლანდელი განათლება გვასწავლის. მაშასადამე ეხლანდელი დრო სჯობნებია უწინდელს დროს განათლებით, ხვნა-თესვით, ჩვეულებით და სხვ. მაშ ეს თუ ასეა, ჩვენ უნდა თავი დავანებოთ მამა-პაპურს ჩვეულებას და თარგამოსის დროის სასოფლო მეურნეობას.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ობლის ბედი.

ჯერ ჩვეული იყო, რომ გარდეცვალნენ
საბრალო შვილსა თავის მშობელნი;
მამა და დედა ერთ დროს მოუკვდნენ,—
არა ვინ დარჩა ქვეყნად პატრონი.

მაგრამ სიკვდილი წინ და წინ იგრძნეს
ცხონებულებმა მისმა მშობლებმა,
და სიცოცხლეში ძიძასა მისცეს,
მოუსაზრებლად, დალოცვილებმა.

ცხონებულებმა არ მოიკითხეს,—
როგორი იყო საძიძო ქალი.
ვილაც დედაკაცს შვილი მიუგდეს,—
იმათ ეგონათ: ქმნეს მშობელთ ვალი.

დალოცვილებმა არ გაუშინჯეს
ძიძას არცა რძე და არც არა ზნე;
იმათ იმდენი ვერ მოიფიქრეს,
რომ იქმნებოდა სხვისი რძე მავნე.

არც შვილს ესმოდა—უარი ეთქვა
და ძიძის ძუძუ არ მეწოვა,
რომ დაეყვირა, «არმინდა» ეთქვა,
თუმც უკვდებოდნენ იმას დედ-მამა.

ინსტიკტურად კი მან დაისვლა,
როცა ჩაისო ძიძამ კალთაში;
სუსტი კბილებით მწარედ უკბინა,
როცა ძუძუს თავს უდებდა პირში.

ალბათ, სჩანს, რომა მწარედ ეჩვენა,
დედის რძის ნაცვლად, მას რძე იმისი;
ალბად დედის რძე მას ამჯობინა,
რომ ჰაწაწკინამ შეატყო თვისი.

მაგრამ მისს სივილს ყური არ უგდეს,—
და ძალათ მუმუ პირში ჩაუდეს;
სულის ამოთქმა არ დააცალეს
და რძე ძალათა ყელში ჩაუშვეს.

გ. წყალტუბელი.

1868 წ. 5 აგვისტოს. მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული წარმოდგენა თბილისში

და

## საზოგადო მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენებისა.

### I

ამ წელში ჯერ სულ ორჯელ მოხდა ქართული წარმოდგენა თბილისში, და თუ ეს ორი იმარჯს ქართული სცენის მოყვარეებმა—არ იქნება საკვირველი, რადგან გარემოებას ისე დაუწესებია, რომ საქართველოს დედა ქალაქში წელიწადში სულ ორჯელ ან სამჯერ მოხდეს სოლმე სამშობლო ენაზედ სცენური წარმოდგენა.... წარმოსდგა პირველად «გაყრა» და «მუნწი»—კომედიები ერისთავისა, სოლო მეორედ: «მე მინდა კნეინა გავსდე»—კომედია უ. ანტონოვისა, და «ცოლის შერთვევინება»—კომედია მოლიერისა, ფრანციცულით ნათარგმნი უ. დ. ყიფიანისაგან. თუმცა ამ წარმოდგენათ წარმოებაზედ ჩვენ დაწვრილებით ვერას ვიტყვით, რადგან ერთი მომქმედ პირთაგანი ვიყავით, მაგრამ საზოგადოდ კი შეგვიძლიან წარმოვსთქვათ ჩვენი აზრი მის შესახებ და ამასთან კიდეცა გვსურს წარვუდგინოთ მკითხველს ანგარიში მის ნივთიერებით მდგომარეობის შესახებაცა. ამას მით უფრო საჭიროდ ვრაცხავთ, რომ «დროებაში» და «კავკაზში» დაბეჭდილი სტატიები ამ საგანზედ—მიემსგავსებიან იმ პირთაგან დაწერილს, რომელნიც თითქოს არც კი დასწრებიან თავისგან აღწერილს წარმოდგენაზედ, და რომელთაც შინაურ მის მდგომარეობაზედ სრულებით არა სცოდნიათრა. ამასთან ამ მოხსენებულ ავტორებს აუღიათ მხოლოდ პირველი წარმოდგენა და მეორე წარმოდგენას კი სრულებით არ შეჰხებიან, თითქოს ჰშინებიათ, რომ თავისი წინად განზრახული აზრის წარმოთქმაზედ მათ მეორე წარმოდგენაში არა ვითარი წინააღმდეგობა არ ენახათ და მით არ მოკლებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ იმ კმაყოფილებას, რომელსაც კაცს ანიჭებს ბეჭვდით წარმოთქმა თვისი აზრისა, შეხედულობისა, ამასთან სხვა და სხვა ანდაზებით ან ბრძნული წარმოთქმებით შეზავებულისა, თუ მეტადრე ეს შენელებული და შეზავებული აზრი მიქცეულია წინააღმდეგ რაიმე ბოროტ-მოქმედების და ზნეობითი სიწამხდრისა. ამ უკანასკნელ სიტყვებს ჩვენ მივაქცევთ უფრო «კავკაზში» დაბეჭდილი სტატიის ავტორისკენ, რომელიც უთუოდ უნდა დასწრებოდა მეორე წარმოდგენაზედაც (თუ ან პირველზედ კი დაესწრო), სცოდნოდა ორივე წარმოდგენაების ნივთიერებითი მდგომარეობა, რომ მისი სანელებლიანი წარმოთქმა უფრო ადგილას ყოფილიყო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ — რომ იმას სცოდნოდა ესენი, მაშინ არც სანელებელი დასჭირდებოდა სტატიისთვის და იქნება ნახევარზედ მეტი იმისი სტატიისაც სრულებით არ დაბადებულიყო...

ჩვენ არ ჩამოვთვლით ყველა მოთამაშე პირებს, რადგან, ერთი, რომ ეს მკითხველებისთვის სახალისო შესატყობი არ იქნება, ვინაიდგან თამაშობდნენ მისგან თითქმის სრულებით უცნობნი პირნი, და მეორეც იმიტომ, რომ ამ საგანზედ ჩვენ მხოლოდ საზოგადო მოლაპარაკება აღვუთქვით მას — მოხსენებული გარემოებისაგამო. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ პირველ წარმოდგენაში უ. ეგნატიშვილმა გაბრიელის როლი ყველა მოთამაშეზედ უკეთესად აღასრულა, *) ხოლო საშუალოდ ითამაშეს თავისი როლები: უ. სუქიასიანმა — მიკირტუმასი, ბერიძემ — ივანესი და უ. სახელ-გამოცვლილმა ხოსია მელაძემ — ივანიკასი. პირველი წარმოდგენა საზოგადოდ ძალიან სუსტად წარმოებდა, ხოლო კერძოობით კი მისი წარმოება იყო საშუალო, ასე რომ დიდი ქება არ შეიძლება შეასხას მას, მაგრამ არც ის არის შესაძლებელი, რომ ძალიან გაჰკიცხონ, რადგან,

---

*) ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ არც ერთმა ამ საგანზედ მწერალმა არ მოიხსენა უფ. ეგნატიშვილი, მაშინ როდესაც იმაზედ ბევრით მდარედ მოთამაშენი იყვნენ ქებულნი და დიდებულნი. ეს უნდა მივაწეროთ ან იმას, რომ ჩვენ სრულებით არ გვესმის თამაშობა, ან იმას, რომ მოხსენებული სტატიის მწერლები თვით არ დასწრებიან წარმოდგენაზედ და დაუწერიათ მხოლოდ სხვისი სიტყვით, ვინიცის რამდენაირად გარდაცვლილით. ამ გვარი მწერლობა ბევრჯელ ატყუებს საზოგადოებას და დაჰბადებს მწერლობითს ჭორებს, რომელნიც ყველა სიტყვიერ ჭორებზედ მავნებელია საზოგადოებისათვის.

როგორც გამოცხადებული იყო, არდგენდნენ სცენის მოყვარენი, და არა დახელოვნებულნი და პირდაპირი ჯილდოს მომლოდნე აქტიორები. ამ წარმოდგენის სისუსტე იმდენად მოთამაშეთ ბრალი არ იყო, რამდენადაც იმისი, რომ რიგის მიმცემი არა ჰყავდათ. რაღა თქმა უნდა, რომ რიგი ყველა საქმეში ძალიან საჭიროა და წარმოდგენისთვის ხომ იგი შეადგენს უპირველესს მოთხოვნილებასა; თუ წარმოდგენის დროს რიგი არ არის დაცული, მოთამაშენი, რაც უნდა კარგაც იყვნენ მომზადებულნი, სრულებით აირევიან *).

პირველი წარმოდგენის სისუსტეს ჩვენ უფრო იმას ვაბრალებთ, რომ სცენაზედა და სცენის შიგნით ბევრი ურიგოება ხდებოდა; ხოლო მოთამაშეთ დანაშაულიც ის იყო, რომ ცოტად ჩქარობდნენ, თითქოს ეშურებიან თავიდგან მოიშორონ აღებული ტვირთიო. შესახებ ქალების თამაშობისაც არ შეიძლება კარგი რამე ვსთქვათ: ისინი არდგენდნენ ისე, როგორც სრულებით ხამები, მაგრამ მაინც იმათ თავიანთი წილი სარგებლობა მოუტანეს მყობად ქართულ წარმოდგენაებს, —ამაზე შემდეგ როდესმე ვილაპარაკებთ.

ამ ნათქვამიდგან მკითხველი გამოიყვანს, რასაკვირველია, იმას, რომ პირველი წარმოდგენა, რიგის უქონლობის გამო, სუსტად წარმოებულა და ამისგან ზოგიერთი მოთამაშის კარგად, ანუ საკმაოდ კარგად როლის აღსრულება—დახშულა. მაშასადამე ჩვენ არ ვეთანხმებით არც ერთს ამ საგანზედ დაბეჭდილ სტატიასა, რომელნიც ამბობენ, რომ წარმოდგენა «მშვენივრად აღსრულდაო».

ჩვენის აზრით მოხსენებული სტატიების მწერალნი იმ განზრახვით იხსენებენ კარგად თავიანთ ნახულეს (თუ არ ნახულს) ქართულ წარმოდგენას, რომ მით გაუკეთონ წარმომდგენლებს გული და წააქეზონ კვალადს წარმოდგენაზედ, ხოლო საზოგადოებასაც კარგად უჩვენებენ, რომ ისიც

*) რიგს ჩვენ იმას ვეძახით, რომ ყველა მოთამაშე ისეთს სურათს წარმოადგენდეს, როგორც თვით კომედიაში არის დახატული, რომ ყველა თავის დროზედ გამოდიოდეს, სცენისათვის საჭირო ნივთი ყველა თავის ალაგას იდვას და თავის დროზედ ეძლეოდეს მოთამაშეს, სცენის უკან მეტი ხალხი არავინ იყოს (მეტადრე თუ სცენა პატარაც არის)—და ერთის სიტყვით ყველაფერი, სრულად იყოს და ისე აღსრულდებოდეს, როგორც თვით მწერლისაგან არის ნაჩვენები.

ყოველთვის დასწრას წარმოდგენაზედ. ეს კარგი განზრახვაა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ვიცით, ამ გვარ მწერლების გულკეთილობას ქართული წარმოდგენისთვის აქამომდე სრულებით ვერა ურგიარა და არცა გვგონია თუ ან კვლავ უშველოს რამე. ჩვენის აზრით, ქართული წარმოდგენაები მაშინ იწარმოებენ კარგად, როდესაც ყველა წარმოდგენისათვის საჭირო მოთხოვნილებანი აღსრულდებიან და ყველა მისი გარემოება ჯეროვნად მოწყობილი და მოხერხებული იქნება,—და არა მაშინ, როდესაც ტყუილად იქება და იდიდება და განზრახვით დაიფარება მისი ნაკლულევანებანი (თუნდა ეს განზრახვა კეთილიც იყოს).

ქართული წარმოდგენაები ვერა სწარმოებენ კარგა—ეს ყველამ ვიცით. ახლა უნდა ვიკითხოთ: რა მიზეზების გამო? და კიდეც ვუპასუხოთ: იმ მიზეზებისაგამო, რომ გარემოება ცუდი და მოუხერხებელი აქვსთ. ამაზე თვით მოხსენებული ქების დამწერნიც დამეთანხმებიან. ახლა თუ ამისი შველა გვინდა—უნდა ვაქოთ ტყუილად, თუ გამოვაცხადოთ საზოგადოების წინაშე ის უხერხულობა და მოუწყობლობა, რომელიც ხელს უშლის და აბრკოლებს ქართულ წარმოდგენაებსა? ახლა შედარებითა ვსთქვათ: როდეს ემშველება სენს, ანუ ბოროტებას—როდესაც გავაგებთ მას და შევიტყობთ მის მიზეზებს, თუ—როდესაც არ ვიცით იგი და ან, თუ ვიცით, ხელს ვაფარებთ და ვცდილობთ სხვას მაინც არ გავაგებინოთ. ჩვენის აზრით პირველი მიემსგავსება გონივრულ ქცევას—უბედურების შველის სურვილსა, ხოლო მეორე, რომ ცუდი სიტყვა არ ვიხმაროთ, მოემსგავსება ან მიუხვედრებლობას და ან სიმხდალეს, რომელნიც საქმეს სრულებით ვერ წასწევენ წინ, რაც უნდა სურვილიცა ჰქონდესთ ამისი. თუ ჩვენ საზოგადოებას არ შევატყობინეთ ჩვენი სცენის მდგომარეობა და არ ვაჩვენეთ ის მიზეზები, რომლისა გამოც სუსტად მიდის ქართული წარმოდგენაები, ჩვენ რა გზით უნდა გვქონდეს იმედი მისი წარმატებისა? ჩვენ ქართული წარმოდგენაები, ან როგორც ქართველებში ხმარობენ—ქართული თეატრი, მიგვაჩნია საზოგადო საქმედ; ამის გამო ყოველთვის უნდა გამოვააშკარაოთ საზოგადოების წინაშე ის უხერხული გარემოებანი, რომელნიც სუსტად აწარმოებენ მას, როგორც საზოგადო საქმეს ანუ დაწესებულებას და აბრკოლებენ მისს წარმატებასა.

ამ აზრით გაქეზებულნი ჩვენ დავადგებით ახლა ქართული წარმოდგენაების უხეიროდ წარმოების მიზეზების გამოკვლევასა, და იმედიცა

გვაქვს, რომ საზოგადოება ყურად-ღებას მიაპყრობს მათ და წამლობის-თვის ჯეროვანს ღონის-ძიებას მოიხმარებს და ამ გვარად ქართულ წარ-მოდგენაებს წარმატებას მისცემს. ამის იმედი მით უფრო გვაქვს, რომ ქართული წარმოდგენაების წარმატება მასვე (საზოგადოებას) მოუტანს სარგებლობასა და კმაყოფილებას და მოჰხსპობს მასში მრავალს ცუდს და მავნებელ ზნეობას და ჩვეულებასა... მაგრამ ამაზედ ცალკე ლაპარაკი სჯობს.

ქართული წარმოდგენაების უხეიროდ წარმოების მიზეზები მრავა-ლია, მაგრამ თავი და თავი არის წარმოდგენისათვის ალაგის უქონელო-ბა და ამის გამო უალაგო ალაგას წარმოდგენა. ისეთი სცენა, როგორ-საც წარმოგვიდგენს ჩვენ ნემეცების კლუბის ზალა, ანუ მისთანა ზალე-ბი, — არის მხოლოდ უღონობის ღონისა. იმისთანა სცენაზედ ხუთი კაციც ვერ იმოძრავებს როგორც რიგია თავისუფლად, არათუ თხუთმეტ-სა და ოცს ეყოს. მოთამაშეთათვის უთუოდ საჭიროა, რომ სცენაზედ ვიწროდ არ იყვნენ და ერთმანერთს არ ეხლებოდნენ, რომ თავისუფლად შეეძლოსთ ყველა საჭირო მოძრაობა. მაგრამ ნემეცების კლუბისთანა სცენებზე ეს მოთხოვნილება სრულებით ვერ აღსრულდება, რადგან სცე-ნის სივრცე არ აძლევს ამის ნებასა. ეს ნაკლულევანება ძალიან ბევრს უშლის წარმოდგენას, რადგან თვით წარმოდგენის დროს მოთამაშე პი-რებს ადვილად ამღვრევს და უხდენს თამაშობის ხალისსა. (ვისაც გა-მოუცდია სცენაზე ყოფნა, იმისთვის ეს ჩვენი ნათქვამი ძალიან ცხადია). სცენის სიპატარავის გარდა დეკორაციების ანუ სურათების უქონელობაც ბევრად აუშნოვებს წარმოდგენასა. დროებით და ხელ-და-ხელ გაკეთებულ სცენების სურათები (დეკორაციები) სრულებით გამოუსადეგია ქართული წარმოდგენისათვის და ამასთან არც იმდენია, რომ მიახლოვებით მაინც შეიძლებოდეს მათი არჩევა. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ ქუჩის მა-გიერად წარმოადგენენ ოთახის შიგნითს კედელს, გაულესავი დარბაზის მაგიერად — მშვენიერ ევროპიულ სალონს, ქართულად მორთული ტახ-ტის მაგიერად — ფრთა გადატეხილ დივანს და ამასთან სივიწროისაგან ისე უშნოდ დადგმულს, რომ მოთამაშე შესვლა-გასვლაში აუცილებლად ფეხებით მაგრა უნდა ეჯახოს ხოლმე იმას, და სხვ. აგრეთვე სცენის მორთულობაც ძალიან სუსტია ხოლმე, რადგან ამისთვისაც საჭიროა ხარჯი და წვალება, რომლის აღსრულება არც ადვილია და არც ყოველ-თვის მოსახერხებელი სცენის მოყვარეთათვის. ერთი დამაბრკოლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზიც არის ტანისამოსის შეუფარდებლობა როლებთან. მკითხველი უფრო ბევრ წარმოდგენაში შეამჩნევდა, რომ ყველა მოთამაშე პირს ისე არ აცვია, როგორც საჭიროა მისი როლისთვის. ბევრჯელ მოხდე-ბა ხოლმე, რომ დარბაისელი, ხნიანი კაცის მაგიერად გამოდის ყმაწვილი კაცი და თუმცა ცდილობს დარბაისლურად ილაპარაკოს, მაგრამ სიყალ-ბის მეტი არა გამოდის რა და მაყურებელს ძალიან სამასხაროდ და უგე-მურად ეჩვენება, რომ ეს მოხსენებული, ვინიცის ჩათუქესანიცა, სცენა-ზედ დარბაისლობასა ჩემობს; ან არა გამოდის გასათხოვარი ქალის მამა და თავის მორთულობითა და სახით გაფიქრებინებსთ, რომ ბუნებას და-უცინია იმისთვის და დაბერების მაგიერად გაუყმაწვილებია. ან ბებერი, კბი-ლებ დაცვივნული ქალის მაგიერად ვხედავთ იმ ხნისა და იმ გარეგნობის მქონე ქალს, რომელსაც კბილებიც სრულადა აქვს და არც თუ სხვით-რითმე დასაწუნარი. ამ გვარი როლებისა და მორთულობის შეუფარდე-ბლობა თითქმის ყველა მოთამაშე პირთ ეტყობა, — თუ ერთნაირად არა, მეტ-ნაკლებად მაინც. იმას აღარ ვამბობ, რომ შლეიფიანი კაბის მაგიე-რად გამოდის ახალი მოდის მოკლე კაბა, შალის მაგიერად ქათიბი, სა-პატარძლო კაბის მაგიერად — თალხი მოვის კაბა, და სხვ. და სხვ. ამ გვარნი ანუ ამაზე მცირე მოუხერხებლობანიც კიდევ მრავალნი არიან ქარ-თულ აწინდელ სცენაზედ და ესენი ყველანი ერთად და ცალკ-ცალკეც ძა-ლიან აბრკოლებენ წარმოდგენების წარმატებასა. ახლა ამას დავუმატოთ ისიცა, რომ თვით სცენაზე რეპეტიციები ვერ მოხერხდება ხოლმე და მოთამაშენი თვით სცენაზედ ვერ შეისწავლიან ხოლმე თავიანთ როლსა, გასვლა გამოსვლას, ქცევას და საჭირო ნივთის ხმარებასა; ამასთან ისა, რომ მოთამაშეთ ბევრჯელ იმდენი დროც არა აქვსთ, რომ მოისაზრონ სცენის გაწყობა და ყველა ნივთი თავის ალაგას დაჰდონ, რომ დაჭირვე-ბის დროს ხელათა ჰქონდესთ: ბევრჯელ ისიც მოხდება ხოლმე, რომ მოთამაშე ან უნდა გარბოდეს სცენიდგან საჭირო ნივთის მოსატანად, ან არა და უიმისოდ ასრულოს თავისი როლი, რომელიც ამ შემთხვე-ვაში გამოდის უაზროდ და უალაგოდ. ეს მოუწყობლობა უმეტესად წარმოსდგება არა იმისაგან, რომ მოთამაშენი ცივად და დაუდევნელად ეკიდებიან სცენის საქმეს, არამედ უფრო იმისაგან, რომ ნივთიერებითი მდგომარეობა მათი და დრო მისთვის შეწირული ფრიად მცირეა. პირ-ველ სანშივე ეს საქმე ითხოვს ხარჯს და ამ მოთხოვნილების მხრივ ბევრით ვერ დააკმაყოფილებენ სცენის მოყვარე მოთამაშენი. ეს გარე-

მოება წარმოდგენის ყველა ნაწილს, ყველა მოძრაობას ემჩნევა და აქედგან გამოდის საზოგადო სისუსტე ჩვენი სცენის მოყვარეთ წარმოდგენათა. ეს გარემოება არ უნდა დაივიწყოს ყველა ქართული სცენის მომხრემ (ვრცელის აზრით ვამბობ) და როდესაც ლაპარაკი მოუხდება— არ უნდა ჰფარავდეს საზოგადოების წინაშე მის სისუსტეს და იმის მიზეზებსა, რადგან, ჯერ ერთი, ეს მიზეზები წარმოსდგებიან იმდენი მოთამაშეთაგან არა, რამდენიც საზოგადოდ ყველასაგან ანუ მთელი ჩვენი საზოგადოებისაგან, და მეორეც იმიტომ, რომ გამოაშკარავებულ სენს და ბოროტებას უფრო ადვილად და მალე ეშველება. რაღა ჩიჩინი უნდა რომ საზოგადო სენი უნდა ყოველთვის გამოაშკარავდეს საზოგადოების სიკეთისათვის და არაოდეს არ დაიფაროს იგი.

მაგრამ ზოგიერთი მწერლების ჭეშმარიტების დამფარავი კილოს გასამართლებლად ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ისინი იცნობენ ჩვენს საზოგადოებას და ჰშიშობენ, რომ ხან-და-ხან სიმართლით ლაპარაკმა საქმეს არ ავნოს სამუდამოდ; ისინი ასე ფიქრობენ: ჩვენ საზოგადოებას რომ ვუთხრათ: ქართული წარმოდგენა ცუდად წარმოებდაო,—მეორე და მესამე განცხადებაზედ (წარმოდგენის შესახებ) იტყვიანო: «თვალიც დაგიდგებათ! კარგა წარმოადგინეთ და მაშინ მოვალთო, ცუდი წარმოდგენა თქვენთვის შეინახეთო». ეს ერთი მხრივ მართალია. ჩვენი საზოგადოება მართლა რომ სხვის სიტყვას მალე აჰყვება ხოლმე, ამასთან მოუფიქრებლად, და ამ აყოლამ შესაძლებელია საქმეს ძალიან ავნოს. სწორე მოგახსენოთ, ჩვენც გვეშინიან, როს საზოგადოებამ ეს ჩვენი მასთან საუბარიც უფიქრებლად არ მიიღოს და ჩვენგან მოლოდინებული სარგებლობისა და საქმის დახმარების მაგიერად უკუ არა ჰდგეს ჩვენგან და ამით ჩვენც—სარგებლობის მაგიერად—არ ვავნოთ საქმეს. მაგრამ რაც უნდა იყოს ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია სასარგებლოდ, რა საქმეშიაც უნდა იყოს, ის კილო, რომელიც ჭეშმარიტებას ჰმალავს იმ განზრახვით, რომ საქმეს ეშველოსო და ისიც მაშინ, როდესაც საქმეს მხოლოდ მაშინ ეშველება, როცა ჭეშმარიტება (იმ საქმის შესახები) გამოცხადდება. ესეთივეა ჩვენი სცენის საქმე: თუ ჩვენი სცენის წარმოების შესახებ ყოველიფერი ჭეშმარიტება არ გამოცხადდება—კეთილი არა გამოვა ქართული თეატრისთვისა. ვსთქვათ, საზოგადოებას ჰგონია, რომ ქართული წარმოდგენები ჩინებულად მიდის—წარმომდგენლებს თავიანთი აზრი უსრულდებათ? ქართული სცენა წარმატებაში შედის? სრულაც არა.

ამიტომ არის, რომ რაც დრო მიდის, იმდენი უფრო და უფრო ხუსტ-დება ჩვენი წარმოდგენაები. ეს ფაქტია: ვგონებ ამისი წინააღმდეგობა არავის შეეძლოს, რადგან ყველა ცხადად ჰხედავს ამასა. ეს ფაქტიც, ჩვენის აზრით, უეჭველია, იმისაგან წარმოსდგება, რომ საზოგადოება არც თითონ უგდებს ყურს ჩვენ სცენასა და არც თუ ვისმე წარუდგენია მისთვის მისი მდგომარეობა, მისი ნაკლულევანება, ამის მიზეზები, შეე-ლის სახსარი და სხვ., და ამის გამო თითქოს ამ საქმისაგან განდევნილი საზოგადოება თითქმის სრულებით აღარ უგდებს ყურს თავის ენაზედ წარმოდგენასა, თითქოს აღარა ჰრაცხს თავის თავს არა ვითარ მონა-წილედ მასში, და ამის გამო მომხდარა ის, რომ საზოგადოება და სცენა გაყრილან, განცალკევებულან, ხოლო აქედამაც კიდევ ის გამოსულა, რომ საზოგადოება არას დაჰდევს ქართულ წარმოდგენაებს, არა ფიქრობს მისი ნაკლულევანების შესრულებასა, მისს წარმატებასა, თუმცა ეს პირ-და-პირ მისი საქმე და მოვალეობაა. ეს, როგორც ვთქვით უკვე, წარმოს-დგება იმისაგან რომ აქამომდე ჩვენ ლიტერატურას ამ საგანზედ რი-გიანი სრულებით არა უთქვამსრა და თუ უთქვამს რამე, იქაც არ გამო-უცხადებია ჭეშმარიტება, არამედ ის პრაკტიკული კილო უხმარია, რომელიც სათუმქლიანად ვერას უშველის საქმეს და თუ ბევრი რამე შეიძლა, იმის მეტს მაინც ვერას შეიძლებს, რომ საქმეს ერთნაირ მდგომარეობაში ამყოფებს *).

---

*) თუმცა გამოჩენილან იმ გვარნი პირნიც, რომელთაც წანააღმდე-გი აზრი გამოუცხადებიათ შესახებ მოხსენებული მწერლების, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იმათი წინააღმდეგობიდამ ჩვენ სრულებით ვერა გამოგვიტანია რა. საზოგადო ფრაზებით თქმა: «ჩვენ თანახმა არა ვართ ავტორისა... საქმეს ავტორი სხვაინაირად უყურებს — ჩვენკი სხვანაი-რად გვესმისო» — ვგონებთ, სულაც არა ჰნიშნავს წინააღმდეგი საბუთის გამოთქმას, აზრის გარკვევასა. ესეთი ცარიელი სიტყვები ედარებიან არაფერს. საზოგადოებას ის ხომ არ უნდა შეიტყოს, თუ ა ანუ ბ წინააღმდეგია თუ არა რომლისამე აზრისა, არამედ ისიც უნდა შეიტ-ყოს, თუ რა მიზეზით არის წინააღმდეგი, რა საბუთი აქვს თავის წი-ნააღმდეგობისა, თითონ როგორ უყურებს საგანს და რა მიზეზით და სხვ. ამ გვარი წინააღმდეგობა ჰგავს აზრისა და საბუთების წარმოთქმა-სა; მაგრამ საზოგადო ფრაზებისა და ცარიელი სიტყვების ხმარება ეთა-

ამ ყოველივეს ჩვენ იმ განზრახვით ვამბობთ რომ ვაჩვენოთ საზოგადოებას ჩვენი სცენის სუსტი მდგომარეობა და ამასთან ისიცა, რომ ამაზედ ჯერ ჩვენ მწერლებს რიგიანი არა უთქვამსთრა, ჯეროვანი ყურადღება არ მიუპყრიათ, ტყუილი ქებისა და ცარიელი ფრაზების მეტი არა მოუხმარებიათრა; ამასთან ისიც უნდა გვეთქვა, რომ წარმოდგენაები პირდაპირ საზოგადოებაზედ არიან დამოკიდებულნი, რომ ქართული თეატრის წარმატება მაშინ უფრო საიმედოა და შესაძლებელი, როდესაც თვით საზოგადოება იზრუნავს იმაზედ, რომ ერთი-ორი თავ-გამოდებული პირი ვერას იზამს ამ საქმეში, რადგან ამ საქმისთვის საჭირო მოთხოვნილებას—მეტადრე ნივთიერებითს—ისე ვერ დააკმაყოფილებს, როგორც ეს მთელი საზოგადოებისთვის არის შესაძლებელი. ეს ყოველივე ჩვენა სთქვით მოკლედ—გაკვრით, რამდენადაც შეიძლებოდა გვეთქვა აწინდელ სტატიაში, ხოლო მომავალში იმედი გვაქვს ამ საგანზედ უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ.

ახლა კი გადავიდეთ მეორე წარმოდგენაზედა და შემდეგ წარვუდგინოთ მკითხველს ორივე წარმოდგენის ანგარიში: ესე იგი შესავალი, გასავალი და დანარჩენი თანხა, რომელიც «კავკაზში» დაბეჭდილი სტატიის ავტორის სიტყვით **მარჯვენა ხელს ისე დაუხარჯავს, რომ მარცხენას ვერა გაუგიარა.**

მეორე წარმოდგენა («მე მინდა კნეინა გავხდე» და «ცოლის შერთვევინება») გაცილებითა სჯობდა პირველს, თუმცა თითქმის სულ ისივე პირები იყვნენ მოთამაშენი. ამ მეორე წარმოდგენამ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ რიგის დაცვა წარმოდგენის დროს ძალიან ჰშველის თვით წარმოდგენას და ნაკლულევანებაები მაყურებელს ისე ცხადად და გამოაშკარავებით

ნასწორება: არაფერს, ანუ უფრო ნაკლებსაც, რადგან «არაფერზედაც» მაჩვენებელია. მაგალითებრ: «დროებაში» დაბეჭდილ სტატიას, წარმოდგენის შესახებ, რედაქციისაგან შენიშვნა აქვს გაკეთებული, რომელშიაც ნათქვამია: «ჩვენ ამ სტატიის ავტორს ძრიელ ბევრში არ ვეთანხმებით», ის კი აღარ არის ნათქვამი, თუ სახელდობრ რაში? განა არ შეუძლიან მკითხველს იფიქროს, რომ რედაქცია სტატიის ავტორს არ ეთანხმება იმაში, რომ სუქისიანმა მიკირტუმას როლი ითამაშა, ანუ მეორე წარმოდგენა ვეღარ მოხდა, ან ხალხი ცოტა იყო, ან კიდევ, რომ ყველიერში არ წარმოსდგა, არამედ სხვა დროს და სხვ. ამ გვარი შენიშვნებისა ჩვენ არა გვწამს რა, რადგან უსარგებლობის გარდა ვნებაც შეუძლიანთ.

აღარ ეჩვენება, როგორც ურიგოების დროს. ამ წარმოდგენაში ყველა მოთამაშემ ბევრით უკეთესად ითამაშეს, ვიდრე პირველ წარმოდგენაში; აგრეთვე ქალებმაც გვაჩვენეს, რომ გამოცდილების მოპოვებით ისინი რიგიან აქტრისებად შეიქმნებიან.... მეტადრე «ცოლის შერთვევინება» წარმოსდგა რიგიანად. არ შეიძლება არ მოვიხსენოთ თავი როლის მოთამაშე ამ კომედიაში უ. სვ. მგალობელი, რომელმაც კარგა აღასრულა თავისი როლი—სგანარელისა, თუმცა ორი თუ სამი დღის მეტი არა ჰქონდა მომზადებისთვის. აგრეთვე სხვა მოთამაშეებმაც რიგიანად აღასრულეს თავისი როლები. საზოგადოდ მეორე წარმოდგენა, ჩვენის აზრით, ისე რიგიანად წარმოებდა, რომ არა თუ სცენის მოყვარეთ, არამედ თვით გამოცდილ აქტიორებსაც არ შერცხვებათ ამისთანა წარმოდგენისა. რაღა თქმა უნდა, რომ უკეთესი გარემოების დროს ესევე კომედიები უფრო უკეთესად წარმოსდგება, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ რიგის ქონამაც ბევრად უშველა წარმოდგენას, და სხვა გარემოება ისევ პირველის გვარი იყო, ხოლო ზოგიერთი უფრო ცუდიცა *). მაინც ერთმა კარგმა გარემოებამ—რიგის ქონამ,—იმდენად უშველა წარმოდგენას, რომ მომეტებელი მოუხერხებლობა დაჰფარა მაყურებელთაგან.

ერთის სიტყვით ჩვენ იმ აზრს ვადგევართ, რომ ჩვენი წარმოდგენაები ყოველთვის კარგები იქნებიან, თუ გარემოება კარგი ექნებათ, და თუ ეხლა, აწინდელ დროში ჩვენ სცენას აქვს რამე ნაკლულევანება (საზოგადოდ თუ კერძოობით) უფრო მომეტებულნი მათგანნი წარმოსდგებიან უალაგო ალაგას წარმოდგენისაგან და სხვა მოუხერხებელი გარემოებისაგან, რომელიც ყოველთვის მტერია სცენისა. ხოლო ეს ყოველივე გარემოება წარმოსდგება იმისგან, რომ—გავიმეორებთ—სცენის მოყვარეთ ბევრი არა შეუძლიანთრა, გარდა იმისა, რომ წარმოდგენას

---

*) მოთამაშეთ ორი კომედიის მოსამზადებლად ამ მეორე წარმოდგენისთვის სულ ხუთი—ექვსი დღის მეტი არა ჰქონდათ. ამასთან «მე მინდა კნეინა გავხდე» ერთი წიგნის მეტი ვერ იშოვნეს, თუმცა ბევრი ეძებეს და ბევრსა სთხოვეს. ამის გამო რეჟისსერი, ანუ რიგის მიმცემი უწიგნოდ დარჩა; მაგრამ მაინც ამ ფრიად დიდმა ნაკლულევანებამ სრულებით არ ავნეს საქმეს, რადგან რიგის მიმცემი და მასთანავე სუფლიორი ხელოვნურად იქცეოდნენ.

მოახმარებენ დროსა და ჯაფას მხოლოდ როლების დასწავლისათვის. მაგრამ სცენის წარმატებისათვის ეს მსხვერპლი ძალიან ცოტაა, ისე ცოტაა, რომ ბევრს ვერას უშველის სცენის საქმეს. ამას ამტკიცებს ის შემთხვევა, რომ განსვენებულის ყარანცოვის შემდეგ ქართული სცენა ერთსა და იმავე ცუდ მდგომარეობაშია, და არა თუ ერთ მდგომარეობაში, არამედ უკან უკანაც მიდის. ეს წარმოსდგება უფრო უმეტესად იმისგან, რომ ქართული თეატრი «სცენის მოყვარეთ» ხელშია. ვისაც ქართული წარმოდგენაებისთვის ყური უგდია მის დაარსებიდგან აქამომდე, იმისთვის ძალიან ცხად ფაკტს შეადგენს ეს ჩვენი ნათქვამი.

ამის მიზეზების გამოკვლევას არ მივყვებით დაწვრილებით. ჩვენ ამ ჟამად მხოლოდ ის გვინდოდა გვეთქვა, რომ ქართული წარმოდგენაები «სცენის მოყვარეთ» ხელში სულაც არა სწარმოებენ «ჩინებულად». ჩინებულად წარმოება, აწინდელ დროში, მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც — კიდევ განვიმეორებთ — საზოგადოება იზრუნავს იმისთვის, როგორც ეს იყო განსვენებულის ყარანცოვის დროსა. მხოლოდ საზოგადოებას შეუძლიან ჩვენში აღუსრულოს ქართულ თეატრს ყველა ხარჯი და გასავალი და წარმოსადგენი ალაგიც უშოვნოს მას. მანამ ეს არ იქნება — ქართული თეატრი, რაც უნდა იყოს, «სცენის მოყვარეთ» ხელში ჩინებულად ვერ იწარმოებს და თუ გინდ ხანდახან რიგიანადაც წარმოსდგეს, მაინც ნაკლულევანება ბევრი ექნება, წარმატებაში ვერ შევა და წარმოსდგება იშვიათად — ისე იშვიათად, რომ წელიწადში ორჯელ, ან სულ ბევრი — სამჯერ!...

უეჭველია, მკითხველი ადვილად იგრძნობს, რომ ეს ყოველივე იმისაგან წარმოსდგება, რომ თეატრი «სცენის მოყვარეთათვის» არის «სხვათა შორისი» საქმე და არა პირდაპირი მათი მოვალეობა. «სხვათა შორის» გაკეთებული საქმე ვერაოდეს ვერ შევა წარმატებაში, ამიტომ რომ საქმის წარმატებისათვის საჭიროა ჯეროვანი ვარჯიშობა, ყურადღების მიპყრობა და ბეჯითი მიყოლა საქმისა და ერთის სიტყვით მთელი არსებისა იმ საქმით დახათვრვა, რომელსაც კისრულობს კაცი, — და არა ქეიფზედ მოსვლა ზოგი ერთთა კერძოთა პირთა. ქეიფზედ მოსვლით «სხვათა შორის» გაკეთებული საქმე ჩვენა გვგონია, რომ არც როდისმე შესულა წარმატებაში და არც ეხლა არის მოსალოდნი ესა. სწორედ ამ მოსაზრებისა გამო ვფიქრობთ ჩვენ, რომ ჩვენი თეატრი ანუ ქართული სცენა ფრიად საეჭვო მდგომარეობაშია. ამას განზრახვით ქვეს

ვერას უშველის, არამედ უშველის ერთგული და ბეჯითი დახმარება საზოგადოებისა.

აქ არ ვაჩვენებთ მკითხველებს ის ღონისძიებანი, რომელთ საშუალებითაც შეიძლება მოისპოს ჩვენი თეატრის დამაბრკოლებელი მიზეზები. ჩვენ ამ საგანზედ საზოგადოდ ვლაპარაკობდით, გაკვრით; ამასთან ვცდილობდით მხოლოდ იმას, რომ საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა ჩვენი სცენის ცუდად წარმოების მიზეზები, რადგან როდესაც კაცმა იცის რაიმე საქმის დამაბრკოლებელი მიზეზები — მაშინ იმათი მომსპობელი საშუალების პოვნაც ადვილად შეუძლიან იმას. ამის გამო ამ ხსენებულ საშუალებაებზედ ამ შემთხვევაში არას ვიტყვით, სხვა დროსთვის დაუტევებთ.

ახლა გადავიდეთ იმ ორ წარმოდგენათ ნივთიერებით მდგომარეობაზედ, ესე იგი შესავალ გასავალზედ და დანარჩენ თანხაზედ.

«დროებაში» ჩართული სტატიის მწერალი ამტკიცებს (პირველ წარმოდგენაზედ), რომ ბილეთები წინა დღესვე დაიტაცესო და წარმოდგენის დროს ყველანი მზად იყვნენ ერთი სამად ფასი მიეცათ, მაგრამ ბილეთები აღარ იშოვებოდაო. ამას ეთანხმება და თითქოს ამ კილოთივე ამბობს «კავკაზში» დაბეჭდილი სტატიის მწერალიცა, მაგრამ საქმეზედ სულ არაფერი ჰგავდა ამ ნათქვამებს. მართალია ბილეთები კარგა იყიდებოდა, მაგრამ მაინც რამდენიმე დარჩა გაუყიდავი; ხოლო რაც შეეხება ერთი სამად ფასის მიცემას — ამის სურვილი სრულებით არავის აღმოუჩენია, რადგან საქმე სხვანაირად იყო: დარჩენილი ბილეთები თავის ფასადაც დიდის სიხარულით გაიყიდებოდნენ, არათუ ერთი სამადი ფასი ეთხოვნათ ვისგანმე. ჩვენც რომ ანდაზა მოვიხმაროთ ამ შემთხვევაში — უნდა ვსთქვათ: «ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს», ანუ ჩვენი სიტყვებით: მწამს, რომ ბილეთებში ერთი სამად აძლევდნენ ფასს და მაინც არ იშოვებოდა — და დარჩომილი ბილეთები კი მაკვირვებს!.. მაგრამ აქ ბევრი გაკვირვება და გაოცება საჭირო არ არის: ეს ამბავი გამოწვეულია იმ შემთხვევისგან, რომ ბილეთები საკმაოდ კარგად იყიდებოდა. აგრეთვე ის ამბავიც, რომ ბილეთებს იტაცებდნენო ანუ, უკეთა ვსთქვით, ტაციაობით ყიდულობდნენ — გადასხვაფერებულია. საქმე ნამდვილად ასე სწარმოებდა: მომეტებულ ნაწილს ბილეთებს ძალად აძლევდნენ და მაშასადა-

მე თითქმის სტაცებდნენ ფულებს, *) და ჩვენა გვგონია, რომ მოხსენებული სტატიის მწერალს ფულების ტაციობა წარმომდგენელთაგან—მაყურებელთაგან ბილეთების ტაციობად მიუღია.... მაინც ამ წარმოდგენისაგან დარჩა ფულები. გასავალი იყო შემდეგი: ზალის ქირა—43 მანეთი, აქტრისების ფასი—50 მანეთ., ტანისამოსისა—22 მან., კრესლებისა და სკამებისა 15 მან., იმათი მოსატანი და წასაღები 1 მან. და 40 კაპ., მუზიკისა—15 მან., აფიშების ხარჯი სულ 8 მ. და 50 კაპ., პარიკმახერისა—4 მ., დესეტნიკებს და მოსამსახურეებს—3 მან., წვრილი ხარჯი—2 მ. 35 კ., აქტრისების მიყვან—მოყვანაზე ფაეტონში დახარჯული—3 მ. და 70 კ., მეზურნეებსაც 6 მან.,—სახლის ქირა რეპეტიციებისთვის — 5 მან., — სულ გასავალი შეადგენს 178 მან. და 95 კაპეიკს. ადგილები იყო შემდეგი: 30 სამ მანეთიანი კრესლო, 30 ორ მანეთიანი, 95 მანეთიანი სკამი და 80 ხუთშაურიანი ადგილი. აქედგან დარჩა გაუსყიდავი: 6—მანეთიანი სკამი, 3—სამ მანეთიანი, 1—ორ მანეთიანი კრესლო და 40—ხუთშაურიანი ადგილი; აგრეთვე გაუსყიდავ ალაგებს უნდა მივათვალოთ 20—მანეთიანი სკამი, რომელნიც მიეცათ უფასოდ მოთამაშე პირებს და როლების გადამწერლებს. მაშასადამე შემოსავალი იყო სულ 221 მანეთი, რადგან 3 მანეთი შემოვიდა მეტი ბილეთების გასყიდვის დროს. გასავალი (178 მან. და 95 კ.) რომ გამოვრიცხოთ, დარჩება—42 მანეთი და 5 კაპეიკი.

მეორე წარმოდგენის გასავალი იყო: ზალის ქირა—43 მან., აქტრისებს—20 მან., სათარას—35 მან., ტანისამოსის ქირა—25 მ., კრესლებისა და სკამების ქირა—14 მ., ამათი წასაღები და მოსატანი—1 მ. და 40 კაპ., აფიშებისა—8 მ. 50 კ., პარიკმახერს—4 მან., დესეტნიკებს და მოსამსახურეებს—2 მან. და წვრილმანი გასავალი—3 მან. ეს სულ შეადგენს—155 მანეთსა და 90 კაპეიკსა. კრესლების ბილეთები იმდენივე იყო და იმ ფასისავე, როგორც პირველ წარმოდგენაზედ, ხოლო სკამებისა და სადგომი ადგილებისა—სივიწროვისა გამო ნაკლები იყო, სახელდობრ: სკამები 80 და სადგომი ალაგები 50. მაშასადამე

*) ეს გარემოებაც გვიმტკიცებს ჩვენ იმას, რომ «სცენის მოყვარეთ» ხელში ქართულ წარმოდგენაებს დიდი წარმატება ვერ მიეცემა, რადგან თვით საზოგადოება ვერ უჩვენებს მათ ჯეროვან თანაგრძნობასა.—ეს თითქმის ყოველთვის ასე მოხდება ხოლმე.

სრული შემოსავალი უნდა ყოფილიყო 245 მანეთი. ბილეთები დარჩა გაუსყიდავი—12—სამ-მანეთიანი, 11—ორ-მანეთიანი, 28—მანეთიანი და 23—ექვს-შაურიანი; ამას დაუმატოთ მოთამაშეთაგან უფასოდ წაღებული ბილეთები—18, მაშინ გაუსყიდავი დარჩებოდა სულ 110 და 90 კაპეიკისა. მაშასადამე შემოსავალი იყო სულ 134 მან. და 10 კაპ., ახლა რომ გამოვრიცხოთ გასავალი 155 მან. და 90 კაპ. — დარჩება ვალი—21 მანეთი და 80 კაპ.

პირველ წარმოდგენის დანარჩენი იყო 42 მ. და 5 კ., ხოლო მეორე წარმოდგენისა ზარალი—21 მან. და 80 კაპ. ეს ზარალი რომ გამოვიდეთ პირველი წარმოდგენის მოგებიდგან — სულ დარჩება მაშინ წმინდა მოგება—20 მან. და 25 კაპ. მაშასადამე კეთილი საქმისთვის, თუ კი ძალიანა ჰსურს საზოგადოებას, სცენის მოყვარეებს უნდა ჰქონდესთ სულ 20 მ. და 25 კაპ. ეს ესე უნდა იყვეს ყოვლად უეჭველად, თუ ბილეთები სულ ნაღდად ისყიდებოდა. მაგრამ ეს არის უბედურება, რომ ორივე წარმოდგენისაგან აქამომდე არის დარჩენილი ნისიები 38 მანეთისა. თუ ეს ფული ჩაჰბარდებათ წარმომდგენლებს, მაშინ შესაძლებელი იქნება 20 მან. და 25 კ. სრულად მოჰხმარდეს კეთილ საქმეს, და თუ არა—მაშინ წარმომდგენლებს დაედება კისერზედ ჩვიდმეტი მანეთი და ოთხ-აბაზს ერთშაურნაკლები, ხოლო მოგება 20 მან. 25 კაპ. იქნება დაიგანტული სხვა და სხვა პირების ხელში, რომელთაც ნისიად წაუღიათ ბილეთები. რადგან აქ არითმეტიკულ სიმტკიცეს ვხმარობდით, არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ გვარივე სიმტკიცით ჩამოგვეთვალა ნისიად ბილეთების წამღებები, მაგრამ... ამას დაუტევებთ, რადგან ჯერ სამისოდ ჩვენც არა გვგვჭირებია რა და იმედიცა გვაქვს, რომ ისინი არ გაგვიჭირებენ საქმეს და გადიხდიან თავიანთ ვალს *).

ამასთან არ შეიძლება არა ვსთქვათ აქ ისიცა, რომ წარმოდგენლებს არ გამოუცხადებიათ თუ წარმოდგენა კეთილი საქმისთვის არისო;

*) აქ არ შეიძლება არ წარვუდგინოთ მკითხველს ზოგიერთი მოვალის მსჯელობა: «რომ კეთილი საქმისთვის გინდათ? — მეც კეთილი საქმისთვის მოვიხმარებო»... ან კიდევ: «სხვის მიცემას მე დავხარჯო, ეს უფრო კეთილი საქმე არ იქნებაო»?... ეს რომ ჩვენ თითონ არ გაგვეგონა—სხვას არ დაუჯერებდით. ამას შემდეგ შეიძლება მოველოდეთ იმათგან ვალის გადახდასა?...

ამიტომ ჩვენა ვფიქრობთ, რომ არავის არა ჰქონდა გამოძიების და გამოკვლევის უფლება. მაყურებელთ საქმე მხოლოდ ის იყო, თუ ჰსურდათ, ფასი მიეცათ და წარმოდგენა ენახათ; ამასთან შეეძლოთ რასაკვირველია ესაჯნათ წარმოდგენაზედ წარმოების შესახებ, მოსწონებოდათ, თუ არ მოსწონებოდათ იგი, — თუ არა მაყურებლების, ანუ სხვა ვინმე გარეშე პირის საქმე არ იყო შესვლა მის შინაურ საქმეებში, ამიტომ არ იყო იმისი საქმე, რომ არდგენდნენ კერძო პირნი, რომელნიც უნდა გაჰძღოლოდნენ ყველა შემთხვევაში ზარალს და ყველა სხვა უხეირო შედეგს. ამ პირებს, რომ ძალიან არ გაეზვიადოთ, მაყურებელთაგან თუ საზოგადოებისაგან მადლობის მეტი არა ეკადრებათ რა, რადგან ყველა თამაშობის დროს — დროსა და ჯაფის დაკარგვის მეტი არა ერგებათრა სიღმე იმათ... მაყურებელთ რომ მიეღოთ მონაწილეობა და მოვალეობა იმ გვარი, როგორიც ჰქონდათ მოთამაშეებს, მაშინ სხვა არის, მაშინ ჩვენ თითონ გვექნებოდა პირ-და-პირი მოვალეობა იმათ გამოთხოვამდის გვენახებინა ყოველივე შესახები წარმოდგენის შინაური მდგომარეობისა *).

თუმცა ეს საგნები საკმაო იყო ჩვენთვის, რომ სხვა და სხვა სიტყვის მასალებისთვისა და ლაპარაკისთვის ყური არ მიგვეგდო, მაგრამ მაინც წარვუდგინეთ ყველას სრული ანგარიში ჩვენი წლევანდელი წარმოდგენებისა. ეს იმიტომ უფრო, რომ ზოგიერთი ბოროტ-მოქმედე-

---

*) მაინც მოთამაშენი უეჭველია კეთილ საქმეზედ მოიხმარებდნენ, თუ კი მოგება დარჩებოდა რამე, ამიტომ რომ ის მოგება, სულ ბევრი ბევრი ოთხი-ხუთი თუმანი, ვერას გზით ვერ დააკმაყოფილებდა ათი-თხუთმეტი კაცის ჯაფასა და დროს დაკარგვას, — მეტადრე მაშინ, რომ ამ ათმა-თხუთმეტმა კაცმა მთელი ოთხი თვე მოანდომეს ამ საქმეს. ამოდენა ჯაფისთვის თითოს უნდა ერგებოდა სამი ოთხი მანეთი! ეს, სწორედ გითხრათ, ვერა ფერი ჯილდოა და არა მგონია თუ ჩვენში იმ გვარი თავის მოყვარენი ბევრნი იყვნენ, რომელნიც ასე ძვირად აფასებდნენ თავიანთ დროსა და ჯაფასა!!... ეგეც რომ არა ყოფილიყო, მაინც არავის არა ჰქონდა გამოძიების უფლება, იმიტომ რომ ვინც მისცა ფული — მის მაგიერად ნახა წარმოდგენა თავის ენაზედ... და წარმომდგენლებიც თავიანთ დაკარგულ დროს (თუ კი შეიძლება ესა ვსთქვათ) და ნისად მოსულ ხალხის მაგიერად დახარჯულ ფულებს არავის არ ედავებიან.

ბის მდევნელთ ცხადად დავანახვოთ თავიანთი დონ-კიხოტური მოჩვენებაები და ამასთან საზოგადოებასაც არ ეგონოს, რომ დიდი თანხა აქვს გადადებული კეთილი საქმისთვის (თუ კი არწმუნებენ, რომ კეთილი საქმისთვის იყო წარმოდგენაო); ამასთან ისიც გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რამდენი ვალი ედებათ უფრო უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენის მოთავეებსა, რომელთ მარცხენა ხელს არა ერთხელ უგრძვნია ცუდი მდგომარეობა, რომ მარჯვენა ხელისთვის დიდი გაჭირებით მიუცია წარმოდგენისგან დარჩომილ ვალებში დასარიგებელი ფულები.

## ხსენება საკჳრველისა განთაჳსუფლებისა განსაცდელისაგან ჴელმწიფე იმპერატორისა, 4 აპრილს 1865 წელსა.

—

დღეს ის დღეა შენნი ერნი
ღმერთს შეჰწირვენ მადლობასა,
შენნი ერთგულნი ივერნი
მოგიძღვნიან გალობასა. —

კაცთ-მოყუარეო ჴელმწიფევ,
დღეს განსაცდელს განერინე;
ჩუენგან თუმცა შორსა ჰსუფევ —
სიხარული ჩუენც მოგვფინე.

ანგელოზი იმა წამსა
შენ გფარვიდა უჩინარად,
და ზენა განუსაზღურელსა
შენ უყუარხარ, მეფევ, მარად.

ოდეს ბაღსა შენა ვლიდი
და გარს გერტყა შენი ერი,
ყველას აქუნდა გული მშვიდი,
მაგრამ მუნვე იყო მტერი.

იგი შენს კუალს თან მოსდევდა,
ბოროტება განეზრახა;
მასში ეშმაკი ბუდობდა
ცხადად ყველამ დაინახა!

ჴელი აქუნდა შებილწული
სისხლისაგან ეშმაკისა,
გულში ჰქონდა შენახული
დარიგება სატანისა.

როს ადიდო საზარელად
საზიზღარი საჭურველი,
ანგელოზი მაშინ მცველად
იყო, მეფევ, შენი მკსნელი.

მან დასთრგუნა შენი მტერი,
ეშმაკი იქმნა მძლეული,
გიღაღადებს შენი ერი,
ჴელმწიფე ხარ კურთხეული!

დიმ. ბერიევი.

4 აპრილს, 1869 წელსა.

ქ. ტფილისი.

## საბიბლიოგრაფიო ფურცელი

**კავკასიის აქეთი მხრის კარტა, გამოც. 1868 წ.** ყველა გვარი რიგიანი ლიტერატურული, ანუ მეცნიერებითი გამოცემა შეადგენს საზოგადოებისათვის სასარგებლო მოპოვებასა. ამიტომ რომ იგი ჰმატებს საზოგადოებას სწავლისა და ცოდნის მოპოვების საშუალებასა, ჰმატებს სულიერი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ღონის-ძიებასა. ამის გამო ყველა კაცი, ვინც კი რამე აფასებს ცოდნასა, მეცნიერებასა — უნდა სიხარულით მიესალმოს ყველა გვარ გონების გამხსნელ და გამამდიდრებელ შეძინებასა. აგრეთვე ჩვენც სიხარულით და პატივის ცემით მივესალმებით ქართულად შედგენილ **საქართველოს** ქარტასა.

**როგორც** ყველამ ვიცით, ჩვენში **საქართველოს** კარტის გამოცემა პირველი საქმეა. თუმცა არის უკვე შედგენილი იგი, მაგრამ უცხო ენაზედ, (მაგ. ფრანც.) რომელსაც ვერა ვითარი მნიშვნელობა ვერ ექნება ჩვენისხალხისთვისა და შკოლებისათვის. **სხვა** ხალხებს, **რომელთაც** კი აქვსთ რაოდენიმე ლიტერატურა, კარტებიცა აქვსთ თავიანთ ენაზედ, ამასთან არა-თუ მარტო თავიანთ ქვეყნისა, არამედ სხვა ქვეყნებისაცა. (მაგ. **სომხებს** და კიდევ სხვა მათზე მცირე ხალხებს). **ჩვენ** კი აქამომდე არა თუ სხვა ქვეყნებისა, არამედ ჩვენი სამშობლო ქვეყნისაც არა გვქონდა. ეს ნაკლულევანებაც, რასაკვირველია, დიდი იყო, რადგან ჩვენ შკოლებში შეუძლებელი იყო გეოგრაფიისა ანუ ქვეყნის აღწერის სწავლა, თუ გინდ ჩვენი ქვეყნისაც. **რაღა** თქმა უნდა, რომ ქართულად შედგენილი კარტები ჩვენ სასოფლო შკოლებს ძალიან გამოადგებიან. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . **პედაგოგიური** *) **ჭ**ეშმარიტებაა, რომ შკოლებში მხოლოდ მაშინ ისწავლიან კარგა, როდესაც სწავლა მოსწავლე-

---

*) პედაგოგია არის მეცნიერება, რომელიც ასწავლებს ყმაწვილების აღზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათვის გასაგებ ენაზედ იქნება, ესე იგი სამშობლო ენაზედ, რადგან მაზედ ადვილი გასაგები ყმაწვილებისთვის არც ერთი ენა არ არის. მაშასადამე ყველა მომხრე სწავლისა და განათლებისა უნდა ცდილობდეს—მისცეს ჩვენ მოსწავლეებს ქართული წიგნები და ყველა სწავლის საშუალებანი და მით გაუადვილოს ჩვენს ხალხს სწავლა და განათლება. ეს ასპარეზი ძალიან ვრცელია და მასთანავე ძალიან უმუშაკო; ამის გამო ითხოვს ბევრს მშრომელს, ამასთან თანახმად მომუშაკეთ, პატრიოსანთ და საქმის მცოდნე მშრომელთა. უამისოდ ხალხის განათლება და, მაშასადამე, ზნეობითი და ნივთიერებითი მდგომარეობაც წინ ვერას გზით ვერ წაიწევს. ჩვენდა სასიხარულოდ ამ გვარნი მშრომელნი და ამ მიმართულებისანი ჩვენშიაც გაჩნდნენ. მათში პირველთაგანს ეკუთვნის უფ. ი. გოგებაშვილიცა, რომელმაც გამოსცა საქართველოს კარტა თავის «ბუნების კართან» და, როგორც ვიცით, ინიციატივაც ანუ პირველი აზრი ამ კარტის გამოცემისა ეკუთვნის მხოლოდ იმას. ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ უ. გოგებაშვილის მნიშვნელობაზედ ჩვენი ლიტერატურისათვის, რადგან აქ ვიხსენებთ მას როგორც მოხსენებული კარტის გამომცემელს; ხოლო მის საკუთარ შრომაზედ და მნიშვნელობაზედ ჩვენი ლიტერატურისათვის ცალკე და ვრცლად უნდა ლაპარაკი, რომელსაც ოდესმე აღასრულებს «მნათობი». აქ არ შეიძლება კეთილად არ მოვიხსენოთ უფ. ვახ. თულაშვილიცა, რომელიც არის შემდგენელი მოხსენებული კარტისა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამას შემდეგ, შესახებ კარტების გამრავლებისა, როგორც შესახებ სხვა სამეცნიერო ანუ სამასწავლებლო საგნების გამრავლებისა, ჩვენს ლიტერატურას არ მოუვიდეს ჩვეულებრივი შეფერხება, ანუ როგორც ზოგნი ამბობენ—ჩათვლემა; ამისი იმედი მით უფრო გვაქვს, რომ ყველა საქმეში მხოლოდ პირველი ბიჯი არის ძნელი.

ამასთან არ შეიძლება ისიც არა ვსთქვათ, რომ პირველად საქართველოს კარტის გამოცემა ჰნიშნავს გამომცემლისგან რიგიანად საქმის ცოდნას. სახალხო განათლებისათვის მნიშვნელობა აქვს ამას.... ყოველთვის კაცმა ჯერ ის უნდა ისწავლოს, რაც იმას თვალ წინა აქვს და ახლოა იმასთან ბუნებითად, ამიტომ რომ მათი შესწავლისათვის, საკმაო არიან პირველნი ღონის-ძიებანი და ძალანი კაცისა; ხოლო ამათი გახსნით და განვითარებით შემდეგში შეუძლიან კაცმა მოიპოვოს სხვა, უფრო ძნელი ცოდნაცა.

ეს აზრი ანუ მიმართულება ყველა უ. გოგებაშვილის შრომაში

სჩანს და ამ გვარივე მიმართულების ხელ-მძღვანელობით არის შედგენილი საქართველოს კარტაც — და არა სხვა ქვეყნისა. ესეთი მიმართულება გვაჩვენებს საქმის მოფიქრებასა და ცოდნასა; მხოლოდ ესეთნი მშრომელნი მოუტანენ საზოგადოებას სარგებლობასა და მით დაიმსახურებენ მისგან უკვდავს სახელსა.....

ამ მოსაზრების შემდეგ თუ ცოტაოდენი ნაკლულევანება შევნიშნეთ მოხსენებულ კარტას — შემდგენელი, ანუ გამომცემელი არ იქნება ძალიან გასაკიცხავი. ჩვენგან შენიშნული ნაკლულევანება უფრო ის არის, რომ ზოგიერთი დიდი სოფლები არ არის მასში ნაჩვენები, მაშინ როდესაც იმათზე მცირე სოფლები სჩანან; საზოგადოდ კი ბევრი სოფლებია მოუხსენებელი. ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა ყველა სოფლის ჩვენება, რადგან კარტა უფრო უმეტესად სოფლის შკოლებისთვის არის დანიშნული. ამასთან ნიშნების ახსნაში არ არის ახსნილი შემდეგი ნიშნები: ჯვრიანი წერტილი, ნახევარ მთვარიანი წერტილი (ალავერდი), ოთხკუთხი მოგრძო წერტილი (ლაღოდაღი), აყირავებული შუაში თეთრი ოთხკუთხი; ვარსკვლავის მსგავსი ბევრ-კუთხიანი (ზაქათალა); ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ნიშნების ახსნაში ქალაქისა და სოფლების ნიშნად ჩვენებული ნიშნები არც ერთი არ არის თვით კარტაში და თუ არის — სხვა ნაირია. აგრეთვე რასა ჰნიშნავს თეთრი წინწკლიანი დიდი წერტილი, რომელსაც წერტილ შემოხვეული შავი წრე ავლია გარს? (თბილისისა, ქუთაისისა და სხვა). იქნება ზოგმა ესეთი კითხვები საცინლად მიიღოს, მაგრამ აქ მგონი საცინელი არ არის რა, რადგან ის, რაც ჩვენ ვიცით და რასაც ჩვენ მივხვდებით, შესაძლებელია ვერ მიჰხვდეს მოსწავლე ყმაწვილი, ანუ თუ გინდ იმის მასწავლებელიცა. ერთიც კიდევ ის მიგვაჩნია ჩვენ ნაკლულევანებად, რომ მასშტაბი (ანუ ზომა კარტისა) ზოგიერთ ალაგას ვერ არის მტკიცედ ნახმარი. მაგალ. ცხადათ სჩანს კარტაში, რომ თბილისს მდ. მტკვარი შუაში ჩამოუდის; ეს ნამდვილად ესეა. მაგრამ კარტაზედ ისიცა სჩანს, რომ მტკვარი სურამზედ ბევრი ბევრი ერთი ვერსტით არის განშორებული; მაშინ როდესაც მტკვარი სურამზედ, თითქმის ხუთი ვერსტის სიშორეზედ არის. აგრეთვე სჩანს კარტაზედ, რომ მდინარე ლიახვი ცხინვალზე მოშორებულია თითქმის ვერსტ ნახევარზედ, მაშინ როდესაც ნამდვილში ის სულ ბევრი ხუთი ადლით იქნება მოშორებული. ამ გვარი დაუდევნელობა მასშტაბის ხმარების შესახებ ზოგიერთ სხვა ალაგსაც არის, მაგრამ ჩვენ იმათ აღარ მოვიხსენებთ.

ეს ძალიან დიდი ნაკლულევანება არ არის, მაგრამ მაინც ამ კარტას ყველა შემთხვევაში არ შეუძლიან ემსახუროს კაცს. ვინც შინჯვის დროს მოიხმარებს გეოგრაფიას, ისინი არ შევლენ რაიმე შეცდომილებაში, რადგან გეოგრაფიაში ამოიკითხვენ ყველა ცნობას შესახებ მდინარისა და ქალაქისა, ანუ სოფლის ერთმანერთთან მდებარეობას, სიშორესა თუ სიახლოეს და სხვ. მაგრამ რა შეიტყონ ამის შესახებ იმათ, ვინც კარტას უგეოგრაფიოდ იხმარებს და მეტადრე თუ იმ აზრითაც, რომ გაიგოს თუ ამა და ამ სოფელს ანუ ქალაქვს რა სიახლოვეზედა აქვს მდინარე ანუ გზა და სხვ., ანუ ერთმანერთზე რა სიახლოვეზედ არიან სოფლები, ანუ ქალაქები და სხვ.

პირველად, რაც უნდა იყოს, საქმე ყოველის მხრივ სისრულით ვერ აღსრულდება; ამასთან თუ საქმე სრულებით ახალია და შეადგენს პირველ ნაბიჯის გადადგმას— მაშინ ხომ თითქმის საქებიც არის, რომ ამაზედ უდიდესი შეცდომილებით არ აღსრულებულა. ამასთან ჩვენა გვგონია, რომ მომეტებული ნათქვამი ნაკლულევანებისა არის მომსდარი ქვაზედ თუ ფოლადზედ გადამღებისაგან და არა შემდგენელისაგან.... რაც უნდა იყოს, ჩვენ ადვილად მიუტევებთ იმას ამ მცირე შეცდომილებასა, რადგან ზევით ნათქვამ ღირსებებთან ისინი სრულიად არაფერს შეადგენენ. ამიტომ ვისურვებთ რომ გამომცემელისა და შემდგენელის აზრი აღასრულოს კარტამ და მოუტანოს ჩვენს საზოგადოებას ის სარგებლობა, რომელიც მას შეუძლიან. აგრეთვე ვისურვებთ მის გავრცელებასა და საზოგადოების თანაგრძნობასა მისადმი, მით უფრო, რომ ყველა მომპოვებელი მისი მრავალ შემთხვევაში დაიკმაყოფილებს თვის ცნობის-მოყვარეობითს სურვილს, რადგან კარტა სხვა დანიშნულების გარდა ყველა გონიერი კაცისთვის დღიური საჭიროების დამაკმაყოფილებლათაც გამოდგება. კარტა ძალიან იაფია, ამიტომ გავრცელება მისი ძალიან ადვილი მოსალოდნია და მაშასადამე ისიც მოსალოდნია, რომ ჩვენი საზოგადოება იგრძნობს მის სარგებლობასა და შემდეგში მოითხოვს სხვა კარტებსაცა. ეს დრო იქნება ჩვენი ლიტერატურისათვის და მაშასადამე საზოგადოებისათვისაც—სასარგებლო, სასიამოვნო და გონებითი და ზნეობითი სიმდიდრის დრო.... კარტის ფასი ექვსი შაურია,—და ამის მოპოვება ძალიან ბევრს შეუძლიან.

აქ არ შეიძლება არ უძღვნად «დროებასაც» მადლობა, რომ თავის ხელის-მომწერთ უფასოდ დაურიგა იგი. ამ გვარი სიურპრიზები თავის

გვარად სარგებლობას მოიტანენ; ამიტომ დიდად ვისურვებთ, რომ «დროებამ» და სხვა დროგამოშვებითმა გამოცემაებმაც შეიძლონ ხანდახან ამ გვარი მშვენიერი სიურპრიზები ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის.

---

## სინოპტიკური კალენდარი 1869 წლისა.

ვინც კი საზოგადოებაში სცხოვრობს, იმას თავის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში მრავალი წვრილმანი ცნობა დასჭირდება ხოლმე, რომლის შეტყობას იმის საქმეზედ ზოგჯერ დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს. მაგალითებრ, ხშირად და თითქმის ყოველ დღე დაგვჭირდება ხოლმე შეტყობა თუ დღეს ანუ ხვალ რა დღეა, რა რიცხვია, დღესასწაულია თუ სადა დღე, რომელი წმინდისაა, მთვარე რამდენი დღისაა; ანუ კიდევ ამა და ამ თვეს რამდენი დღე აქვს, ესა და ეს რიცხვი რა დღეს მოდის, ახალი მთვარე რა დღესა და რა რიცხვში იქნება; აგრეთვე აქა და აქ ფოშტა რა დღეს მიდის, ამა და ამ ქალაქს ტელეგრამმის გაგზავნა რა ღირს და კიდევ რამდენი სხვა წვრილმანი ცნობა, რომლის შეუტყობლობა ჩვენ ზოგჯერ გვავნებს ხოლმე. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად იბეჭდებიან კალენდრები, რომელნიც იცავენ თავისში ყველა ზევით ნათქვამს წვრილმან ცნობასა. რასაკვირველია, რამდენიც ეს ცნობები კალენდარში ბევრი იქნება, იმდენი კალენდარი უფრო აღსრულებს თავის დანიშნულებასა და მაშასადამე სასარგებლოც არის. ეგრეთივეა სინოპტიკური კალენდარი ამ 1869 წლისა, შედგენილი უ. რაფიელ ისარლოვისაგან. ერთი ღირსებათაგანი ამ კალენდრისა ის არის, რომ შემდგენელს ყურადღება მიუპყრია საქართველოს ყველა მოსახლეთ სარწმუნოებაზედ და მათთვის ყველასთვის სათვეო დაუტანებია თავის კალენდარში. ამ კალენდარში სათთვეოები არის შემდეგი სარწმუნოებისთვისა: მართლ-მადიდებელთათვის, სომეხთ-გრიგორიანთათვის, კატოლიკთათვის, მაჰმადიანთათვის და ურიებისთვის. საქართველოში ქართული ენის მცოდნეც მხოლოდ ამ სარწმუნოების ხალხნი არიან. ეს აზრი ძალიან საქებია, რადგან ერთი და იგივე კალენდარი ყველა ქართული ენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცოდნესთვის სასმარებლად გამოსადეგია. ამას გარდა მოხსენებულ კალენდარში მრავალ-გვარი საჭირო ცნობებია, სახელდობრ შემდეგნი: სათითველო ახალი და ძველი წელთ-აღრიცხვისა, *) მთვარის რიცხვი, ყოველი სარწმუნოების უქმეები, ყველა სამთავრო დღესასწაულები, ფოშტის წასვლის დღეები და ტელეგრამმის გაგზავნის ფასი მთელ საქართველოში და აგრეთვე მთელი ქვეყნის გამოჩენილ ქალაქებში, და მზის ამოსვლის დრო თბილისში მთელი წლისათვის. ამ კალენდარზედ არის წარმოდგენილი (მხატვრობით) ორი უმთავრესი ნაწილი თბილისისა, რომლებიც არიან შემკულნი სხვა და სხვა მორთულობით.

სინოპტიკური კალენდარი იყიდება თბილისში შემდეგ წიგნების მაღაზიებში:

ყ. ალადათოვისა, თეატრის ახლოს.

ყ. ბერენშტამისა, გოლოვინის პროსპექტზედ.

ყ. ენფიანჯიანცისა, შტაბის გვერდით.

ყ. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ.

სინოპტიკური კალენდარი იყიდება აგრეთვე სხვა და სხვა მაღაზიებში. ფასი ყველგან შემდეგია:

კარტონზე გაკრული . . . . . 6 შაური.

---

*) ძველი წელთ-აღრიცხვა შესდგება იმაში, რომ წელიწადს ანგარიშობენ სამას სამოც და ხუთი დღე-ღამით და ექვსი საათით. ეს ექვსი საათი ყველა ოთხ წელიწადს შემდეგ შეადგენს მთელ დღე-ღამეს და მაშინ წელიწადს აქვს სამას სამოც და ექვსი დღე-ღამე. ამ წელთ-აღრიცხვას ეწოდება ძველი სტილი ანუ იულიუსის წელთ-აღრიცხვა, რადგან იულიუს კეისრისაგან არის შემოღებული.

ახალი წელთ-აღრიცხვა არის შემოღებული რომის პაპის გიორგი მეათცამეტისაგან. ეს წელთ-აღრიცხვა წინ არის ძველ წელთ-აღრიცხვაზედ თორმეტი დღით, ასე რომ როცა ძველი წელთ-აღრიცხვით თვისა პირველი რიცხვია, მაშინ ახალი წელთ-აღრიცხვით არის თორმეტი.

ძველ წელთ-აღრიცხვას ხმარობენ ყველა ევროპიის სახელმწიფოები, გარდა რუსეთისა, საბერძნეთისა, საქართველოსი და სხვა მართლ-მადიდებელი სარწმუნოების ქვეყნებისა, რომელნიც ისევ იულიუსის ანუ ძველ წელთ-აღრიცხვას ხმარობენ.

— — — ვარაყით — 8 — —

— — — დასაკეცი — 10 — —

ფოტოგრაფიით — — — 3 აბაზი.

თბილისის გარეშე მცხოვრებთ შეუძლიან დაიბარონ ეს კალენდარი თვით უფ. რაფიელ ისარლოვისაგან, რომელიც არის რედაქტორი ამ კალენდრისა და სცხოვრებს აქიმოვის ქუჩაზედ.

როგორც მკითხველი ჰხედავს, მოხსენებული სინოპტიკური კალენდარი იპყრობს თვისში თითქმის ყველა მოკლე ცნობას, რომელიც კი კაცს დასჭირდება თავის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში. ფასიც ისეთია, რომ ყველა ქართული ენის მცოდნეს შეუძლიან მოიპოვოს იგი. ამიტომ ვისურვებთ მისთვის საზოგადოების თანაგრძნობასა, რომ მით შემდგენელი კალენდრისა წაექეზდეს ამ საქმეში და შემდეგში მოგვცეს უფრო სრული და უფრო მეტი ღირსების მქონე კალენდარი. *)

---

*) სხვა და სხვა შემთხვევისა გამო რედაქციამ ვერ მოახერხა ამ ნომერში დაბეჭდვა სტატიისა: «ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან», და დაუტევა იგი მეორე ნომრისათვის; ხოლო ამის მაგიერად დაბეჭდა ეს საბიბლიოგრაფიო ფურცელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლამანჩელი აზნაური

# დონ-კიხოტი.

თხზულება სერვანტესისა.

თარგმნილი ნ. ავალიშვილისაგან.

(1864 წ.)

თბილისი.

1869

ამ პირველ ჩემს შრომას

მ უ ძ ღ ვ ნ ი

ჩემს ძმას

დავით ავალოვს.

მთარგმნელი.

# ლამანჩელი აზნაური

## დონ-კიხოტი.

---

### წინასიტყვაობა.

მკითხველო, არ დაგიფიცავ და დაგარწმუნებ კი, რომ მე ძალიან მსურს ეს ჩემი წიგნი იყოს ყველა წიგნზედ მშვენიერი, ყველაზედ სასიამოვნო საკითხავი და ყველაზედ სრული თხზულება. ეს არის ჩემი ჭკუის შვილი — მაშ ცუდს ვისურვებ ამისთვის? მაგრამ განა მე შემეძლო წინააღვდგომოდი ბუნების კანონებს? ნათქვამია: როგორიც ალხანა — ისეთი ჩალხანაო; ანუ — დედა ნახე, მამა ნახე — შვილიც ისე გამონახეო. მაშ აბა რა უნდა იყოს ჩემი უნაყოფო და გაუნათლებელი ჭკუის გამოსავალი? განა მჭლე, ავად-მყოფი დედა დაჰბადებს მსუქან, კარგა-მყოფს ყმაწვილს? ჩემი ჭკუის ნაყოფი არის გამხმარი, გამხდარი, გაყვითლებული, ანჩხლი და ახირებულის ხასიათისა, როგორიც სხვა ძნელად თუ იქნება. არც საკვირველია: საპყრობილეში უკეთესი ვერ დაიბადებოდა, — საპყრობილეში, სადაც ვაება და უბედურება სუფევს. წყნარი, სასიამოვნო ადგილი, მშვენიერი ველები, ლაჟვარდი ცა, წყაროების ჩხრიალი, სულის დამშვიდებული მდგომარეობა — რასაკვირველია სხვა ნაირად აწარმოებენ კაცის ჭკუას და თვით უნაყოფოსაც ანაყოფიერებენ მთელი ქვეყნის სასიამოვნოდ და კმაყოფილებისათვის. მართალია ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ მახინჯი, უსიამოვნო შვილის მამა, მამობრივი სიყვარულისა გამო, თვალებ ახვეულსავით, ვერა ჰგრძნობს თვისი შვილის ნაკლულევანებას და ისე ლაპარაკობს იმაზედ, როგორც კარგ, ღირსებიან შვილზედ. მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, მე ნამდვილი მამა კი არა და უფრო მამინაცვალი

გასლავარ დონ-კისოტისა; მე არა ოდეს არა გთხოვ, თითქმის ცრემლიანი თვალებით, როგორც სხვები შვრებიან, საყვარელო მკითხველო, რომ შენ დამითმო, ანუ დაჰფარო ყველა ნაკლულევანება, რასაც ჩემ შვილ-წიგნში ჰნახავ. რას დაჰდევ? შენ იმისი არც ნათესავი ხარ, არც მეგობარი; შენა ხარ სრული ბატონი შენის გულის-თქმისა და სურვილისა; და შენ სახლში ისეთი უფლება შეგფერის, როგორც თვით მეფე ვინმე უფლებს თავის ხაზინაზედ: ხომ გაგიგონია: ჩემ სახლში უფალიც მე ვარ და ბატონიცაო. ამისა გამო ამ ჩემ წიგნზედ რაც გინდა, ისა სთქვი: ცუდს იტყვი—არავინ დაგემდურება, კარგს იტყვი—და არავინ დაგაჯილდოებს.

მაგრამ მე მინდოდა, მკითხველო, ეს ჩემი წიგნი მომერთმევინა შენთვის გაულამაზებლად, როგორც დამიწერია — ისე; არც წინა-სიტყვაობა ჩამერთო თავში და არც სხვა და სხვა ზედ წარწერაები, სონეტები *) და მადრიგალები დამეტანებინა, როგორც სხვა მწერლები შვრებიან ხოლმე. უნდა მოგახსენო, რომ ამ წიგნის შეთხზვა ჩემთვის ადვილი არა ყოფილა; მაგრამ ეხლა რომ წინა-სიტყვაობას ჰკითხულობ, ამის შეთხზვა უფრო ძალიან გამიჭირდა. ბევრჯელ ავიღე კალამი და ისევ დავდე, რომ არ ვიცოდი რა დამეწერა. ერთხელ ვიჯექი სტოლთან, ერთი თაბახი ქაღალდი მედვა წინ, კალამი ყურს უკან მქონდა გაჩრილი, ნიდაყვი მედვა სტოლზედ და ლოყა ხელზედ მქონდა დაყრდობილი, და ამ მდგომარეობაში ვფიქრობდი თუ რა დამეწერა. ამ დროს შემოვიდა უეცრივ ერთი ჩემი მეგობარი, ძალიან გაზრდილი და ჭკვიანი კაცი, და რომ მნახა ამ გვარ მდგომარეობაში—მაშინვე მკითხა დაღრეჯილობის მიზეზი. მე არაფერი დავუმალე და ვუთხარი, რომ ძალიან მეძნელება დონ-კისოტის ამბისთვის წინა-სიტყვაობის შეთხზვა მეთქი, ასე რომ მგონი ყველაფერს თავს დავანებებ და კეთილშობილი რაინდის საქმეებს აღარ გავაქვეყნებ მეთქი. როგორ არ დავღონდე, ვეუბნებოდი: რას იტყვის ხალხი, რომ ამდენი ხანი დავიწყებაში ვიყავ და სიბერის

---

*) **სონეტი** ეწოდება ერთგვარ ლექსით-წყობას, რომლის ტაეპბად განყოფა და რითმების კანონი სხვა ლექსებისას არ ემსგავსება. ევროპაში საშუალო საუკუნეებში სონეტების წერა ძალიან გახშირებული იყო; მაშინ იმათ ხმარობდნენ სამღერალ ლექსად და სხვა და სხვა საკრავებზე დაჰმღერდნენ. ეხლა კი თითქმის თავი დაანებეს სონეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთით დაუძლურებული *) გამოვდივარ ასპარეზზედ, ისიც ჩალახავით გამშრალი თხზულებითა, სადაც მკითხველი ვერც მახვილობას ჰნახავს, ვერც მჭევრ-მეტყველებას, ვერც სიბრძნეს და მეცნიერებასა და ვერც შენიშვნებს წიგნის ბოლოს, მაშინ როდესაც სხვა წიგნები, თუმცა წმინდა მოგონებაებს და ზღაპრებს იპყრობენ, მაგრამ ისე შეზავებულნი არიან არისტოტელის, **) პლატონის ***) და კიდევ სხვა მეცნიერების აზრებით, რომ მკითხველი გაოცებულია წიგნის ღირსებითა და მთხზველიც მიაჩნია მწიგნობრად, მეცნიერად და მჭევრ-მეტყველად. ზოგი მთხზველი საღვთო წერილსაც წასწვდებს ხოლმე. ამ გვარი მთხზველები, ჩემო მეგობარო, ვეუბნებოდი, ისე ოსტატობენ, რომ ერთ სტრიქონში ვილაც ჩერჩეტა მოარშიყეზედ გიამბობენ და მეორეში კი საღვთო წერილიდამ ქრისტიანობრივ ქადაგებას წაგიკითხავენ და ისე დაგარიგებენ, რომ ყურს ვერ მოაშორებ, თვალს ვერ მოარიდებ. **ჩემს** წიგნში ამეებს ვერ იპოვნი: მე არც მაგალითებით ამივსია ჩემი წიგნი და არც შენიშვნები დამიტანებია ბოლოში. მე ისიც არ ვიცი რომელ მეცნიერებს მივბაძე, რომ იმათი სახელები წიგნის დასაწყისში გამოვაცხადო, როგორც სხვები შვრებიან, ასოებით ა, ბ, გ, — არისტოტელიდამ მოყოლე-

---

*) **სერვანტესი** იყო ორმოცდათხუთმეტის წლისა, როდესაც დონ-კისოტის პირველი ნაწილი გამოსცა.

**) **არისტოტელი** იყო ბერძნების უუდიდესი ფილოსოფოსი; დაიბადა ქრისტეს შობამდე 384 წ. პლატონის მოწაფე იყო; შემდეგში გახდა ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი. დააფუძნა ათინაში თავისი აკადემია. ყველა საგანში იყო განსწავლული, ბევრ საგანზედ უწერია და უმეტესად: ფილოსოფიაზედ, ეკონომიაზედ, მათემატიკაზედ, ფიზიკაზედ და ბუნებით მეცნიერებაზედ.

***) **პლატონი** იყო ბერძნების წარჩინებული ფილოსოფოსი; დაიბადა ქრისტეს შობამდე 430 წელში. იყო მოწაფე — სოკრატისა. ბევრი იმოგზაურა და ბოლოს ათინაში დააფუძნა საფილოსოფიო აკადემია. ისა სწერდა საუბრის ფორმით და ყველა მის თხზულებაზედ უფრო შესანიშნავია **საუბარი რესპუბლიკაზედ**. (გვონებთ ეს თხზულება ქართულადაც არის ნათარგმნი).

ბული, ვიდრე ჰაბოსადმე და ქსენოფონტი *) და ზოილიც, **) ანუ ზევქსისიც ***) თან ჩავატანო, თუმცა პირველი იყო ბოროტ-მეტყველი და მეორე—მხატვარი. აგრეთვე ჩემი წიგნი არ იწყობა შესანიშნავი პირების-გან დაწერილი სონეტებით; სხვები კი თავიანთ წიგნის დასაწყისში დაა-ტანენ ხოლმე მარკიზების და გერცოგების ****) შეთხზულს სონე-ტებს, აგრეთვე გრაფებისასა *****) ან ეპისკოპოზებისას, ან კიდევ გამოჩენი-ლი სეფე ქალებისას და შესანიშნავ პოეტების შეთხზულს. მართალია, მე რომ ორიოდე ჩემი მეგობრებისთვის მეთხოვნა, ისეთ სონეტებს შე-მითხზავდნენ, რომ მთელ ისპანიაში ბადალი არ ექნებოდა, მაგრამ ხომ გაგიგონია: შინაურ მღვდელს შენდობას არ ეტყვიანო.

ბოლოს, ჩემო სულმწიფევ და მეგობარო, გავაგრძელე მე: ჩემი გადაწყვეტილება ეს არის, რომ განისვენოს უფალმა დონ-კიხოტმა ლამანჩის არხივებში ******) იმ დრომდის, ვიდრე გამოუჩნდებოდეს ჩემზედ

---

*) **ქსენოფონტი** დაიბადა ათინაში ქრისტეს შობამდე 450 წელსა; **სოკრატის** მოწაფე იყო, ამასთანავე ჯართ-წინამძღვარიცა. ქსე-ნოფონტი ისტორიკოსობითაც არის შესანიშნავი და ამ საგანზე ბევრი თხზულება აქვს დაბეჭდილი.

**) **ზოილი** სცხოვრებდა ქრისტეს შობამდე მესამე საუკუნეში, და იყო რიტორი და შესანიშნავი დამაცინარი კრიტიკოსი; იმის სახელი ისე გაითქვა, რომ ახლანდელ დროში ყველას იმის სახელს ეძახიან, ვისაც კი უყვარს ლიტერატურული ლანძღვა.

***) **ზექვსისი** იყო საბერძნეთის წარჩინებული მხატვარი. ბევრი სურათები დაუხატავს, მაგრამ დროს მოქმედებით ეხლა თითქმის აღარა იპოვება რა იმისი დახატული.

****) **გერცოგობა** ხარისხია, ძველად ჰნიშნავდა ჯართ-წინამძ-ღვარს. შემდეგში გერცოგობა გერმანიაში ეძლეოდა კოროლის მოადგი-ლეს. გერმანიაში ბევრ სეფეებს აქვს გერცოგობის ხარისხი. გერცოგობა იწოდება ბრწყინვალებად ანუ უგანათლებულესად.

*****) **გრაფი** ევროპაში, საშუალო საუკუნეებში ეწოდებოდა იმათ, ვისაც სამეფოს მაზრები ჰქონდა ჩაბარებული და განაგებდა მისს საქმეს და სამართალს. ეხლა გრაფი არის წარჩინებული აზნაურობის ხარისხი. რუსეთში ეს ხარისხი შემოიღო პეტრე პირველმა 1706 წ.

******) **არხივი** ეწოდება ადგილს, სადაც ინახებიან სხვა და სხვა გვარი ხელ-ნაწერი განაჩენები, სიგელები და ამ გვარი ქაღალდები.

ნიჭიერი მწერალი, და შეუვსებდეს იმ ნაკლულევანებას, რაც მე ვერ შევუსრულე: არც ძალა მაქვს და არც სწავლა, რომ ვუშველო რამე ამას; ამასთან ბუნებითაც ზარმაცი ვარ და თავის შეწუხება მეზარება; ამისგამო ვერ წავალ და ვერ მოვძებნი იმ მწერლებს, რომელთ ნათქვამი და ნაამბობი დიდი ხანია ზეპირად ვიცი. აი ამიტომა ვარ დაფიქრებული და დაღონებული: მგონი ამ მიზეზებს შეუძლიანთ დამაღონონ ასრე?—მოისმინა რა ჩემი ლაპარაკი ჩემმა მეგობარმა—შემოიკრა შუბლზე ხელი და ხმა მაღლა სარხარით მითხრა; გარწმუნებ, ჩემო მეგობარო, რომ შენ ეხლა იმ შეცდომილებიდამ გამომიყვანე, რა შეცდომილებაშიაც შენი გაცნობის აქეთ ვიმყოფები. მე მეგონე შენ კეთილ-გონიერი კაცი. მაგრამ ეხლაკი ვხედავ, რომ შენ ბეწვის ტოლა ჭკუაც არა გქონია.

ნუ თუ მაგისთანა უბრალო საქმეს დაუფიქრებიხარ აგრე? მაგ ჭკუის პატრონი ეგრე როგორ შეგაწუხა მაგან, მაშინ როდესაც უფრო უდიდესი საქმეები დაგიძალადებია? ეგ იმისგან კი არ წარმოსდგება, რომ ხელოვნება გაკლია,—არა, შენ ფიქრი გეზარება. გინდა დაგარწმუნო? აბა მომიპყარ ყური და ყურად-ღებით მოისმინე, რასაც გეტყვი,—შენ მაშინვე გადაგეყრება ეგ ღრუბლები და იმ ნაკლულევანებას, რომლის გამოც შენ გინდა დაანებო თავი, როგორც ამბობ, შესანიშნავი დონ-კისოტის გამოცემას, მაგ მოგზაური რაინდობის სარკისა და დამაშვენებელისა,—მაშინ, იმედი მაქვს, ადვილად შეავსებ.—კეთილი, მიუგე მე: აბა ერთი მიამბე, რა რიგად გინდა უშველო ჩემს დაღრეჯილობას და გამომიყვანო ამ გაჭირებიდგან?

იმან გააგრძელა: პირველი შენი შეწუხების მიზეზი ის არის, რომ შენი წიგნის დასაწყისში არ დაგიტანებია შესანიშნავი პირებისგან შეთხზული სონეტები, ზედ-წარწერაები და შესხმაები. ამას აი როგორ უნდა უშველო: შენ თითონ შეთხზე როგორმე და მერე ქვეშ ვისი სახელიც უფრო მოგეწონება ის მოაწერე, თუ გინდ მოძღვარი იოანე ინდოელისა *), ან ტრაბიზონის იმპერატორისა: გამიგონია ესენი ჩინებული

---

*) ეს პირი ისპანიაში ანდაზებში ისმარებოდა, როგორც მატანტალა ურია. საშუალო საუკუნეებში ფიქრობდნენ, ვითომც ეს იყო ქრისტიანი კოროლი და მასთანავე მღვდელიცა, მეფობდა აღმოსავლეთის ტიბეტში, ჩინეთის საზღვარზედ. ამ რწმუნების მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ინდოეთში მეთორმეტე საუკუნის ბოლოს ერთ ნესტორის სჯულისას ჰქონდა პატარა სამფლობელო, რომელიც ჩინგის-ხანმა წაართო.

მოლექსეები ყოფილან; თუ გინდ რომ მოლექსეებიც არა ყოფილიყვნენ და ვინიცობაა დაგიწყონ დავა ვინმე ახირებულმა მწერლებმა, ან თვით პაკალავრებმა *) და უკანიდამ წაგწვდნენ მოჭორებაზედ — შენ ყური მოიდრინე; კიდეც რომ დაგიმტკიცონ სიცრუვე, რას გიზმენ? მაგ ხელებს ხომ ვერ დააჭრიან?

შენიშვნებისთვის და მაგალითებისთვისაც ამ წამალს გასწავლი: მოიგონე — ზეპირად არა იცოდა რამე ლათინური ანდაზები ან მაგალითები; ან არა რა წიგნიც უნდა გადაშალო — ადვილად იპოვნი ამეებს და შე-ფარდე სადაც საჭირო იყოს, მაგალითად თავისუფლებაზედ და მონეობაზედ ეს დაატანე:

Non bene pro toto libertas venditus auro, **) და ქვეშ გორაციის, ***) ანუ თვით მწერლის სახელი მოაწერე. თუ ვინიცობაა, შენ წიგნში სიკვდილის დაუნდობლობაზედა და ძალაზედ იყოს ლაპარაკი, ეს ლექსები მოიხმარე:

Pallida mors aequo pulsat pede
Pauperum tabernas, regumque turres. ****)

თუ მეგობრობაზედ და სიყვარულზედ გინდა, ანუ მტრის სიყვარულზედ, რომელსაც ღმერთი გვიბძანებს, მაშინ გადაშალე სამღთო წერილი და ადვილად იპოვნი: Ego autem dico vobis, diligite inimicos vestros. *****) თუ ბოროტ განზრახვაზედ მოგინდეს ლაპარაკი, ამოსწერე სახარებიდამ: De corde exeunt cogitationes malae; ******); თუ

---

*) პაკალავრი უნივერსიტეტისა არის მეცნიერობის პირველი ხარისხი, რუსეთის სასულიერო აკადემიებში პაკალავრებს ეძახიან მეორე ხარისხის პროფესსორებს (მასწავლებლებს).

**) შესაფერი არ არის ოქროზე გაცვალოს თავისუფლება.

***) გორაცი იყო წარჩინებული რომაელთ პოეტი; დაიბადა ქრისტეს შობამდე 65 წელში. აღიზარდა რომსა და ათინაში. უფრო მომეტებით სატირულ (დამცინარ) ლექსებსა სწერდა. იმისი თხზულება თითქმის ყველა ევროპიულ ენებზედ არის გადათარგმნილი.

თარგმანი:

****) ფერ-მკრთალი სიკვდილი ერთ გვარ ეწვევა
ღარიბთ ქოხებსა და მთავართ პალატს.

*****) ხოლო მე გეტყვით თქვენ შეიყვარეთ მტერნი თქვენნი.

******) გულიდგან გამომდინარეობენ განზრახვანი ბოროტნი.

მეგობრების დაუდგომლობაზედ — მაშინ კატონი *) იმსახურე თავის ორ-სტრიქონიან ლექსითა:

> Donec eris telix, multas numerabis amicos,
> Tempora si tuerint nubilu, solus eris. **)

ამ ლათინური მაგალითების გამო შენ ჩაგთვლიან, სულ რომ არა იყოსრა, დრამმატიკოსად მაინც: ეს კი ჩვენ დროებაში ძალიან გამოსადეგი და სასარგებლო სახელია. ახლა შენიშვნებს თუ მეტყვი, ამის შველაც ადვილია. თუ წიგნში ვინმე ფალავანზედ შეხვდეს ლაპარაკი, ისე მოასხერხე, რომ ის ფალავანი უთუოდ გოლიათი იყოს; ამას ადვილად შეიძლებ. მაშინ შენ ამ ერთი სახელისგან წიგნის ბოლოს დაგებადება ერთი გძელი შენიშვნა, მაგ. ამ გვარი: ფალავანი გოლიასი ანუ გოლიათი იყო ფილისტიმელი, რომელიც მოკლა მწყემსმა დავითმა თავის დიდი შურდულით, თერევინთის ველზედ, როგორაც მოგვითხრობს წიგნი მეფეთა ამა და ამ თავში, ამა და ამ მუხლში, სადაც შეგიძლიანთ წაიკითხოთ ამაზედ და სხვ.

მერე თუ გინდა გამოსჩნდე მსწავლულ კაცად, სხვა და სხვა სამეტყველო მეცნიერების მცოდნედ და კოსმოგრაფიათაც ***), ეცადე შენ წიგნში როგორმე ტაგის მდინარე მოიხსენიო; მაშინ შეგეძლება ერთი გძელი და ჩინებული შენიშვნა დასწერო; იტყვი: ტაგის ****) მდინარეს ეს სახელი დაერქვა ერთი ისპანიის კოროლისაგან. სათავე ამ მდინარეს

---

*) კატონი იყო რომაელთ პოეტი, სცხოვრებდა მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ; სწერდა ზნეობითს ლექსებს. იმისი ლექსები საშუალო საუკუნეებში იხმარებოდნენ ყმაწვილების ზნეობით აღსაზრდელად.

**) ვიდრე ბედნიერ იქნები — ბევრს მეგობარს მოიპოვებ;
თუ კი ბედი გაგიბრუნდა — მაშინ მარტოდ დარჩინებ.

***) კოსმოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც იპყრობს ქვეყნის აღწერასა; ხოლო კოსმოგრაფი ეწოდება ამ მეცნიერების მცოდნეს.

****) ტაგო (ანუ ტახო) ეწოდება ერთს უდიდესს მდინარეს პირენეის ნახევარ-კუნძულისას (პირენეის ნახევარ-კუნძული ეწოდება ისპანიასა და პორტუგალიას). ლისსაბონთან ერთვის ოკეანს და შესართავში წარმოადგენს ზღვის უბეს, რომელიც მთელ ქვეყანაზედ საუკეთესო ნავთ-საყუდელად ითვლება.

აქვს აქა და აქ და ჩინებული ქალაქი ლისაბონის *) კედლებთან ამბოხების შემდეგ—ერთვის იგი ოკეანეს. ამბობენ, ვითომც ამ მდინარეში იპოვე-ბოდეს ოქროს ქვიშა და სხვ. თუ პლუტებზედ მოგიხდეს ლაპარაკი, მე შენ კარგს ამბავს მოგცემ, რომელიც მე თითქმის ზეპირად ვიცი; თუ დიდება შემოსილ დედაკაცებზედ—აი მონდონედის ეფისკოპოზი **) აქ არ არის! იმის ლამია, ლიადა და ფლორა მოიხმარე და ამასთან შეთხზე ერთი დიდი შენიშვნაც. თუ იტყვი სასტიკებაზედ—ოვიდი თავის მედია-თი გემსახურება; თუ მხიბლავებზედ და მანქანებზედ, გომერი ***) კალიპსო-თი ****) მოგეხმარება და ვირგილი *****) ცირცეათი; თუ მამაცი ჯარის-წი-ნამძღვარი იქნება საჭირო—იულიუს კეისარი აქ არ არის? ან კიდევ პლუ-ტარხი ******)ვერას გიშველის თავის მრავალი ალექსანდრეებით? თუ სიყვა-რულზედ მოგინდება ლაპარაკი და მისხლისტოლა იტალიანური ენის ცოდნა

---

*) **ლისაბონი** ეწოდება პორტუგალიის საკოროლოს სა-ტახტო ქალაქს. მასში 275,300 მცხოვრებელია. მშვენიერი მდე-ბარეობა აქვს; გაბრწყინვებულია სხვა და სხვა საუკეთესო დაწესებულე-ბაებითა, შენობაებითა და დიდი ვაჭრობითა.

**) აქ ავტორი დონ-ანტონიო გევარას იგულისხმებს. ამან ერთ თავის წერილში სამი შეყვარებულის ამბავი დაწერა. ის ამბობს: «ეს ლამია, ეს ლაიდა და ეს ფლორა იყვნენ სამნი მშვენიერნი და გამოჩე-ნილნი არშიყნი, რომლებზედაც მრავალს სწერდნენ მოლექსეები და რო-მელთაც დაღუპეს მრავალი პრინცები».

***) **გომერი** ეწოდება უძველესს და წარჩინებულს ბერძნების პოეტს. როგორც ფიქრობენ, გომერს უცხოვრია ქრისტეს შობამდე 1105 და 850 წელიწადებს შუა. გომერის თხზულებად მიაჩნიათ: «ილიადა» და «ოდისსეა», რომლებშიაც აღწერილია საბერძნეთის გმირთ-მოქმედებანი. ეს თხზულებანი თითქმის ყველა ევროპიულ ენებზე არის გადათარგმნი-ლი.

****) **კალიპსო** არის სახელი ერთი ქალისა, რომელიც გომე-რისაგან არის აღწერილი თავის თხზულებაში (ოდისსეაში).

*****) **ვირგილი** იყო დიდი პოეტი რომაელთა, დაიბადა 70 წ. ქრისტეს შობამდე. იმან დაწერა ლექსებით «ენეიდა» და მითი გაითქვა სახელი.

******) **პლუტარხი** იყო ბერძნების მწერალი, დაიბადა ქრისტეს

დაგჭირდება, მაშინ მიჰმართე ლეონ-დონ-გებრეოს *), რომელიც დიდ სამსახურს გაგიწევს, და თუ სხვა ქვეყანაში დაგეზარება წასვლა, მაშინ ფონსეკა და იმის თხზულება აქ არის. იმის »ღვთისადმი სიყვარულს« შენ კი არა — თვით ღრმა მსწავლულიც მრავალ გვარად მოიხმარებს. ერთი სიტყვით, შენ ამბავში მხოლოდ ის სახელები მოიხსენე, რომლებიც გითხარ და ცოტაოდე ისტორიასაც გამოჰკარ, მაშინ მე მომანდე შენიშვნების და მაგალითების დაწერა: გარწმუნებ, იმდენი რამ მოვიგონო, რომ ოთხი დაბეჭდილი თაბახიც არ ეყოს.

ახლა თუ მთხზველების მოხსენება იქნება საჭირო — ამაზედ ადვილი ასასრულებელი არა არის რა? შენ მხოლოდ იშოვნე ისეთი წიგნი, სადაც ყველა მეცნიერების სია იყოს ჩართული, ა — დამ მოყოლებული ჯ — მდის **) აიღე და იქიდამ გადმოწერე შენი წიგნისთვის მთელი სია. თუ სიცრუვეს შეგაჩნევენ — შენ რა დაგაკლდება მაგითი? უეჭველია, შენ წიგნს ისეთი კეთილი მკითხველიც ბევრი შეხვდება, რომელიც დაიჯერებს, რომ შენ შენი უბრალო ამბის დასაწერად, ყველა სიაში ჩართული მეცნიერები გიხმარია. სულ რომ არა იყოსრა, გამოჩენილი მსწავლულებისა და მეცნიერების სახელები ძალიან გააზვიადებს შენ წიგნს და დიდს ღირსებას მისცემს. ამასთან ვინ გამოიკვლევს მართლა გიხმარია, თუ არა მოხსენებული მეცნიერები? მაგრამ, მგონი, შენი წიგნი არ საჭიროებს არა ვითარ შევსებას. შენ დაგიწერია სარაინდო წიგნების მასხარად ასაგდებად, ამა-

---

შობამდე პირველ საუკუნის შუა ხანებში. იმის თხზულებათ შორის ყველაზე შესანიშნავი არის: «ცხოვრების აღწერა საბერძნეთის და რომის წარჩინებულთა პირთა». აგრეთვე ისტორიულ და სხვა საგნებზედაც უწერია პლუტარხს.

*) ეს იყო პორტუგალელი რაბბინი (ებრაელი მოძღვარი), რომელიც ვენეციაში სცხოვრობდა; ამან მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოში დაწერა: Dialoghi d'amore (ბაასი სიყვარულზედ).

**) აქ არის ლოპე-დე-ვეგას პოემის მასხარად აგდება: El Isidro' სი. (ლოპე-დე-ვეგა იყო წარჩინებული დრამატიული პოეტი ისპანიისა. დაიბადა 1562 წელში. იმას ბევრი კომედია და დრამა დაუწერია, რომელთაც მოუპოვებიათ მისთვის ჩინებული მწერლის სახელი — ყველა დროებისათვის).

ზედ არც არისტოტელს უწერია, არც ვასილი დიდს, *) და ციცერონს ხომ სულ გაგებაც არა ჰქონია სარაინდო წიგნებზედ. ჭეშმარიტების სიმტკიცე, ანუ ვარსკვლავების გამოკვლევა აბა როგორ შეეხება მოგონებებს და ზღაპრებს? შენი წიგნისთვის გეომეტრიული **) გაზომვა და რიტორებითი დამტკიცება არ არი საჭირო. ამის საგანი აგრეთვე არც ქადაგება არის, სადაც ღვთაებრივი და კაცობრივი ერთმანერთშია არეული: ღმერთმა ყველა ქრისტიანი დაიხსნას ამ გვარი ქადაგებიდგან! ძველი წიგნების მიბაძვა თუ არის საჭირო შენი წიგნისთვის — ისიც იმიტომ, რომ მეტყველური ენა გამოგივიდეს. რადგან შენ აზრად გაქვს მასხარად აიგდო სარაინდო წიგნები და ყველას თვალში ჩააფუჭო იმათი ღირსება და გავლენა, ამის გამო რასაჭიროა, რომ გლასსავით არ დაეძებდე ფილოსოფიურ ანდაზებს, ღვთის-მეტყველურ დარიგებას, პოეტურ მოგონებას, ორატორიულ შესხმას და კიდევ რაღაცა სხვა დავიდარაბაებს. საკმაო იქნება შენთვის, რომ შენი ამბავი აღწერო უბრალოდ და მდაბიურის ენით, ყველა სიტყვა თავის ალაგას იხმარო, რომ ენა მეტყველური და ჟღეროვანი გამოგივიდეს, ამბები არ აჭრიო ერთმანეთში და არ დასლართო იმათი აზრი. ეცადე აგრეთვე, რომ მხიარული ხასიათი მისცე შენ ამბავს, რომ გულ-ჩათხრობილის ხასიათის კაცი გააცინოს, მხიარული — ჩვეულებრივზედ მომეტებულად ახარხაროს, დარბაისელს არ მოსწყინდეს, მეცნიერს შენი ხელოვნება უკვირდეს, ფილოსოფოსმა არ უკუაგდოს იგი და ჭკვიანმაც ქება შეასხას. თუ შენ აზრს აასრულებ, თუ რიგიანად უჩვენებ მკითხველს სარაინდო წიგნების სისულელეს და აღმოფხვრი იმათში იმათ სიყვარულსა და ნდობას, — მაშინ შენ შენს ფრიად საქებელს მიზანს მიაღწევ.

დიდის ყურადღებით მივაპყრობდი ყურს ჩემს მეგობარს, და იმისი აზრები ისე მომეწონნენ, რომ წინასიტყვაობის მაგიერად დავატანე პრო-

---

*) **ვასილი დიდი**, წმ., იყო კაპპადუკიის მთავარ-ეპისკოპოზი, დაიბადა 329 წელში; **გრიგოლი ღვთის-მეტყველის** მეგობარი იყო; მთელი თავის სიცოცხლე არიელებთან ბაასში გაატარა — სარწმუნოების შესახებ. აგრეთვე იმან შეადგინა წირვა, რომელსაც ეძახიან ვასილი დიდის წირვას და იხდიან ზოგიერთ დღეებში.

**). **გეომეტრია** — ბერძნულია, ჰნიშნავს მიწის გაზომვას და შეიცავს თვისში იმ მათემათიკის ნაწილს, რომელიც იკვლევს სივრცეს.

ლოგად ამ ჩემს ამბავს. დასე შემთხვევას, მკითხველო! რარიგად მიშველა ჩემი მეგობრის მკვირცხლმა ჭკუამ? აღარც მე გავიხეთქე ბევრი თავი და აღარც შენ შეგაწუხე მომეტებული მოგონებებით. მაშ ამ შესანიშნავი ლამანჩელი დონ-კიხოტის ამბავს გარდმოგცემ გაულამაზებლად,— შენთვისაც ესა სჯობია, რადგან,—ერთი, რომ ცოტა დროს მოასმარებ და მეორე, რაც მომხდარა, მხოლოდ იმას შეიტყობ. მე ბევრს არ დაგავალებ, რომ ამისთანა შესანიშნავი რაინდის ღვაწლებს გიამბობ; მაგრამ იმის იმედი კი მაქვს, რომ დამიმადლებ შესანიშნავი ხანჩო პანსას, ჩვენი რაინდის საჭურველთ მტვირთველის გაცნობას. ამ პირის აღწერით ვეცდები გიჩვენო, თუ რა ღირსების პატრონები არიან ყველა საჭურველთ მტვირთველები. დასასრულ—ღმერთმა მშვიდობა მოგცეს და მეც ნუ დამივიწყებ. Vale.

ავტორი.

# ლამანჩელი აზნაური

# დონ-კიხოტი.

---

## ნაწილი პირველი

### თავი 1.

### წოდება ⁊ ხელობა სახელოვანი ლამანჩელი აზნაურის დონ-კიხოტისა.

ერთ ლამანჩის მაზრის სოფელში,—სახელის მოგონება მეზარება,— დიდი ხანი არ არის სცხოვრებდა ერთი გუდა-ცარიელი აზნაური, რომელსაც ბევრი არა ებადარა: მხოლოდ თაროზედ ეგდო დაჟანგებული შუბი, კუთხეში ეყუდა მამაპაპის დაძველებული ფარი, მერე ჰყვანდა ჯაგლაგი ცხენი ⁊ რამდენიმეც ჩათლახი მეძებრები. ეს აზნაური ძალიან უბრალოდ სცხოვრებდა. ძროხის ხორცს უფრო ხშირად მიირთმევდა ხოლმე ვიდრე ცხვრისას, ვახშმად გიახლებოდათ ხოლმე ერთმანერთში არეულ კართოფილს, კიტრის მწნილს ⁊ ჭარხალს ძმარ მოსხმულს, ( ამ საჭმელს ფრანგები ეძახიან ვინეგრეტს,) შაბათობით მწუხარების საჭმელს *) ხმა-

---

*) ლამანჩში ჩვეულება იყო: მწყემსებს თავის პატრონებისთვის ყოველ კვირას ანგარიში უნდა მიეცათ ან რამდენი ცხვარი მოემატებოდა ან რამდენი დააკლდებოდა იმათ ფარებს. ამასთან რაც მთელ კვირაში ცხვარი მოკვდებოდა, უნდა მოეტანათ პატრონისთვის. ამ მკვდარი მცხვრის ხორცისას ლორებს გააკეთებდნენ ხოლმე, ძვლებისას ⁊ თავ-ფეხისას კი ხაშის გვარ წვენს ხარშავდნენ ⁊ შაბათობით ამის მეტს სახსნილოს არას ხმაროდნენ, რადგან სხვა ყოველიფერი აკრძალული იყო კასტილიის საკოროლოში 1212 წლის ლასან-ნავარის ომის შემდეგ. სწორედ ამ საჭმელს ერქო მწუხარების საჭმელი.

რობდა, პარასკეობით ოსპის შეჭამანდს და კვირაობით კი მტრედის ტაბაკითი წაიკოკლოზინებდა ხოლმე ყელს; და რაც ამ ხარჯს ჰრჩებოდა — იმას ახმარებდა ერთ წმინდა მაუდის ქულაჯას, ერთს ხავერდის შარვალს და ხავერდისავე წუღებს. ამ გვარ ტანისამოსს დღესასწაულ დღეს ხმარობდა, და სადა დღეობის, კი ჩვენი აზნაური ყველა ნაირ ტანისამოსში იმოსებოდა, თუ გინდ უბრალო მაუდისაც ყოფილიყო. ამას ჰყვანდა ერთი სახლის რიგის მიმცემი, ანუ ჩვენებურად, მოურავი — ქალი, ორმოც წელიწადზედ ბებერი, ერთი ძმის წული, აგრეთვე ქალი, თვრამეტისა, თუ ცხრამეტის წლისა და ერთიც მოსამსახურე კაცი, რომელსაც ედო კისერზე ყველა საქმე, რაც კი რამ ჰქონდა ჩვენ აზნაურს გასაკეთებელი შინაც და გარეთაც, ე. ი. იმას უნდა მოეარნა ჯაგლაგისთვის, მეძებრებისთვის, ვენახისთვის, შინა საქმეც გაეკეთებინა და მინდვრის საქმეც არ გაეშო გაუკეთებელი. ჩვენი ბატონი აზნაური, როგორც ეტყობოდა, არ უნდა ყოფილიყო ნახევარ-ას წელიწადზედ უფროსი; მოხუცობაზედ არა უჩიოდარა, თუმცა კი ცოტა ხმელ ხმელი კაცი იყო; დილა ადრიანად ადგომა უყვარდა და ნადირობისაც დიდი ჭირი იყო. ამბობენ, ვითომ ამ აზნაურს კისადა ან კესადა ერქვა: ამაზედ ზოგი ერთი მწერლები არ ეთანხმებიან ერთმანერთს, და თუ მე მკითხავთ — იმის სახელი კიხანა იყო. მაგრამ ჩვენი ამბისთვის დიდს რასმეს არ შეადგენს თუ რა ერქვა აზნაურს: ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ ჩვენი ამბავი სიცრუვე არ არის, არამედ წმინდა და უმანკო ჭეშმარიტებაა. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი აზნაური როცა კი არას აკეთებდა (ძალიან ხშირად გახლდათ უსაქმოდ), სულ სარაინდო წიგნებს კითხულობდა და ასეთის გულ-მოდგინებით და თავის დავიწყებით, რომ თითქმის მამულის მოვლაც ავიწყდებოდა და ნადირობაც. ამ წიგნებმა ისე გაიტაცეს მისი კეთილშობილება, რომ ამან მრავალი კარგი მიწები გაყიდა, ან დააგირავა, და ფული სულ სარაინდო წიგნების ყიდვას მოანდომა, და სწორედ მოგახსენოთ, იმდენი იყიდა, რამდენიც კი იმის სახლში დაეტეოდა. იმდენ წიგნებში იმას ფელისიან დე სილვას თხზულებაები უფრო ყველაზედ ძრიელ მოსწონდა, რადგან იმათი ცხადი ენა და მჭევრ-მეტყველებითი გამოხატვა ჩვენ აზნაურს ძალიან აკმაყოფილებდნენ. აღტაცებაში მოდიოდა ხოლმე, როცა ის რომელიმე სამიჯნურო ბაასთან მივიდოდა, სადაც ვინმე ზდილობიანის ალერსით ეარშიყებოდა თავის მიჯნურს, მაგ. ამ სიტყვებით: « მიზეზთა მიზეზი, ჩემი გონების დამაჭკნობელი და დამჩაგრავი არის თქვენი სიმშვენიერე — მაშ

არ უნდა ვდრტვინავდე?» ანუ: «ზეცათა დასი, რომელიც თქვენის ღვთაებით, ღვთაებრივად განგამტკიცებსთ თქვენ ვარსკვლავთა შორის და გზდისთ თქვენ ღირსად ღირსებისა, რომლისაც ღირსია თქვენი ღირსება»... და სხვ. ამ გვარმა გამოსატვაებმა ეს ჩვენი უბედური აზნაური შეჰცვალეს ჭკუიდამ, რადგან ის ბევრჯელ თავს იხეთქდა, რომ როგორმე გაეგო იმათი აზრი, მაგრამ აბა როგორ გაიგებდა? ეს კი არა, თვითონ არისტოტელიც რომ ამდგარიყო საფლავიდგან, სწორედ მხოლოდ ამისთვის, დარწმუნებული ვარ ისიც ვერაფერს გააწყობდა თავის ფილოსოფიურის თავით. ჩვენი აზნაური მითომ ბევრს ფიქრობდა დონ-ბელიანისის დაჭრილობაზედ და იარაებზედ თუ? ან კიდევ იმ ვაი ვაგლახზედ, რაც იმის მტრებს დაეხწყოლდათ სოლმე? აბა! იმას ეგონა, თუ დონ-ბელიანისს თავპირზედ აუცილებლივ უნდა დაჰჩნეოდა დაჭრილობა, რაც უნდა გამოჩენილ ექიმებსაც ეწამლათ იმისთვის. მაგრამ რაც უნდა იყოს მწერლისა დიდი მადრიელი იყო, რადგან ის ბოლოში ჰპირდებოდა მკითხველს კვლავ მრავალი ხიფათისა და ფათერაკების აღწერასა. ამის გამო ჩვენ გმირს ბევრჯელ მოუვლიდა სოლმე სურვილი — აელო კალამი და ბოლომდის დაეყვანა, მაშასადამე, გაუთავებელი ამბავი, და უეჭველადაც აასრულებდა, იქნება ჩინებულადაც, თუ რომ ამ საქმეში სხვა დიდ აზრებს არ დაეშალა იმისთვის. ეს დიდი აზრები ისე მუდამ ტრიალდნენ იმის თავში, რომ სხვა საქმის ასრულებისთვის დროს არ აძლევდნენ. აზნაური ხშირად ებაასებოდა სოლმე თავის სოფლის მღვდელს, რომელსაც მსწავლული სარისხი სიგუენცში *) მიეღო, და ბევრჯელაც ჰქონდა იმასთან დავა, თუ რომელი რაინდი უფრო პატივ საცემი იყო: პალმერინოს ინგლისელი, თუ ამადის გალელი **); მაგრამ ოსტატი

---

*) აქ დაცინვაა. სერვანტესის დროს ზოგი ერთი მცირე უნივერსიტეტები მასხარად იყვნენ აგდებულნი. ერთ ისპანიურ წიგნში, ვინმე შკოლის ოსტატი ეუბნება მეორეს, რომელსაც ჰსურს მსწავლული სარისხის მიღება: «შენ ადგილად იპოვნი რომელსამე სოფელში უნივერსიტეტს, სადაც ერთ ხმით გამოგიცხადებენ: Acciniamus pecunim. te mittamus asinus in batrlam suam. (ფულს მივიღებთ და მუტრუკს კი შინვე გავგზავნით).

**) ამადის გალელი ანუ «ლომის რაინდი» არის გმირი ერთი სარაინდო მოთხრობისა.

ნიკოლოზს, იმავე სოფლის დალაქი, ამტკიცებდა, რომ ძალოვნობაში ვერავინ ვერ გადააჭარბა რაინდს ფებსაო, და თუ ვინმე დაეტოლება იმას, ისევ დონ-გალაორი, ამადის-გალელის ძმაო, კარგის-ხასიათისა და ყველაზედ გამზადებულიო, რომელიც არა ფერზედ არ იგრიხება და არც ძმისავით არის მოწუწუნე და მამაცობით ხომ იმასაც არ დაუვარდებაო. ერთის სიტყვით ჩვენი აზნაური სრულებით ჩაიფლა სარაინდო წიგნებში, ასე რომ მთელს დღესა და ღამეს იმათ კითხვაში ატარებდა. ამის გამო ცოტა ძილისაგან და ბევრი კითხვისაგან მთლად გაუხმა იმას ტვინი და გონებაც სრულიად გამოეცალა. იმის გამოსატულება გამდიდრდა სულ ყველაფრით, რაცკი იმან თავის წიგნებიდგან ამოიკითხა: ჯადოსნობა, ფალავნობა, დაჭრილობა, მიჯნურობის ბაასი, ჩხუბები, ომები, ოხვრა, ვაება და შეუძლებელი რაღაცეები — სულ ერთმანერთში დომხალივით აერივნენ იმას თავში. ბოლოს ჩაიდო თავში, რომ ეს ზღაპრად თქმული რაღაცაები, ბატონების დასაძინებლად მოგონილნი, სულ ისეთი ჭეშმარიტი ამბებია, რომლის ბადალი არა ისტორიაში არ იპოვება მთელს ქვეყანაზედა. ის ამბობდა, რომ სიდ-რუდი-დიაცი *) ძალიან კარგი რაინდი იყო, მაგრამ კი ბევრით ჩამოუვიდოდა ცეცხლის მახვილიან რაინდს, რომელსაც ერთის დარტყმით ორი უზარ-მაზარი დევი გაეკვეთა. აგრეთვე დიდ პატივს სცემდა ბერნარდს-დელ-კარპიოს იმისთვის, რომ იმას რონსევალის მინდორზედ მოხიბლული ორლანდი **) მოეკლა, იმავე ოსტატობით, რა ოსტატობითაც ჰერკულესმა ***) დაახჩო მიწის ძე

---

*) სიდ-რუდი-დიაცი დაიბადა 1026 წ. იყო ძალიან მამაცი და ბევრ ომში გამოიჩინა თავი. როცა მოკვდა იმაზედ ბევრნაირი ლექსი გამოთქვეს, ხოლო კორნელმა ფრანციცულ ენაზედ ტრაღედიაც დაწერა.

**) ორლანდი ანუ როლანდი იყო წარჩინებული გმირთაგანი კარლე დიდის დროებისა. იმის საქმეებზე და სიმამაცეზედ ბევრი უწერიათ ნემეცებს, ფრანგებს და იტალიელებს. იმის ღვაწლების აღმწერნი უწოდებენ იმას მოხიბლულ როლანდს.

***) ჰერკულესი იყო შვილი იუპიტერისა და ალკმენასი; იყო უუძალოვანესი გმირი ბერძენთა. როგორც მოუთხრობენ, იმას მრავალი საკვირველი საქმე ჩაუდენია და ყველა ეს იმისი მოქმედება აღწერილია ლექსებად. ბოლოს ჰერკულესმა თავის თავი დაიწვა; მაშინ ღრუბელმა

ანტეი *). **საკვირვლად** აქებდა ფალავან მორგანტს, რადგან ეს კეთილ-ზდილობიანი ქცევისა ყოფილიყო, იმას კი აღარ უგდებდა ყურს, რომ იმისი ჯიშის რაინდები ყველანი ერთმანეთზედ ამაყნი და გაუზდელნი ყოფილან. მაგრამ ყველაზედ უფრო თანაუგრძნობდა რეინალდ-მონტალვანელს: აზნაურს მოსწონდა იმის გამოლაშქრება თავის ციხე-დარბაზიდამ და ყველასი ცარცვა, ვინც კი მოხვდებოდა, აგრეთვე ძალიან უხაროდა იმას ალიენდიდამ მაჰმადის **) კერპის მოტაცება, რომელიც, როგორც ისტორია ამბობს, პიტალო ოქროსი ყოფილა. ისეთი ჯავრი სჭირდა მოღალატე გალალონისა, რომ ოღონდკი იმის უფლება მიეცათ, რომ ასი მუშტი ეჭმევინა იმისთვის და ქრთამად თუ ცი-

---

აიყვანა ზეცას და იქ შეურიგდა სიცოცხლეში წაჩხუბებულ იუნონას (ღმერთაა) და შეირთო ცოლად ღება (აგრეთვე ღმერთა ბერძ.). შემდეგში ბერძნები ჰერკულესს ჰრაცხავდნენ ნახევარ-ღმერთად. ეხლა ამ სახელს უწოდებენ ყველა დიდი ღონის პატრონს კაცს.

*) **ანტეი** იყო ზღაპარსიტყვაობითი ბოროტი და უზარ-მაზარი ტანის გმირი; იყო შვილი ნეპტუნისა და მიწისა და ბრძოლის დროს ყოველ მიწასთან მიკარებით იმას ემატებოდა ღონე. ბოლოს ჰერკულესმა აიზიდა ჰაერში და თავის ხელებით დაახრჩო იგი.

**) **მაჰმადი** დაიბადა 571 წელში არაბეთში, იმ წარჩინებული გვარეულობისაგან, რომელსაც ებარა ქაბას დაცვა და გამგეობა: ის იყო ქაბის უმთავრესი ქურუმის შვილის-შვილი. სისაწყლემა და ობლობამ გაუხსნეს იმას ჭკუა და გონება. 611 წელში მაჰმადმა გამოაცხადა თავისგან შედგენილი ახალი სარწმუნოება და ცდილობდა გავრცელებინა. ჯერ ძალიან ეწინააღუდეგნენ არაბელები და 622 წ. იძულებულიც გახდეს გაქცეულიყო თავის სამშობლო ქალაქიდგან მედინაში (ქალაქია). აქ იმან იშოვნა მრავალი მომხრე, შეადგინა იმათგან ჯარი და გაგზავნა, რომ ხმლითა და ცეცხლით გავერცელებინათ მისი სარწმუნოება—**ისლამი**. ამ საშუალებით მაჰმადის სარწმუნოება მოეფინა არაბეთში და სხვა მახლობელ ქვეყნებშიაც. მაჰმადის სარწმუნოება დაფუძნებულია ამ სწავლაზე: «ერთ არს ღმერთი და მაჰმადი არს მისი წინასწარ-მეტყველი»; ხოლო უმთავრესნი ვალდებულებანი არიან: მარხვა, ლოცვა და მოწყალეება. ყველა მორწმუნე—მიიღებს სამოთხის ნეტარებასა, ხოლო ურწმუნო—ჯოჯოხეთის წვალებასა.

ნდა თავის სახლის რიგის-მიმცემს მისცემდა და თითქმის ძმის წულსაც თან გაატანდა. ბოლოს, დაფუძნულმა გონებამ ისეთი ახირებული აზრი აფიქრებინა იმას, რომ მგონი ჯერ ბადალი არა მომხდარიყოს რა ქვეყანა-ზედ. იმას მიაჩნდა ძალიან სასარგებლოდ და საჭიროდ, როგორც თავისის დიდების გასამრავლებლად, აგრეთვე მამულის ბედნიერებისთვის, შექმნილიყო მოგზაური რაინდად და დაეარნა მთელი ქვეყანა თავის იარა-ღით და ჯაგლაგით ფათერაკის საძებნელად, რომ თითონ გამოეცადნა ყოველი ფერი, რაც წაეკითხა რაინდებზედ, ამოეფხვრა ყოველივე უპა-ტიურება, გამოეცადნა ყველა შემთხვევა და შიში, მოეთმინა შევიწროება და ამ გვარად მოეპოვებინა საუკუნო სახელი და დიდება. საწყალს ასე ეგონა თუ იმის მარჯვენა იმდენს ღვაწლს შეიმოსავდა, რომ ჯილდოდ, სხვა რომ არაიყოსრა, ტრაპიზონის სამეფო ტახტზედ მაინც დაჯსვამდნენ. ასეთი მშვენიერის აზრებით გატაცებული დონ-კიხოტი დაეშურა ყოველი ფერი საქმით აესრულებინა, რაც კი ფიქრად მოუვიდა მას. ჯერ კარგად გაწმინდა თავის წინაპართ იარაღი, ბევრის ხნისგან კუთხეში დებით და-ჟანგებული და დაობებული. რადგანაც თავისის შეძლებისამებრ გაწმინდა და დააკოწიწა იარაღი, მაინც რაღაც დიდ ნაკლულევანებას ჰგრძნობდა ჩვენი აზნაური; იმას არა ჰქონდა რიგზედ შეჭედილი ზუჩი და თითქმის ერთი რიგიანი მუზარადიც კი არსად ეგდო; მაგრამ ამ ნაკლულევანებას უშველა იმისმა ხელოვნებამ. ერთი ნახევარ მუზარადის მსგავსი რაღაცა, გააკეთა სქელი მაგრის ქაღალდისა, წინა და უკან მამაპაპისგან დარჩომი-ლი რკინის ჩაჩქანი მიაკერა და ამ გვარად იმას მთელი ზუჩი გამოუ-ვიდა. მერე ჩვენ აზნაურს გამოკვლევის სურვილი ჩაუძვრა და თავის ჩოხ-ტატარის გამოცდა მოიწადინა, რომ შეეტყო, თუ რა რიგი სიმაგრისა იყო; ამის გამო იმან თავის მახვილით სითხლიმა ერთი ორიოდე თა-ვის გაკეთებულ ზუჩს და პირველსავე შემოკვრით ჩააფუჭა თავის ერ-თი კვირის ნაამაგევი. არ მოეწონა ამ გვარი სილბილე თავის ქა-ღალდის ზუჩისა და სიოთხილისა გამო, რომ ბრძოლაში თავი მუაზედ არ გამიჩეხონო, დაუწყო მას ხელ ახლად მართვა. ახლა ამან სიმაგ-რისთვის შიგ რამდენიმე რკინის მავთული დაატანა და დარჩა კმაყოფი-ლი თავის ოსტატობისა. არვიცი ეჭვის გამო, თუ რაღაც, მეორედ ველარ გაჰბედა გამოეცადა ზუჩის სიმაგრე და იკმარა ის, რომ გუნება-ში იფიქრა: «ძალიან მაგარია და რიგზედაც მოჭედილიო». შემდეგ დაათვა-ლიერა თავის ჯაგლაგი, რომელიც თუმცა თავიან ფეხებიანად და კუდიც

ანტეი *). საკვირვლად აქებდა ფალავან მორგანტს, რადგან ეს კეთილ-შვილობიანი ქცევის ყოფილიყო, იმას კი აღარ უგდებდა ყურს, რომ იმისი ჯიშის რაინდები ყველანი ერთმანეთზედ ამაყნი და გაუზდელნი ყოფილან. მაგრამ ყველაზედ უფრო თანაუგრძნობდა რეინალდ-მონტალ ვანელს: აზნაურს მოსწონდა იმის გამოლაშქრება თავის ციხე-დარბაზიდამ და ყველასი ცარცვა, ვინც კი მოხვდებოდა, აგრეთვე ძალიან უხაროდა იმას ალენდიდამ მაჰმადის **) კერპის მოტაცება, რომელიც, როგორც ისტორია ამბობს, პიტალო ოქროსი ყოფილა. ისეთი ჯავრი სჭირდა მოღალატე განელონისა, რომ ოღონდკი იმის ყურება მიეცათ, რომ ასი მუშტი ეჭმევინა იმისთვის და ქრთამად თუ ცი-

---

აიყვანა ზეცას და იქ შეურიგდა სიცოცხლეში წაჩხუბებულ იუნონას (ღმერთაა) და შეირთო ცოლად ღება (აგრეთვე ღმერთა ბერძ.). შემდეგში ბერძნები ჰერკულესს ჰრაცხავდნენ ნახევარ-ღმერთად. ეხლა ამ სახელს უწოდებენ ყველა დიდი ღონის პატრონს კაცს.

*) **ანტეი** იყო ზღაპარსიტყვაობითი ბოროტი და უზარ-მაზარი ტანის გმირი; იყო შვილი **ნეპტუნისა** და მიწისა და ბრძოლის დროს ყოველ მიწასთან მიკარებით იმას ემატებოდა ღონე. ბოლოს ჰერკულესმა აიზიდა ჰაერში და თავის ხელებით დაახრჩო იგი.

**) **მაჰმადი** დაიბადა 571 წელში არაბეთში, იმ წარჩინებული გვარეულობისაგან, რომელსაც ებარა ქაბას დაცვა და გამგეობა: ის იყო ქაბის უმთავრესი ქურუმის შვილის-შვილი. სისაწყლემ და ობლობამ გაუხსნეს იმას ჭკუა და გონება. 611 წელში მაჰმადმა გამოაცხადა თავისგან შედგენილი ახალი სარწმუნოება და ცდილობდა გაევრცელებინა. ჯერ ძალიან ეწინააღმდეგნენ არაბელები და 622 წ. იძულებულიც გახადეს გაქცეულიყო თავის სამშობლო ქალაქიდგან მედინაში (ქალაქია). აქ იმან იშოვნა მრავალი მომხრე, შეადგინა იმათგან ჯარი და გაგზავნა, რომ ხმლითა და ცეცხლით გაევრცელებინათ მისი სარწმუნოება—**ისლამი**. ამ საშუალებით მაჰმადის სარწმუნოება მოეფინა არაბეთში და სხვა მახლობელ ქვეყნებშიაც. მაჰმადის სარწმუნოება დამყარებულია ამ სწავლაზე: «ერთ არს ღმერთი და მაჰმადი არს მისი წინასწარ-მეტყველი»; ხოლო უმთავრესნი ვალდებულებანი არიან: მარხვა, ლოცვა და მოწყალეება. ყველა მორწმუნე—მიიღებს სამოთხის ნეტარებასა, ხოლო ურწმუნო—ჯოჯოხეთის წვალებასა.

ნდა თავის სახლის რიგის-მიმცემს მისცემდა და თითქმის ძმის წულსაც თან გაატანდა. ბოლოს, დაფუჭულმა გონებამ ისეთი ახირებული აზრი აიფიქრებინა იმას, რომ მგონი ჯერ ბადალი არა მომხდარიყოს რა ქვეყანა-ზედ. იმას მიაჩნდა ძალიან სასარგებლოდ და საჭიროდ, როგორც თა-ვისის დიდების გასამრავლებლად, აგრეთვე მამულის ბედნიერებისთვის, შექმნილიყო მოგზაური რაინდად და დაეარნა მთელი ქვეყანა თავის იარა-ღით და ჯაგლაგით ფათერაკის საძებნელად, რომ თითონ გამოეცადნა ყოველი ფერი, რაც წაეკითხა რაინდებზედ, ამოეფხვრა ყოველივე უპა-ტიურება, გამოეცადნა ყველა შემთხვევა და შიში, მოეთმინა შევიწროება და ამ გვარად მოეპოვებინა საუკუნო სახელი და დიდება. საწყალს ასე ეგონა თუ იმის მარჯვენა იმდენს ღვაწლს შეიმოსავდა, რომ ჯილდოდ, სხვა რომ არაიყოსრა, ტრაპიზონის სამეფო ტახტზედ მაინც დაჰსვამდნენ. ესეთი მშვენიერის აზრებით გატაცებული დონ-კიხოტი დაეშურა ყოველი ფერი საქმით აესრულებინა, რაც კი ფიქრად მოუვიდა მას. ჯერ კარგად გაწმინდა თავის წინაპართ იარაღი, ბევრის ხნისგან კუთხეში დებით და-ჟანგებული და დაობებული. რადგანაც თვისის შეძლებისამებრ გაწმინდა და დააკოწიწა იარაღი, მაინც რაღაც დიდ ნაკლულევანებას ჰგრძნობდა ჩვენი აზნაური; იმას არა ჰქონდა რიგზედ შეჭედილი ზუჩი და თითქმის ერთი რიგიანი მუზარადიც კი არსად ეგდო; მაგრამ ამ ნაკლულევანებას უშველა იმისმა ხელოვნებამ. ერთი ნახევარ მუზარადის მსგავსი რაღაცა, გააკეთა სქელი მაგრის ქაღალდის, წინა და უკან მამაპაპისგან დარჩომი-ლი რკინის ჩაჩქანი მიაკერა და ამ გვარად იმას მთელი ზუჩი გამოუ-ვიდა. მერე ჩვენ აზნაურს გამოკვლევის სურვილი ჩაუძვრა და თავის ნაოს-ტატარის გამოცდა მოიწადინა, რომ შეეტყო, თუ რა რიგი სიმაგრისა იყო; ამის გამო იმან თავის მახვილით სთხლიშა ერთი ორიოდე თა-ვის გაკეთებულ ზუჩს და პირველსავე შემოკვრით ჩააფუჭა თავის ერ-თი კვირის ნაამაგევი. არ მოეწონა ამ გვარი სილბილე თავის ქა-ღალდის ზუჩისა და სიფთხილისა გამო, რომ ბრძოლაში თავი შუაზედ არ გაუჩეხონ, დაუწყო მას ხელ ახლად მართვა. ახლა ამან სიმაგ-რისთვის შიგ რამდენიმე რკინის მავთული დაატანა და დარჩა კმაყოფი-ლი თავის ოსტატობისა. არვიცი ეჭვის გამო, თუ რაღაც, მეორედ ველარ გაბედა გამოეცადა ზუჩის სიმაგრე და იკმარა ის, რომ გუნება-ში იფიქრა: «ძალიან მაგარია და რიგზედაც მოჭედილიო». შემდეგ დაათვა-ლიერა თავის ჯაგლაგი, რომელიც თუმცა თავიან ფეხებიანად და გუდიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა არა ღირდა ერთ მანეთად და გოჰელის ცხენზედ ბევრი ხინჯი ჰქონდა (რომელიც tantum pellis et ossa tui იყო მხოლოდ ტყავი და ძვლები); მაგრამ იმისთვის რომ გეკითხნათ—ალექსანდრეს ბუკეფალი *) და სიდის ბაბიეკიც ვერ დაედარებოდნენ იმის ბედაურს ჯაგლაგს. ოთხი დღე იმაზედ ფიქრობდა, თუ რა სახელი დაერქმევინა თავის ცხენისთვის. დიდი ურიგოება იქნება (ფიქრობდა თავისთვის ჩვენი რაინდი), რომ ამისთანა შესანიშნავი რაინდის ცხენი და ამასთან თითონაც ჩინებული—უსახელოდ დარჩესო. იმას ჰსურდა ისეთი სახელი დაერქვა იმისთვის, რომელსაც რიგიანად გამოეხატნა, თუ რა იყო ეს ცხენი იმ დრომდის, მანამ გახდებოდა მოგზაური რაინდის ბედაურად და რა იქნებოდა იმის შემდეგ. ამ აზრის მიზეზი ის იყო, რომ როგორც პატრონი იცვლიდა ძველს სახელს და ხელობას და ითვისებდა საჩინო რაინდის წოდებას, ისე ცხენსაც უნდა გამოეცვალა ძველი ხელობა და დანიშნულება და შექმნილიყო ახალი რაინდის ღირს. რამად როგორც სახელით, ისე სახრავითაც. ამ გვარად, შემდეგ მრავალის სახელებისა, რომლებიც მან შეთხზა, დაარქო, გამოუცვალა,—და ერთის სიტყვით შემდეგ მრავალის თავში ცემისა ჩვენმა მოხეტიალემა რაინდმა მოიგონა სახელი როსინანტი, ე. ი. ჯაგლაგი, და ეს უწოდა თავის ცხენს. ეს სახელი იმის ყურებს მაისჩნდა ყოლეროვნად და ამბობდა: როსინანტი—ჰნიშნავს იმას, რომ ჩემი ცხენი აქამდის უბრალო ჯაგლაგი იყო და ახლა კი ამის ბადალი ბედა-

---

*) ალექსანდრე დიდი იყო მაკედონიის მეფე, დაიბადა 356 წელსა ქრისტეს შობამდე; აღიზარდა არისტოტელისაგან. თექვსმეტის წლისა იყო, როდესაც განაგებდა სამეფოს (თავის მამის, ფილიპეს, სხვაგან ყოფნაში). ოცის წლისა ეკურთხა მეფედ. მრავალი ომი მოიგო და ბევრი ქვეყნები დაიმორჩილა, — მაგ. მცირე აზია, სპარსეთი, ეგვიპტე და სხვ. შემდეგ გაილაშქრა ინდოეთზედ და ბაბილონზედ. ბოლოს ამისი დიდძალი სამეფო ისევ დაიშალა და განაწილდა.

ბუკეფალი ერქვა ალექსანდრე მაკედონელის ცხენს. ეს ცხენი მთელ ქვეყანაზედ შესანიშნავი იყო, ვერავინ იმორჩილებდა; გარნა ალექსანდრემ კი თხუთმეტის წლისამ დაიმორჩილა; ეს ცხენი ყველა ლაშქრობაში ემსახურებოდა ალექსანდრეს. მაშინდელ დროს იმ ცხენში 13 ტალანტი, ესე იგი ორი ათასი თუმანი იყო მიცემული. ბუკეფალი ინდოეთში მოუკვდა და იმის საფლავზედ ალექსანდრემ ქალაქი ააშენა და დაარქვა ბუკეფალა.

ური არ იპოება ქვეყანაზედაო. დაარქვა თუ არა თავის ცხენს სახელი, ხელ ახლად დაიწყო თავში ცემა, თუ რასახელი დაერქმევინა თავის თავისთვის. ამ ფიქრში გაატარა იმან კიდევ ერთი მთელი კვირა; ბოლოს უწოდა თავის თავს დონ-კისოტი.—კიდეც ეს იყო მიზეზი, როგორც ზევითა ვსთქვი, რომ ამ ჭეშმარიტი ამბის მწერლებმა დაარქვეს კიხადა და არა კესადა, როგორც ზოგნი არქმევდნენ.—მაგრამ, როდესაც მოაგონდა მას, რომ მამაცი ამადისი არ დასჯერდა თავის მარტივ სახელს და კიდევ თავის მეფის და მამულის სახელიც მიიმატა, ამანაც მიჰბაძა იმას, რადგან თავის თავი რიგიან რაინდად მიაჩნდა; თავის სახელს მოუმატა იმან თავის სამშობლო სოფლის სახელი, და მაშინ გახდა დონ კისოტი ლამანჩელი; ამ სახელის მიმატებით იმას ეგონა უფრო უმეტეს პატივს სდებდა თავის თავს, რადგან აქედამ ცხადად სჩანდა ჯიში იმისი და სამშობლო. გაწმინდა რა იარაღი და თავის ნამუშავარი მუზარადიც მიაკოწიწა რაღაც დაგლეჯილ, დაჟანგებულ, ძველის-ძველს ჩაჩქანს, დაირქვა სახელი და თავის ცხენისთვისაც მოიგონა—ჩვენ ვიტყვით, რომ ეგ არის მოემზადა და აგერ გაილაშქრებს კიდეცაო. არა მკითხველო. ჩვენი აზნაური კიდევ რაღაც ნაკლულევანებას ჰპოვებდა თავის აზრის ასრულებისთვის. ეს ნაკლულევანება იმაში შესდგებოდა, რომ მიჯნური არ სად ჰყვანდა მას: უამისოდ კი სულ არა ღირსებას არ აძლევდა თავის თავს, რადგან ჰფიქრობდა, რომ მოგზაური რაინდი უმიჯნუროდ ისივე არის, რაც უფოთლოდ—ხე და უსულოდ—სხეული. ხშირად ამბობდა ხოლმე თავისთვის: მე, უჭკვლია, ბედი ან უბედურება ვინმე ფალავანს შემამთხვევს, რომელსაც მე ჩემის მარჯვენის ძალით მიწას დავამხობ, ავკუწავ ჩემის მახვილით, დავამარცხებ, ან დავიმორჩილებ; ამისთვის საჭიროა მიჯნური მყვანდეს, რომ ყველა დამარცხებულ ფალავანს გაუგზავნიდე ხოლმე იმას და უბძანებდე, რომ იმის წინ მუხლ მოდრეკით, როგორც მონებს, მოწიწებით მოეხსენებინათ: ჰოი, ქალბატონო! მე გახლავარ ფალავანი კარაკულიამბო, მალინდრანის კუნძულის მფლობელი; დამამარცხა ფალავნობაში გამოჩენილმა და ყველა ქების უაღრესმა რაინდმა დონ-კისოტმა ლამანჩელმა. აწ მიბძანა გხლებიყავ, მოწყალეო ხელწიფავ, და მომედრიკნა რა თქვენ წინაშე მუხლი, მომელოდნა თქვენის შემძლებლობისგან პატიობას ანუ დასჯას. ნეტა იცოდეთ რა რიგ გაუხარდა ჩვენ კეთილ რაინდს, რომ ამისთანა შესხმა შეთხზა, და უფრო მაშინ მოვიდა აღტაცებაში, როდესაც ის პირიც მოიგონა, ვისთვისაც ეს შესხმა

უნდა ეთქვათ მომავალში. ერთს ახლო მახლო სოფელში სცხოვრობდა ვინმე ახალგაზრდა, ლამაზი გლეხის გოგო, რომელშიაც ჩვენი აზნაური ერთხელ როდისღაც იყო შეყვარებული, თუმცა სწორე მოგახსენოთ ქალმა სულ არაფერი არა იცოდარა ამაზედ. იმ ქალს ერქვა ალდონსა ლორენცო. ჩვენმა აზნაურმა ისეთი ღირსება მისცა მას, რომ ყველა თავის აზრისა და გრძნების მფლობელად გახადა. მერე იმისთვისაც დაუწყო ძებნა სახელს, და ჭკუობდა ისეთი სახელი დაერქმევინა, რომ კნეინასი ანუ ხეფე-ქალის ბადალი გამხდარიყო. ბოლოს იმისთვისაც იპოვნა სახელი და დაარქო დულცინეა ტობოზელი, რადგან ეს ქალი ტობოზოს სოფელში იყო დაბადებული. ეს სახელიც ეჩვენა იმას ძალიან ჟღეროვნად, მრავალ მნიშვნელობიანად და ძალიან მოხერხებულ სახელად, როგორც სხვა აქამდის მოგონილი სახელები: თავისა, თავის ცხენისა და იარაღებისა: ამ უკანასკნელებსაც, უშველია, თითო სახელი უწოდა, თუმცა ჩვენ ეს კარგა არ გვახსოვს.

## თ ა ვ ი 2.

### დონ-კიხოტის პირველი გამგზავრება.

გაათავა თუ არა სამზადისი, რაინდმა მოინდომა ჩქარა გამგზავრება თავის წადილების აღსასრულებლად, და ეგონა რომ იმისი ბევრი დაყოვნება დიდ ზარალს მისცემდა ქვეყანას, რადგან იმისი აზრი იყო მოესპო უბედურება და შევიწროება, ამოეფხვრა უსამართლობა და ბოროტ-მოქმედება და მთელ ქვეყანაზედ აღედგინა სამართალი. ამის გამო არავის არ გააგებინა თავისი წადილი, ყველას უჩუმრად, ერთს მკათათვის დღეს დილა ადრიანად მოიკაზმა ჩვენი აზნაური თავის იარაღში, შეჯდა როსსინანტზედ, დაიხურა თავის ჩანჩურული ზუჩი, აიღო ხელში ფარი და შუბი და უკანა კარებიდგან გამოვიდა მინდორზედ, და დიდად უკვირდა და უხაროდა, რომ ამისთანა დიდი და ძნელი საქმე ესე ადვილად და ჩქარა მოიყვანა აღსრულებაში. მაგრამ თავის თავი რომ მარტოდ მარტო ნახა მინდორზედ, რაღაც შავმა ფიქრებმა მოუარეს ჩვენს გმირს და წინაღამ უკან არ დაბრუნეს. იმას მოაგონდა, რომ ჯერ რაინდად არ იყო ნაკურთხი და, მაშასადამე, რაც უნდა მტერი შეხვედროდა—ხელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го апрѣля 1869 г.

«მნათობის» რედაქციის სტამბაში.

2/57

«მნათობი» ამ 1869 წელში გამოდის მარტიდგან ყოველ თვეს; თითო წიგნის სივრცე იქნება შვიდიდგან ათ თაბახამდის.

—

ამ 1869 «მნათობის» ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ალაგებში | 8 მანეთი. | | |
| ნახევარ წლისა . . . . . . . . | 4 მანეთი | 50 | კაპ. |
| თითო წიგნისა . . . . . . . . . | „ — | 90 | კაპ. |

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, «მნათობის» რედაქციის კონტორაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, დავით ავალოვის სახლებში.

გარეშე ხელის-მომწერთ შეუძლიან დაიბარონ ამ ზემოხსენებული ადრესით.

---

გამ. ივ. ელიოზიშვილი. რედ. ნ. ავალიშვილი.